

იგორ კეკელია
ედიშერ ბაღათურია

ახალსენაკის
თეატრალური ქრონიკები
1881-1921 წწ.

სენაკი
2024

XIX ს-ის 70-80-იან წლებში დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული და კოლორიტული ქალაქის – სენაკის ცხოვრებაში მომხდარმა არაერთმა მნიშვნელოვანმა ამბავმა გამოძახილი ჰპოვა იმდროინდელი ქართული პრესის ფურცლებზე. სამეურნეო-ეკონომიკური ხასიათის ძვრებთან ერთად გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებითაც, რაც არსებითად შეესატყვისებოდა სენაკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეტაპს.

სცენისმოყვარეთა პირველი თეატრალური წარმოდგენა ახალსენაკში (მაშინ ასე ეწოდებოდა) 1881 წლის 8 თებერვალს გაიმართა. აქედან მოყოლებული იმდროინდელი დაბა თეატრალური კულტურის მეტად რთული და საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობდა.

ი. კეკელიასა და ე. ბაღათურიას ნაშრომში მონოგრაფიულადაა შესწავლილი 40-წლიანი პერიოდი ახალსენაკის სასცენო ხელოვნების ისტორიიდან (1881-1921 წწ.). ავტორები საინტერესო მასალებს გვაწვდიან იმ პირველი სპექტაკლების ირგვლივ, რომლებიც საუკუნეზე მეტი ხნის წინათ დაიდგა სენაკის ინტელიგენციისა და სცენისმოყვარეთა თაოსნობით.

რედაქტორი: **მურმან ჯინორია**, თეატრისა და კინოს მსახიობი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი

რეცენზენტები: **რევაზ გრიგოლავა**, ისტორიკოსი
პაატა ქურდოვანიძე, დამოუკიდებელი მკვლევარი
ციცინო ყურაშვილი, დამოუკიდებელი მკვლევარი



**წიგნი მომზადდა და გამოიცა
საზოგადოება
„ჩვენი სენაკის“ მხარდაჭერით**

ISBN 978-9941-8-7335-5

© ი.მ. „მიაიმ იობაძე“

წიგნი ეძღვნება ცნობილი ექიმისა და თეატრალური მოღვაწის – სამუელ ანტონის ძე კეკელიას დაბადებიდან 140 წლისთავს და ყველა იმ სცენის-მოყვარის ხსოვნას, ვინც ჩუმად, უხმაუროდ ქმნიდა სენაკის სახელოვან თეატრალურ წარსულს

წინათქმა

დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული და კოლორიტული ქალაქი სენაკი ყოველთვის თვალსაჩინო როლს თამაშობდა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. იგი დღესაც საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სარკინიგზო კვანძს წარმოადგენს. გასული საუკუნის 70-იან წლებში ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის გაყვანამ და რკინიგზის სადგურის მშენებლობამ ხელი შეუწყო ქალაქის წარმოქმნასა და შემდგომ ზრდა-განვითარებას. სენაკმა თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით მალე დაჩრდილა სენაკის მაზრის (ადრინდელი ოლქის) ყოფილი ცენტრი, რომელსაც მოგვიანებით ძველი სენაკი ეწოდა, ხოლო დღევანდელ სენაკს – ახალსენაკი.

ახალსენაკის ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტად (წინაქალაქად, დაბად) ფორმირება 1870 წლიდან იწყება. აქედან მოყოლებული, მისთვის მინიჭებული ფუნქციის მიხედვით, იგი წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ცენტრს და სავაჭრო-სახელოსნო დაბას, სადაც განვითარებული იყო მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, შინამრეწველობა და სხვ. ამჟამინდელი ქალაქ სენაკის (ყოფილი ახალსენაკის), როგორც დასახლებული პუნქტის, დაწინაურება ფოთი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის გახსნას უკავშირდება.

XIX ს. II ნახევარში ახალსენაკის სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მომხდარი ცვლილებები დადებითად აისახე-

ბოდა სავაჭრო-სახელოსნო დაბის გარეგნულ იერსახესა და განაშენიანებაზე, რაც გამოიხატებოდა ეროვნული ტრადიციული ხუროთმოძღვრული ფორმების ახალ კლასიკურ სამშენებლო არქიტექტურასთან შერწყმაში. დაბა სწრაფი ტემპით იძენდა დამახასიათებელ კოლორიტულ სახეს.

1879 წელს კავკასიაში ჩამოვიდა ცნობილი ფრანგი ჟურნალისტი ჟიულ მურიე, რომელიც ხანგრძლივად ცხოვრობდა თბილისსა და ზუგდიდში. მან მოკლე, მაგრამ საინტერესო ცნობები შემოგვინახა დაბის განაშენიანების შესახებ. მურიეს ცნობით, ახალსენაკი სამაზრო ცენტრს წარმოადგენს 1870 წლიდან. აქ გადის ფოთი-ტფილისის რკინიგზის სადგური 80 კომლით, ერთი ეკლესია და ორი სკოლა. ამათგან ერთი სკოლა ნახევრად სემინარიაა. ასევე აქ არის ნაჩაღნიკის რეზიდენცია, მომრიგებელი სასამართლო, წერილებისა და ცხენების ფოსტა, ხაზინა და ტელეგრაფი. ახალსენაკი გარშემორტყმულია ჭაობებით და ზაფხულში მძვინვარებს ციებ-ცხელება. ქარსაცავები ძალიან ცოტაა და ხშირად უბერავს აღმოსავლეთის ქარი¹.

ახალსენაკში სამაზრო ადმინისტრაციის დამკვიდრებას მოჰყვა სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე ისეთი დაწესებულებების დაარსება, როგორიც იყო ხაზინა, ფოსტა-ტელეგრაფი, სასამართლო, ნოტარიუსის კანტორა, ასევე სხვა დაწესებულებებიც, რომლებსაც მოითხოვდა ცხოვრების პირობები და მაზრის მართვა-გამგეობის საჭიროება. სახელმწიფო დაწესებულებების გვერდით დაბაში გაჩნდნენ მოსახლეობისათვის საარსებოდ აუცილებელი ადგილები ბაზრის, სავაჭრო დუქნების, ღვინის სარდაფების, საექიმო პუნქტის, აფთიაქის, სასტუმროსა და სხვათა სახით. ახალსენაკი დაწინაურ-

¹ ჟიულ მურიე, სამეგრელო (ძველი კოლხეთი), ფრანგულიდან თარგმნა ვლადიმერ ანთელავამ. ორიგინალს შეადარა, შეასწორა და გამოტოვებული ადგილები თარგმნა ანა ჭეიშვილმა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ბეჟან ხორავამ. თბ., 2018, გვ. 240.

და კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებითაც. 1882 წელს მარტვილიდან აქ იქნა გადმოტანილი სასულიერო სასწავლებელი. 1885 წელს დაარსდა ორკლასიანი სკოლა, ხოლო 90-იანი წლების დასაწყისისათვის აქ უკვე არსებობდა სამი სასწავლებელი – სამეგრელოს ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებელი, სამოქალაქო და დედათა სასწავლებლები, 1894 წლიდან – სამაგალითო საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელი. ამ სკოლებმა, სამეგრელოში ფართოდ ცნობილ ძველი სენაკის სათავადაზნაურო სასწავლებელსა და ორკლასიან სკოლასთან ერთად, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ადგილობრივი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საქმეში. 1894 წელსვე დაბა ახალსენაკში გაიხსნა კლუბიც, სადაც ბინა დაიდო დაბის სცენისმოყვარეთა დასმა. 1891 წელს ვ. ნოდის თაოსნობით გაიხსნა საჯარო ბიბლიოთეკა. თეატრალური წარმოდგენების ტრადიციას ახალსენაკში საფუძველი ჩაეყარა 1881 წლიდან, ხოლო 1892 წლიდან ადგილობრივი ინტელიგენციის ძალებით უკვე სისტემატურად იმართებოდა თეატრალური წარმოდგენა-სანახაობები და საქველმოქმედო ღონისძიებები, რომლებიც ფართო მხარდაჭერითა და პოპულარობით სარგებლობდნენ და უამრავ ხალხს იზიდავდნენ².

ჩვენ საშუალება მოგვეცა შეძლებისდაგვარად მიგვეკვლია ზოგიერთი წყაროსათვის და წინამდებარე ნაშრომში, არსებული ლიტერატურისა და პერიოდული პრესის მასალების საფუძველზე, მკითხველისათვის მონოგრაფიულად წარმოგვედგინა სენაკის თეატრალური ცხოვრების ძირითადი მომენტები და შემოქმედებითი მიღწევები 1881-1921 წლებში

² მსჯელობისათვის იხ. რ. გრიგოლავა, საგამომცემლო საქმიანობა სენაკში (სტამბის დაარსების ისტორიის საკითხისათვის სენაკში). გაზ. „კოლხეთი“, №156, 29. 12. 1990.



. ახალსენაკის ერთ-ერთი ქუჩა. ფრანგი არქეოლოგისა და ეთნოგრაფის – ბარონ დე ზაის ფოტო. 1901 წ.

სენაკის თეატრალური ისტორიის საკითხებზე მიმოხილვითი ხასიათის საგაზეთო და საჟურნალო სტატიები გამოქვეყნებული აქვთ დოც. ალექსანდრე კოკაიას, საქართველოს თეატრალური მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელს – ნათელა ლაშხიას, აგრეთვე დავით გეგენავას, მადლენა ეჯიბიასა და რევაზ ბოკუჩავას³.

³ მსჯელობისათვის იხ. ალ. კოკაია, 80 წლის წინათ [გაზეთ „დროების“ 1881 წლის 22 თებერვლის №45-ში მოთავსებული ცნობა დაბა ახალსენაკში გამართული პირველი წარმოდგენის შესახებ]. გაზ. „ავანგარდი“, 10 ივლისი, 1960; ნ. ლაშხია, დაბა ახალსენაკის თეატრალური ცხოვრების წარსულიდან. გაზ. „კოლხეთის ცისკარი“, №6, 14 იანვარი, 1963; მისივე, პირველი სპექტაკლი – 1881 წელს. გაზ. „კოლხეთი“, №6, 14 იანვარი, 1978; მისივე, ასიკო ცაგარელი ახალსენაკში. გაზ. „კოლხეთი“, №24,

2024 წელს სამეცნიერო კრებულში დაიბეჭდა აგრეთვე ჩვენი ნაშრომი ახალსენაკის სასცენო ხელოვნების ისტორიაზე⁴.

ნაშრომზე მუშაობა დასრულებული გვექონდა, როცა სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრთან არსებულ მუზეუმში თეატრის ისტორიასთან დაკავშირებული საინტერესო მასალების შესახებ მიგვითითა სენაკის ისტორიის ერთ-ერთმა საინტერესო მკვლევარმა, ქალბატონმა **ციცინო ყურაშვილმა**. კერძოდ, ესაა ქალბატონების – **ნუნუ გომართელისა** და **ნათელა ლაშხიას** ჩანაწერები – „ცხაკაიას თეატრალური ცხოვრების ისტორიიდან“, რაც დათარიღებულია 1974 წლით. ეს ხელნაწერი თავის დროზე მუზეუმისთვის გადაუცია ცნობილ ხელოვანს, სენაკის თეატრის ათამდე სპექტაკლის მუსიკალურ გამფორმებელსა და სამი სპექტაკლის („მოკვეთილი“, „ხევისბერი გონა“, „კვალდაკვალ“) ორკესტრის დირიჟორს, ბატონ **ლეონტი (ბეთე) ჩიხლაძეს** (1923-2003 წწ.).

აქვე აღვნიშნავთ სენაკის თეატრის მუზეუმის გამგის, ქალბატონ **მადლენა ეჯიბიას** გულისხმიერებას, რომელმაც მოგვცა მუზეუმში დაცული მასალების გაცნობის შესაძლებლობა და მოგვაწოდა რამდენიმე ფოტო ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ახალსენაკის თეატრალური ისტორიისათვის.

ახალსენაკის თეატრალური ისტორიის შესასწავლად

24 თებერვალი, 1977, გვ. 4; დ. გეგენავა, თეატრალური კოლექტივები ახალსენაკის მაზრაში. გაზ. „ავანგარდი“, №145, 13 დეკემბერი, 1959; №150, 25 დეკემბერი, 1959; მისივე, ახალსენაკის თეატრალური ცხოვრების წარსულიდან. ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, №9, 1960, გვ. 58-60; მ. ეჯიბია, სენაკის თეატრალური შემოქმედების 120 წელი. გაზ. „მახარი“, №3, 2001, გვ. 19; რ. ბოკუჩავა, პირველი სპექტაკლი ახალსენაკში (1881 წლის 8 თებერვალი). გაზ. „კოლხეთი“, №6, 14 იანვარი, 1989, გვ. 3.

⁴ იხ. ე. ბაღათური, ი. კეკელია, ახალსენაკის თეატრალური ისტორიის სათავეებთან (1881-1921 წწ.). კრ. „პავლე ინგოროყვა – 130“, ქუთ., 2024, გვ. 87-109.

მნიშვნელოვანია აგრეთვე სსიპ საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმის“ ხელნაწერთა ფონდში დაცული **გრიგოლ თევზაიას** 20-გვერდიანი მოგონება, სახელწოდებით – „სამეგრელოში, კერძოდ, ახალ სენაკში (ამჟამად ცხაკაია) თეატრალური მუშაობის შესახებ“ (1954)⁵. ხელნაწერი ელექტრონული ვერსიის სახით მოგვაწოდა ხელოვნების სასახლის გენერალურმა დირექტორმა, პროფ. **გიორგი კალანდიაძე**, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას ვუხდით. აქვე მადლიერების გრძნობით აღვნიშნავთ პროფ. **ბუბა კუდავასა** და ბატონ **ილია ხელაიას** მხარდაჭერას, ამ წიგნის გამოსაცემად მომზადების საქმეში გაწეული დახმარებისათვის.

იმედია, რომ დაარსების 150 წლისთავზე მკითხველს უკვე ხელთ ექნება სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სრულყოფილი ისტორია.

⁵ (სსიპ საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი III, საქმე 79, №14132)

ახალსენაკის სასახნო ხელოვნების 40-წლიანი ისტორია

„და მე ვხედავდი, თუ როგორ ცხოვრობდნენ, რაოდენ დევნას იტანდნენ ეს ქართული თეატრისათვის შეფიცული მუშაკნი, მაგრამ მაინც კლდესავით იდგნენ... ეს მხოლოდ სიყვარული-სათვის ჩვენი ეროვნული თეატრისა... ეს იყო დიდი ქართული საქმე, რომელიც უნდა გაკეთებულიყო, რათა ქვეყანას და კერძოდ ძლიერ მტერს ეგრძნო, რომ საქართველოს ხიცოცხლე და წინსვლა სწეუროდა“.
თამარ გოგოლაშვილი-პაპავა

I. სცენისმოყვარეთა წარმოდგენები 1881-1900 წლებში

XIX ს-ის II ნახევარსა და XX საუკუნის 10-იან წლებში ახალსენაკის ცხოვრებაში მომხდარმა არაერთმა მნიშვნელოვანმა ამბავმა გამოძახილი ჰპოვა იმდროინდელი ქართული პრესის ფურცლებზე. ეს ცნობები ერთი შეხედვით უმნიშვნელოდაც შეიძლება მოგვეჩვენოს, თუმცა დაბის ყოველდღიურობის, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ისტორიის შესასწავლად საინტერესო ინფორმაციას შეიცავს. სამეურნეო-ეკონომიკური ხასიათის ძვრებთან ერთად გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა სასკოლო და თეატრალური მიმართულებითაც, რაც არსებითად შეესიტყვებოდა ახალსენაკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეტაპს XIX ს-ის 70-90-იან წლებში.

შეიძლება ითქვას, რომ იმდროინდელი დაბა ახალსენაკი თეატრალური კულტურის მეტად რთული და საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობდა.

დღეს არსებული მონაცემებით (ქართულ გაზეთებში გამოქვეყნებული კორესპონდენციები, წერილები, რეცენზიები) დგინდება, რომ სცენისმოყვარეთა წარმოდგენები სამეგრელოში XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან იმართება. 60-70-იან

წლებში სპექტაკლები გაუმართავთ ზუგდიდში, სოფლებში – ბანძასა და სუჯუნაში. 1868 წლის 11 აპრილს მწერლისა და საზოგადო მოღვაწის – ანტონ ფურცველადის (1839-1913 წწ.) ინიციატივით დაბა ზუგდიდში დაიდგა მოლიერის „ძალად ექიმი“ (თარგმანი რ. ერისთავისა)⁶. 1873 წელს სენაკის მაზრის სოფელ ბანძაში ალ. იოსელიანმა დადგა შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“⁷, ხოლო 1874 წლის 25 აპრილს სოფ. სუჯუნაში წარმოადგინეს ა. ცხველადის „ბედნიერი ქორწილი“⁸ და მეფარიონის „ქმრები გავაბით მახეში“ (რეჟისორი ა. იოსელიანი). ერთი წლის შემდეგ ამავე სოფელში სკოლის სასარგებლოდ ადგილობრივი სცენისმოყვარეების ძალებით დაიდგა მოლიერის „სკაპენის ცუდლუტობა“⁹.

1850 წელს გიორგი ერისთავის მიერ დაარსებული თეატრი მიჩნეულია საქართველოში პირველ ქართულ პროფესიულ თეატრად, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს დაბა-ქალაქებში სცენისმოყვარეთა მიერ თეატრალური წარმოდგენების გამართვას. არც ახალსენაკის საზოგადოება ჩამორჩე-

⁶ გ. გაბისონია, ა. ბარამია, ზუგდიდის თეატრი, თბ., 1968, გვ. 4.

⁷ ა. ბურთიკაშვილი, პირველად საქართველოში [შექსპირის ტრაგედიის „ვენეციელი ვაჭრის“ წარმოდგენის შესახებ სოფ. ბანძის სცენაზე 1873 წელს]. გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 14. 08. 1960; რ. ქორქია, მ. გიჟიმერელი, შექსპირიანას პირველი ფურცელი. გაზ. „კოლხეთის ცისკარი“, №74, 23 ივნისი, 1964; ალ. გაბუნია, პირველად აამეტყველეს შექსპირი ქართულად. გაზ. „კოლხეთის ცისკარი“, №70, 13 ივნისი, 1964, გვ. 4; ი. კეკელია, „არ მოვიფიქრებდი, რომ შექსპირის დრამა, ისიც ბანძაში, ესე წარმოდგებოდა“. გაზ. „ჭყონდიდის ზარი“, № 3, ნოემბერი, 2002, გვ. 2; მისივე, ერთი ფურცელი ბანძის თეატრალური წარსულიდან. „მწერლის გაზეთი“, №13, 1-7 მაისი, 2003, გვ. 3.

⁸ 1881 წელს აღნიშნული სპექტაკლი წარმოდგენილია სოფ. კავთისხევეშიც. „დროება“, №106, 24 მაისი, 1881, გვ. 2.

⁹ იქვე: 5; ფრანგი დრამატურგისა და თეატრალური მოღვაწის – ჟან ბატისტ პოკლენის, იგივე მოლიერის, შემოქმედებას საქართველოში XIX საუკუნეში გაეცნენ. მისი „სკაპენის ონები“ თარგმნა აკაკი წერეთელმა (სათაურით „სკაპენის ცუდლუტობა“).

ნია ამ კარგ წამოწყებას¹⁰.

თეატრალურმა ცხოვრებამ განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი მიიღო 80-იანი წლებიდან. სცენისმოყვარეთა აქტიურობა შეინიშნება ახალსენაკში, ძველ სენაკსა და ფოთში¹¹.

სცენისმოყვარეთა პირველი თეატრალური წარმოდგენა ახალსენაკში 1881 წლის 8 თებერვალს გაიმართა. დაიდგა მოლიერის „ძალად ექიმი“. თუ ვინ იყო წარმოდგენის თაოსანი ან მონაწილე, სამწუხაროდ, დაუდგენელია. „დროება“ აღნიშნავს მხოლოდ ფაქტს სპექტაკლის წარმოდგენის შესახებ: „ახალ-სენაკიდან გვწერენ, რომ ამ თვის 8-ს იქ ყოფილა ქართული წარმოდგენა. მოთამაშეებს, განსაკუთრებით ქალებს, ძალიან რიგიანათ შეუსრულებიათ თავისი როლები“, და რეპორტიორი ბოლოს დასძენს: „მაგრამ ყველაზე უფრო მომეტებული ყურადღება დაუმსახურებია ერთს ქალს – ნ. ჩ.ს, რომელსაც ქართული სიმღერები უმღერია“¹².

ამავე წლის 20 თებერვალს იმავე სცენისმოყვარეთა მონაწილეობით განმეორებით წარმოუდგენიათ „ძალად ექიმი“ და გიორგი ერისთავის¹³ კომედია „გაყრა“. გაზეთ „დროების“ 1881 წლის №40-ში „ახალი ამბების“ რუბრიკით გამოქვეყნებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ ახალსენაკში ნორმალური სკოლის სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენას მრავალი ადამიანი დასწრებია. პირველი კომედია („ძა-

¹⁰ ნ. ლაშხია, დაბა ახალსენაკის თეატრალური ცხოვრების წარსულიდან. გაზ. „კოლხეთის ცისკარი“, №6, 14 იანვარი, 1963, გვ. 4

¹¹ იხ. ი. ზაქარაია, სასცენო ხელოვნების განვითარებისათვის სამეგრელოში XIX საუკუნის 80-იან წლებში. ჟ. „კავკასიის მაცნე“, №17, 2008, გვ. 110.

¹² „დროება“, №34, 14 თებერვალი, 1881. მსჯელობისათვის იხ. ე. ბაღათური, ი. კეკელია, ახალსენაკის თეატრალური ისტორიის სათავეებთან. სამეცნიერო კრებული „პავლე ინგოროყვა 130“, ქუთ., 2024, გვ. 87.

¹³ გიორგი ერისთავი (1813-1864 წწ.) იყო ქართველი დრამატურგი, პოეტი და თეატრის მოღვაწე.

ლად ექიმი“) სცენისმოყვარეებს სუსტად წარმოუდგენიათ, რის გამოც საზოგადოება უკმაყოფილო დარჩენილა. ზოგს ძილიც მოსდიოდაო, აღნიშნავს რეპორტიორი და დასძენს, რომ მეორე კომედია მაყურებელს უფრო გულთბილად მიუღია. გამხიარულებული საზოგადოება მალ-მალე ტაშს უკრავდა მსახიობებს. განსაკუთრებული მოწონება სომეხი მიკირტუმას როლის შემსრულებელს – ახვლედიანს დაუმსახურებია, „ამ წარმოდგენაში საქები იყო ბ. ახვლედიანი (სომეხი), რომელმაც კარგა ოსტატურათ წარმოადგინა ეს როლი“. ავტორი იქვე დასძენს: „ბევრი ნაკლულეგანება ჰქონდა სცენაზედ ჩვენ მოთამაშეებს, მაგრამ მე უნდა შევნიშნო მარტო შემდეგი: ყველანი ერთობ ძრიელ ჩქარობენ ლაპარაკში; მათი ლაპარაკი წააგავს უფრო ერთი ხმით წიგნში კითხვას, ვინემ დამჯდარ ბაასს“¹⁴.



ჯან ბატისტ მოლიერი –
ფრანგი დრამატურგი და
თეატრალური მოღვაწე,
რომლის კომედია „ძალად
ექიმი“ დაიდგა ახალსენაკში
პირველად.

გაზეთი „დროება“ (№45) წერდა, რომ ახალსენაკის პირველი სცენისმოყვარენი დიდი ხალისით მოჰკიდებიან საქმეს. თეატრალურ საკითხებში გათვითცნობიერებული რეპორტიორის სტატიაში მოცემულია სცენისმოყვარეთა მიერ აქტიორული შესრულების დონე. ავტორის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი თეატრს არც კი იცნობდა, მაინც მშვენივრად შეუსრულებიათ ნაკისრი როლები. თავისთავად ეს ინფორმაცია უადრესად მნიშვნელოვანია ახალსენაკის თეატრალური ისტორიის შე-

¹⁴ „დროება“, №40, 24 თებერვალი, 1881, გვ. 2; მსჯელობისათვის იხ. ე. ბაღდათურია, ი. კეკელია, ახალსენაკის თეატრალური ისტორიის სათავეებთან. კრ. „პირველი ინგოროყვა 130“, გვ. 88.

სასწავლად. ამიტომ „დროების“ უცნობი ავტორის კორექსონდენციას აქვე უცვლელად დავიმოწმებთ:

„ახალ-სენაკი, 22 თებერვალს. ახალსენაკელები თითქო ეჯიბრებიან და არ უნდათ უკან ჩამორჩნენ იმ მოწინავე პირებს, რომელნიც კისრულობენ თავის თავზე სხვადასხვა გვარს შრომას ქველმოქმედებითი საქმის მისაწვენელად. ეჭვი არ არის, რომ დიდრონ ქალაქებში, საცა დიდი საზოგადოებაა, ამნაირი მიზნის ასრულება უფრო ადვილია, მინემ იმისთანა მიყრუებულს ადგილს, როგორც ახალ-სენაკია.

მაგრამ ამ ბოლოს დროს აქაც გამოიჩინეს ამნაირი კეთილი სურვილი და ყოჩახათ შეასრულეს, რაც მონდომეს. მე ვამბობ თეატრზე.

ოც ამ თებერვალს აქ წარმოადგინეს „ძალათ ექიმი“ – მოლიერის და „გაყრა“ – გ. ერისთავის კომედიები. ეს იყო მეორე წარმოდგენა ამ მოკლე ხანში ახალ-სენაკში. წინაკვირეებში ითამაშეს მარტო „ძალათ-ექიმი“.

ხანდისხან კაცი იმისთანა ადგილს ისრეთს მოულოდნელს მოვლენას წააწყდება, რომ თითქო ზარდაცემულივით გაბეცებული რჩება და ფიქრობს: აქამდის რატომ არ მომაგონდა ესაო? სწორეთ ესრე იყო აქაც: როცა ვილაცამ ასტეხა ლაპარაკი, მოდი ერთი წარმოვადგინოთ ახალ-სენაკშიც რამეო. უმეტესი ნაწილი წინააღმდეგი იყო ამისთვის, რომ ვაი თუ არავინ მოვიდესო, ვაი თუ წარმომადგენლები ვერ ვიპოვნოთ და ან თუ ვიშოვნეთ, ვერ წარმოადგინონო და სხ. ახლა წარმოიდგინეთ იქამდის გადასძლია კეთილმა სულმა, რომ, არათუ ერთხელ, ორჯერაც ზედიზედ წარმოადგინეს ამ მოკლე დროში.

ამ წარმოდგენებში მიიღეს მონაწილეობა იმისთანა პირებმა, რომელნიც ჯერ არ ყოფილან თავის დღეში სცენაზე და მგონი ნახვითაც ბევრი არ უნახავთ; ზოგი მოთამაშებთაგანი ჭადარა წვერ-უღვაშის მექონნი აღტაცებით აღებდნენ როლებს და ყმაწვილური ხალისით ასრულებდნენ თავიანთ საქმეს. ყველანი ისეთის ხალისით და გულითადის სურვი-

ლით სცდილობდნენ, რომ თითქო ერთიმეორეს ეჯიბრებია-
ნო, – არა, მე ვაჯობო, არა – მეო. ყოველ შემთხვევაში არ შე-
მიძლია არ დავასახელო ისინი, რომელთაც ღირსეულად და-
ავირგვინეს საერთო შრომა: კნ. ვ. დადიანისამ, მ. ხოფერი-
სამ, ბ. ბებურიშვილისამ და კნ. ნ. მხეიძისამ. მადლობის ღირ-
სნი არიან ეს ხსენებული ქალბატონები არა მარტო იმის-
თვის, რომ არ იუცხოვეს სცენაზე გამოსვლა და კიდევაც
მშვენიერათ ითამაშეს, იმისთვისაც, რომ თავიანთის თავდაბ-
ლობით, მოთმინებით და სრულის სიყვარულით მაგალითს
აძლევდნენ იმ მოთამაშებს, კაცებს, რომლებიც უფრო უსა-
სოთ ეკიდებოდნენ საქმეს. კაცებში სწორეთ ნამდვილი სცე-
ნის ნიჭი გამოიჩინეს ლ. უვანიამ – მევაქსის და ივანეს როლ-
ში, გ. ბებურიშვილმა ანდუყაფარის როლში, ენუქიძემ – აქა-
ურმა მასწავლებელმა¹⁵, ლომინაძემ – სმოტრიტელმა და ბ.
ქავთარაძემ.

ორივე წარმოდგენაზე მაყურებელით სავსე იყო ზალა
და ხუთ-ხუთ მანეთს იძლეოდნენ, ოღონდ შესვლის ნება ქო-
ნოდათ. საზოგადოებამ ითხოვა, კიდევ წარმოადგინონ რამე.
ამ საქმის მოთავეებს ახლა უნდათ საკუთარი სახლი შეიძი-
ნონ, ბალაგანი¹⁶ და იმაში გამართონ ხოლმე წარმოდგენე-

¹⁵ იგულისხმება სპირიდონ ივანეს ძე ენუქიძე, რომელიც 1898 წლიდან
ახალსენაკის ნორმალური სასწავლებლის ზედამხედველად მუშაობ-
და. იხ. „ივერია“, №280, 1898; სამოღვაწეო ასპარეზზე ეს პიროვნება
ჩანს 1896-1917 წლებში. 1917 წლის 1 იანვრიდან იყო ქართველთა შორის
წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი.

¹⁶ **ბალაგანი** ეწოდება სათეატრო, საცირკო, საესტრადო წარმოდგენე-
ბისათვის განკუთვნილ დროებით ნაგებობას. სპარს. **ბალახანე** „ზედა
ოთახი, ზედა აივანი“. ბალაგანში იდგმებოდა არქეკიანიდა, ფარსები,
კლასიკოსთა ძლიერ შემოკლებული ნაწარმოებები. გამოდიოდნენ მე-
ფოკუსეები, მუშაითები, ტანმოვარჯიშეები, თოჯინების ხალხური თე-
ატრის მსახიობები... საქართველოში რუსეთის მეფის მოხელეები ცდი-
ლობდნენ ეროვნული ხალხური სანახაობებისათვის ბალაგანის დაპი-
რისპირებას

ნასუაჲსა просятъ напечатать слѣдующій отчетъ о двухъ любительскихъ спектакляхъ, данныхъ въ м. Ново-Сенаки въ февралѣ мѣсяцѣ сего 1881 года.

Поступило съ обоихъ спектаклей 311 руб., изъ коихъ израсходовано 135 р. 66 коп. Остатокъ или чистая выручка 175 р. 34 коп.; изъ нихъ 120 руб. отправлены, по порученію любителей, г. Несторомъ Ахвледиани въ Москву, въ пользу студента С. Тоцуридзе,

въ чемъ имѣется почтовая квитанція отъ 25 февраля сего года, № 31. Остальные же затѣмъ 55 р. 34 коп. переданы депутатамъ м. Ново-Сенаки Николаю Джиджихіа, Антону Кавтарадзе и Бурду Чантурія для обращенія въ пользу строящагося въ м. Ново-Сенакахъ зданія для училища.

При этомъ остались еще заняты и другія приспособленія, приобретенныя для театра, на 20 руб.; всѣ эти переданы для храненія г. Висариону Кавтарадзе.

Настоящій отчетъ не могъ быть въ свое время отправленъ по той причинѣ, что одни изъ любителей требовали передать остальные за отправленными въ Москву 120 руб. деньги для устройства библиотеки при училищѣ, другіе же обратили таковыя для усиленія средствъ по устройству зданія для училища. Наконецъ, болѣе всего оказалось на сторонѣ послѣдняго мнѣнія.

Лука Жаиніа.

პირველი ცნობა ახალსენაკის თეატრალურ წარმოდგენაზე გაზეთი «Кавказ» №138, 1881 წ.

ადგოკატსა და სცენისმოყვარეთა პირველი სპექტაკლების მონაწილეს, შემდეგში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ახალსენაკის განყოფილების ხელმძღვანელს – ლუკა ჟვანიას¹⁸. პირველი სპექტაკლის ანგარიში გამოუქვეყნებია გაზეთ «Кавказ»-ში, რაც შემდეგ ქართულად უთარგმნია და გადმოუბეჭდავს გაზეთ „დროებას“, იმავე 1881 წლის მარტში (№136). აქვე სრულად ვიმოწმებთ ლუკა ჟვანიას ამ წერილს:

¹⁷ დროება, №45, 1881, გვ. 2.

¹⁸ ლუკა გიორგის ძე ჟვანია წარმოშობით სენაკის მაზრის სოფ. ონტოფოდან უნდა ყოფილიყო. 1916 წლის 14 აგვისტოდან იგი სხვა პირებთან ერთად დასახელებულია ქშუკესის სენაკის განყოფილების მეორე ონტოფოდის ბიბლიოთეკის სამხრუნველოს წევრად. 1909 წლიდან იყო საზოგადოების ახალსენაკის განყოფილების თავმჯდომარე. საზოგადოებრივ ასპარეზზე აქტიურობის წლებია XIX ს-ის 80-იანი წლებიდან XX ს-ის პირველი ოცწლეულის პერიოდი.

„წერილი რედაქტორთან“

ბატონო რედაქტორო! სწორეთ მოგახსენო გასაკვირი იყო, რომ ამდენს ხანს სენაკის სპექტაკლების ანგარიშს თხოულობდნენ და ხმას არაეინ იღებდა: სჩანს ბ-ნ ლუკა ჟვანიას, რომელ ზედაც ყოფილა დამოკიდებული ანგარიშის მოცემა, არა სცოდნია ქართული, ამის გამო ვერ გაუგია – თუ ვინმე თხოულობდა ანგარიშს, რადგან სულ „დროებაში“ თხოულობდნენ, და აგრეთვე არ სცოდნია – საჭირო იყო ამის ბეჭდვით გამოცხადება, თუ არა. ეხლა ვილაცა კურთხეული-შივილს გაუგებინებია ბ-ნ ჟვანიასათვის ეს მოთხოვნილება და მოვესწართ ძლივს მისს ანგარიშს „კავკაზის“ მე-138 ნომერში.

აი, ბ-ნი ჟვანიას ანგარიში, გადმოთარგმნული რუსული-დამ, იმ ორი სპექტაკლისა, რომელიც იყო წარდგენილი დაბა ახალ-სენაკში თებერვლის თვეში ამა წელსა:

შემოვიდა „ორივე სპექტაკლისაგან 311 მ. დაიხარჯა 135 მ და 66 კ., დარჩა წმინდა შემოსავალი 175 მან. და 34 კაპ., რომელიდგანაც 120 მან. სპექტაკლის მოყვარეების მინდობილობით, ბ-ნ ნესტორ ახვლედიანმა გაგზავნა მოსკოვში სტუდენტის ს. თოფურიძის სახელობაზედ, რაზედაც აქვს ფორტის კვიტანცია 25 თებერვლისა ამა წლისა №31. დანარჩენი 55 მან. 34 კ. გადაეცა დეპუტატებს დაბა ახალ-სენაკისა ნიკოლოზ ჯიჯიხიას, ანტონ ქავთარაძეს და ბურდღუ ჭანტურიას სასარგებლოდ აღსაშენებელის დაბა ახალ-სენაკის სკოლისა.

ამას გარდა კიდევ არის ფარდები და სხვა მოსაწყო შექმნილი, თეატრისათვის, 20 მანეთისა, და ნივთები; ესენი აბარია შესანახავათ ბესარიონ ქავთარაძეს.

„ეს ანგარიში არ შეიძლებოდა თავის დროზედ გამოცხადებულიყო იმ მიზეზით, რომ ერთი ნაწილი სცენის მოყვარეთაგანი თხოულობდა იმ 120 მანეთის გარდა, რომელიც მოსკოვში გაიგზავნა, შერიცხულიყო დასარსებლათ ბიბლიოთეკისა სკოლაში და მეორე ნაწილი კი თხოულობდა იმ ფულების მიქცევას სასარგებლოთ სკოლის შენობისა და უძრავ-

ლესობით დამტკიცდა ეს უკანასკნელი აზრი.

ლუკა უვანია“¹⁹.

ახალსენაკის სცენისმოყვარეთა მიერ გადადგმულმა პირველმა თეატრალურმა ნაბიჯებმა ნაყოფი გამოიღო და, როგორც მკვლევარი ნ. ლაშხია აღნიშნავს, საქველმოქმედო მიზნით გამართული პირველი სპექტაკლების მიმართ მაყურებლის მიერ გამოჩენილმა დიდმა ინტერესმა მსახიობებს კიდევ უფრო გაუძლიერა სპექტაკლების გამართვის სურვილი. მათ გადაწყვიტეს, რომ გამოენახათ შენობა თეატრისათვის, შეეძინათ სცენისათვის საჭირო რეკვიზიტები და ტანისამოსი. განხორციელდა თუ არა მათი სურვილი, ამის შესახებ არაფერია ცნობილია, რადგან 10 წლის მანძილზე ამ საკითხზე პერიოდულ პრესაში არაფერი დაბეჭდილა²⁰.

1887 წელს გამართული წარმოდგენის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ახალსენაკის ნორმალური სასწავლებლის ზედამხედველი სპირიდონ ენუქიძე, რომელიც გაზ. „ივერიის“ №109-ში გამოქვეყნებულ წერილში რედაქციის მიმართ აღნიშნავდა, რომ კვირას, 24 მაისს, დაბა ახალსენაკის ნორმალური სასწავლებლის შენობაში ქართველმა სცენისმოყვარეებმა აქაური საქალებო სკოლის სასარგებლოდ წარმოადგინეს აღ. ცაგარლის კომედია-ფარსი „ბაიყუში“, ორ მოქმედებად, და ვ. აბაშიძის ვოდევილი „ცოლი თუ გინდა, ეს არი“. ამ საქმეში საქალებო სკოლის მზრუნველს, ბებურიშვილისას, ყველაზე მეტი შრომა ჰქონდა ნატვირთი. ამ საქმეში მონაწილეობდნენ სააზნაურო სკოლის მასწავლებლები თავიანთი ცოლებით, ახალსენაკის სასწავლებლის ზოგიერ-

¹⁹ „დროება“, №136, 2 ივლისი, 1881, გვ. 3.

²⁰ ნ. ლაშხია, დაბა ახალსენაკის თეატრალური ცხოვრების წარსულიდან. გაზ. „კოლხეთის ცისკარი“, №6, 14. 01. 1963; იხ. აგრეთვე: ნ. გომართელი, ნ. ლაშხია, ცხაკაიას თეატრალური ცხოვრების ისტორიიდან, 1974, გვ. 2; ე. ბაღათურიძე, ი. კეკელიძე, ახალსენაკის თეატრალური ისტორიის სათავეებთან. კრ. „პავლე ინგოროვია 130“, გვ. 90.

თი მასწავლებელი და რამდენიმე ადგილობრივი მცხოვრები. როგორც წერილიდან ირკვევა, წარმოდგენას, რამდენადაც პროვინციას შეეფერებოდა, ძალიან კარგად ჩაუვლია და საზოგადოებაც ბევრი დასწრებია. გაყიდულა 171 მან. და 15 კაპ. ღირებულების ბილეთი. შემოსული თანხიდან დაიხარჯა: პარიკმახერის ქირა და კაცის გაგზავნა ქუთაისს – 14 მანეთი; დეპეშებზე – 1 მანეთი და 20 კაპიკი; ფაიტონის ქირა ძველი სენაკიდან ახალსენაკამდე მოთამაშე ქალთა და კაცთათვის – 8 მანეთი; სცენის მოსაწყობად – 7 მანეთი და 80 კაპიკი; დარბაზის განათებაზე – 4 მანეთი და 35 კაპიკი; მუშების ქირა და მოსამსახურეებისათვის – 9 მანეთი და 50 კაპიკი; სულ ხარჯმა შეადგინა 44 მან. და 85 კაპ. წმინდა შემოსავალი დარჩა 126 მან. და 30 კაპ., რაც ჩაბარდა სპ. ენუქიძეს, „საქალეხო სკოლის უსაჭიროესს საქმის დასახმარებლად და ამ სასწავლებელთანვე წიგნთ-საცავის გასამართავად“. წერილის ავტორი განსაკუთრებულ მადლობას უხდიდა საქალეხო სკოლის მზრუნველს – ვ. ბებურიშვილისას, რომელსაც, გარდა თავისი შრომისა, 20 მანეთამდე საკუთარი ფულიც დაუხარჯავს ამ საქმისათვის²¹.

ახალსენაკში ხშირად ჩამოდიოდნენ გამოჩენილი მსახიობები და მომღერლები წარმოდგენების, კონცერტებისა და მხატვრული სადამოების გასამართავად. საინტერესოა გაზეთ „ივერიის“ ცნობა ახალსენაკში ჩეხი მომღერლის, ლოტბარ იოსებ ივანეს ძე რატილის (1840-



იოსებ რატილი (1840-1912) – ჩეხი ტენორი, ლოტბარი

²¹ „ივერია“, №109, 3 ივნისი, 1887

1912 წლ.) კონცერტის შესახებ²²): „ჩვენს მოწყენილ დაბას ბ-ნი რატილი ეწვია თავის ქალითურთ და 28 თებერვალს გამართა კონცერტი აქაურის სამოქალაქო სკოლის დარბაზში, თუმცა საზოგადოება ნაკლებად დაესწრო, მაგრამ ბ-ნი რატილი ამ გარემოებას არ შეუშინდა და კონცერტი მშვენივრად ჩაატარა და საზოგადოება დიდი ნასიამოვნები დარჩა“²³.

1891 წელს ახალსენაკელ სცენისმოყვარეებს წარმოუდგენიათ აკაკი წერეთლის „კინტო“, ხოლო 1892 წლის 19 იანვარს – ივანე (ოქროპირ) ერისთავის მიერ გადმოკეთებული მოლიერის პიესა „ძალად ექიმი“ (ორ მოქმედებად) და მისივე ვოდვეილი „ბიძიასთან გამოსუმრება“ (ერთ მოქმედებად).

²² რატილი 1879 წლიდან ცხოვრობდა თბილისში. 1880 წლიდან იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. აქ დაუახლოვდა იგი ქართველ მუსიკოსებს – ანდრია ბენაშვილს, ანდრია ბაღანჩივაძეს, ია კარგარეთელს, კ. მადრაძეს, ხ. სავანელს, ფილიმონ ქორიძეს, ზაქარია ჩხიკვაძეს. გაეცნო ქართული მუსიკალურ ფოლკლორს, მოიხიბლა მდიდარი, მრავალხმიანი სიმღერებით. ქართული ფოლკლორით მოხიბლული რატილი ჩაერთო ქართული საგალობლების ნოტებზე გადატანის საქმეში. მან პირველმა ჩაწერა და დაამუშავა 30-ზე მეტი ქართული ხალხური სიმღერა. მათ შორის იყო: „დიამბეგო“, „ალილო“, „კახური სუფრული“, „გურული ოდელია“, „ცანგალა და გოგონა“ და სხვ. 1885 წელს სათავეში ჩაუდგა ღაღო აღნიაშვილის მიერ შექმნილ ხალხური სიმღერის გუნდს – „ქართული ხორო“. რატილის „ქართული ხოროს“ შემკვიდრება დღეს მოქმედი ანსამბლი „ერისონი“. 1888 წელს რატილმა გუნდის ხელმძღვანელობა გადასცა მელიტონ ბაღანჩივაძეს. იყო საქართველოს მუსიკალური საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე. იოსებ რატილი გარდაიცვალა 1912 წლის 17 თებერვალს. დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე, კათოლიკეთა უბანში. ერის სახელით მირთმეულ გვირგვინზე ეწერა: „ქართველი ერის პატიოსან და მოჭირნახულე მეგობრის იოსებ ივანეს ძე რატილის ხსოვნას“. რატილის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ იხ. ს. ლეკიშვილი, რატილი საქართველოში, თბ., 1961; ქსე, ტ. VIII, 1984, გვ. 308.

²³ „ივერია“, №49, 6 მარტი, 1891; ე. ბაღათურია, ი. კეკელია, ახალსენაკის თეატრალური ისტორიის სათავეებთან. კრ. „პავლე ინგოროყვა 130“, გვ. 90-91.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ ქალბატონები: ვ. ალლაძისა, ვ. ჯიჯიხიასი, კვიციანიძისა, კ. მესხისა, ნ. კალანდარიშვილისა; ბატონები: ს. ყიფიანი, ვლ. აბაშიძე, ე. კვიციანიძე, ლ. ყვანია, კ. კალანდარიშვილი და ვ. ელიავა. ეს პირველი მაგალითია, რომ სენაკში ჩვენი განათლებული საზოგადოება მართავს ქართულ წარმოდგენას საქველმოქმედო დანიშნულეობით, – წერდა „ივერიის“ კორესპონდენტი. შემოსავლის დანიშნულებას გუბერნიების დამშეულ მკვიდრთა დახმარება შეადგენდა. „ვისურვებთ, რომ ჩვენს პატივცემულს სცენის მოყვარეებს შემდეგ შიაც გაემართოთ ჩვენს მიძინებულს სენაკში წარმოდგენა“, – აღნიშნავს ავტორი²⁴. ნ. ლაშხია თავის სტატიაში იმოწმებს ქ. სენაკის მკვიდრის, ყოფილი სემინარიელის – თეოფანე კალანდარიშვილის ნაამბობს, რომ დაახლოებით იმავე წლებში თბილისის სემინარიის მეორე და მესამე კურსის მოსწავლეებს, ახალსენაკის მცხოვრებთ, არდადეგების პერიოდში რამდენიმე სპექტაკლი გაუმართავთ ახალსენაკში. სპექტაკლში მონაწილეობა მიუღიათ თეოფანე კალანდარიშვილს, ირაკლი კალანდარიშვილს, გიორგი გამზარდიას, ივანე კალანდარიშვილს, ასევე ახალსენაკის ინტელიგენციის წარმომადგენლებს: ტრიფონ კალანდარიშვილს („ივერიის“ კორესპონდენტს, მასწავლებელს), ბაგრატ ჟურულს (ბანკის თანამშრომელს)²⁵ და ს. საჯაიას; ქალბატონებიდან: ეკა ჟურულს, გოგუცა საჯაიას, ფედოსია კალანდარიშვილს. სცენისმოყვარეებს წარმოუდგენიათ თუთაევის „უშნო არშიყი“ და „ცოლები დავკარგეთ“. წარმოდგენები სოფელ შხეფშიც გაუმეორებიათ. მათი თამაში მოსწონებია ახალსენაკის შტაბის მოსამსახურეს – მ. დიდგულისძეს და უთხოვია, რომ დაბაშიც გაემართათ წარმოდგენა. მართლაც,

²⁴ „ივერია“, №17, 24 იანვარი, 1892.

²⁵ იგულისხმება ბაგრატ ბეგლარის ძე ჟურული, რომელიც 1910-1917 წწ. იყო ქმწყკს-ის ბათუმის განყოფილების წევრი.

მ. დიდებულის რეჟისორობით ახალსენაკში მათ წარმოდგინეს ვალერიან გუნიას „ხოლვერობა“²⁶. იყიდებოდა ბილეთები და შემოსული ფულით რეჟისორი დასისტვის რეკვიზიტებს და ტანსაცმელს ყიდულობდა. მ. დიდებულის საკუთარი დასიც შეუდგენია და ამის შემდეგ ხშირად დგამდა თურმე სპექტაკლებს ახალსენაკში²⁷. აღნიშნულ წარმოდგენებზე თეოფანე კალანდარიშვილის მოგონება შედარებით ვრცლად არის წარმოდგენილი ნ. გომართელისა და ნ. ლაშხიას ხელნაწერ ნაშრომში, საიდანაც დამატებით იმის დადგენა მოხერხდა, რომ პირველი წარმოდგენა სცენისმოყვარეებს გაუმართავთ თეოფანე კალანდარიშვილის ეზოში, აივანზე. სპექტაკლში ქალები არ მონაწილეობდნენ, რის გამოც მათი როლები მოირგეს თეოფანე და ირაკლი კალანდარიშვილებმა. „ირაკლიმ როლი წვრილი ხმით დაიწყო. შემდეგ უცებ დაავიწყდა, რომ ქალი იყო და ხმა დააბოხა. ბევრი იცინა მაყურებელმა. მაყურებლები ახლომახლო მეზობლები და დაბიდან მოსული მოწინავე ინტელიგენტები იყვნენ. ანტრაქტებში, ფარდის ახდამდე, გიტარაზე ვუკრავდით და ვმღეროდით რატილის მიერ მომზადებულ სიმღერებს (მიხა გვაზავას თხოვნით თბილისში გვამზადებდა რატილი). ვმღეროდით: „შევსვათ ხელადით ღვინო“, „ლაჟვარდ ცაზე“, „მიდის გემი“, „შენ ხარ ვენახი“ და სხვა. მეორე წარმოდგენაში უკვე ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას. როლები კარგად შეისწავლეს და მშვენივრად თამაშობდნენ: ფ. კალანდარიშვილი, ე. ჟურული და გ. საჯაია. ტანისამოსს მეზობლებში

²⁶ წარმოდგენა გამართულა იმ ადგილას, სადაც გასული საუკუნის 90-იან წლებამდე იდგა პოლიციის შენობა, ამჟამინდელი სენაკის იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძრის ჩრდილოეთით.

²⁷ ნ. ლაშხია, დაბა ახალსენაკის თეატრალური ცხოვრების წარსულიდან. გაზ. „კოლხეთის ცისკარი“, №6, 14. 01. 1963; ნ. გომართელი, ნ. ლაშხია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 4-5.

ეთხოვლობდით“²⁸.

ახალსენაკელ სცენისმოყვარეთა რეპერტუარი ყოველ-
წლიურად ივსებოდა ახალი პიესებით. რეპერტუარის მრავალფეროვნება იწვევდა სცენისმოყვარეთა წრეების გაფართოებას, ახალი თეატრალური კოლექტივების წარმოქმნასა და განვითარებას. თანდათან იზრდებოდა მაყურებელთა მოთხოვნილებაც. დასის წინსვლას ხელს უწყობდნენ ცალკეული ენთუზიასტები, გამორჩეული ორგანიზატორიული ნიჭისა და უნარის ადამიანები. ამგვარი არაერთი მოღვაწის სახელი შემოუნახავს ქართულ გაზეთებს. თეატრალური სცენა



ვასო აბაშიძე (1854-1926) - ქართველი მსახიობი, ქართული რეალისტური სამსახიობო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი

იქცა ეროვნული და პოლიტიკური თვითშეგნების ზრდისა და რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის საიმედო ტრიბუნად. რეპერტუარში უცხოურთან ერთად წამყვანი ადგილი ეჭირა ქართულ ორიგინალურ პიესებს.

ახალსენაკის თეატრის ისტორიასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული სცენის გოლიათის, ქართული სამსახიობო კულტურის ერთ-ერთი ფუძემდებლის – **ვასო აბაშიძის (1854-1926 წწ.)** მოღვაწეობა. მისი სასცენო მოღვაწეობა ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს გრძელდებოდა²⁹. 1893

²⁸ ნ. გომართელი, ნ. ლაშხია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 4;

²⁹ ვ. აბაშიძის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ იხ. ს. გერსამია, ვასო აბაშიძე, თბ., 1949.

წლის 27 ივნისს ახალსენაკში ტფილისის ქართული თეატრის არტისტმა ვასო აბაშიძემ წარმოადგინა დრამატული ეტიუდი ერთ მოქმედებად „ტასიკო“, ახალი პიესა „სწავლული ცოლი“, სცენა-მონოლოგი ერთ მოქმედებად – ვ. აბაშიძისა, და დასასრულ „ონიბაზი“ – ვოდვეილი ერთ მოქმედებად. წარმოდგენებში მონაწილეობდნენ ქ. არლანია, აბაშიძე, მჭედლიშვილი და თამაზაშვილი. „წარმოდგენას დაესწრო ჩვენი საზოგადოება და ვინც-კი დაესწრო, ყველა დიდად ნასიამოვნები დარჩა... მოთამაშებმა თავიანთი როლები სწორედ სანაქებოდ ჩაატარეს და საზოგადოებაც დიდს აღტაცებაში მოიყვანეს“, – წერდა გაზეთი „ივერია“³⁰.

1893 წლის 21 დეკემბერს ახალსენაკს სწვევია ქართველი კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე, ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებელი **მელიტონ ანტონის ძე ბალანჩივაძე** (1863-1937 წწ.), რომელსაც მევიოლინე მ. ძნელაძის³¹ მონაწილეობით გამართულ კონცერტზე შეუსრულებია სიმღერები: „ტყემ მოისხა ფოთოლი“, „ნუ შემობრალე“ და „ნანა შვილო“, რაც მაყურებელს ძლიერ მოსწონებია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, XIX ს-ის 90-იან წლებში ახალსენაკის სცენისმოყვარეთა წრეს ხელმძღვანელობდა **მიხეილ დიდებულისძე**, რომელმაც დიდი ამაგი დასდო სენაკში თეატრალური ცხოვრების შემდგომ განვითარებას³². იმდროინდელი პრესის ფურცლებიდან ამოკრებილი ცნობები ადასტურებს მიხეილ დიდებულისძის უდიდეს ამაგს ახალსენაკში სცენისმოყვარეთა მიერ სპექტაკლების გამართვის საქმეში. 1894 წლის 9 იანვარს მისი თაოსნობით ადგილობ-

³⁰ „ივერია“, №138, 2 ივლისი, 1893

³¹ მ. ძნელაძე (კლდიაშვილი) იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი საოპერო მომღერალი ქალი. მისი შვილი თამარ ძნელაძე (1889-1917 წწ.) იყო პირველი ქართველი პროფესიონალი მევიოლინე ქალი.

³² 1890 წელს მ. დიდებულისძე ქართული დრამატული დასის მსახიობი იყო. 1916 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრი ყოფილა.

რივმა ქართველმა სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს ვ. გუნიას „მონადირე“, ვ. აბაშიძის „ტასიკო“, მისივე „ცოლი თუ გინდათ, ეს არის“ და კ. ყიფიანის³³. ვოდვეილი „დატრიალდა ჯარა“. წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დასწრებია. „ერთმა მოთამაშეთაგანმა ბ-ნ ნესტორ ზ. გაბუნიაშვიტად გაგვახალისა. მისი მიხვრა-მოხვრა, სიტყვების კარგად წარმოთქმა, აგრეთვე წარმოდგენის დასასრულ – ლექური სწორედ მშვენიერება იყო“, – წერდა გაზეთი³⁴.

სენაკის ქართული საზოგადოების დიდი მოწონება და უმსახურებია 1894 წლის 23 იანვარს, კვირას, მისი თაოსნობით სცენისმოყვარეთა მიერ გამართულ წარმოდგენებს: „რაც არ გერგება, არ შეგერგება“, ვოდვეილი ერთ მოქმედებად, ვალერიან გუნიასი; „ტასიკო“ – დრამატული ეტიუდი ერთ მოქმედებად, ვასო აბაშიძისა; „დატრიალდა ჯარა“, ვოდვეილი ერთ მოქმედებად, კ. ყიფიანისა, და „ხოლერობა“, ვოდვეილი, ხუმრობა ერთ მოქმედებად, ვ. გუნიასი. წარმოდგენაში სულ 11 ადამიანი მონაწილეობდა. ცნობილია ზოგი მათგანის ვინაობაც (ქალებიდან: ეკატერინე ჟურული, ფედოსია კალანდარიშვილი, პ. საჯაია, მამაკაცებიდან: ნესტორ გაბუნია, ტრიფონ კალანდარიშვილი...). „ამათ მიერ ამ თთვის ცხრას კიდევ იქნა წარმოდგენა გამართული, ბ-ნ მ. ზ. დიდებულიძის თაოსნობითვე. პირველმაც და მეორე წარმოდგენა-

³³ კონსტანტინე (კოტე) ყიფიანი (1849-1921 წწ.) იყო ქართველი მსახიობი, დრამატურგი, მთარგმნელი და ლექსიკოგრაფი, ქართველი საზოგადო მოღვაწის – დიმიტრი ყიფიანის ვაჟი. სიყმაწვილიდან სცენამ გაიტაცა. 16 წლისამ პირველად შეასრულა პაუის როლი მოლიერის პიესაში. იყო სახალხო თეატრის პირველი რეჟისორი და მსახიობი. კ. ყიფიანის კალამს ეკუთვნის პიესები: „ბედი ქართლისა“, „ორი მამა“, „ცოტნე დადიანი“, „ბრძოლა“, „დატრიალდა ჯარა“, „ომი ოჯახში“, „გამარჯვება“, „საიდუმლოება“; ასევე თეორიული ხასიათის ნაშრომები თეატრისა და მსახიობის ოსტატობაზე. ავტორია აგრეთვე რამდენიმე მოთხრობისა და ნარკვევისა.

³⁴ „ივერია“, №9, 13. 01. 1894; მსჯელობისათვის იხ. ე. ბაღათურია, ი. კეკელია, ახალსენაკის თეატრალური ისტორიის სათავეებთან. კრ. „პველი ინგოროყვა 130“, გვ. 92-93.

მაც მშვენივრად ჩაიარა. რაც შეეხება მოთამაშეებს, ყველას ეტყობოდათ, რომ როლებს შესწავლაში არავითარი შრომა არ დაეზოგათ. განსაკუთრებით ყურადღების ღირსნი იყვნენ ქალები, მათი მიხვრა-მოხვრა და მკაფიო ლაპარაკი, კარგი დიქცია. ეს პატივცემული ქალები პირველად გამოვიდნენ სცენაზე და ახლავე, ეტყობათ, რომ მომავალში უკეთეს ნიჭს და უნარს გამოიჩენენ. ყმაწვილებმაც ყველამ კარგად შეასრულეს თავიანთი როლები“. ამ ორი წარმოდგენიდან შემოსულა ცხრა თუმნამდე. ხარჯმა თითქმის ექვს თუმანზე მეტი შეადგინა. დანარჩენი თანხიდან ნაწილი ახალსენაკში ახლად ასაშენებელი ეკლესიისთვის გადაიღო, ხოლო სხვა დანარჩენი – საქველმოქმედო საქმისათვის. „მადლობის ღირსია ბ-ნი მიხეილ ზ. დიდებულიძე, – წერს „ივერია“, – რომელმაც ჩვენს ახალ მოთამაშეებს თაოსნობა გაუწია და თავის მხრით არავითარი ზრუნვა არ დაუზოგავს. აგრედვე მადლობის ღირსნი არიან თავ. ფ. მხეიძე, რომელმაც დარბაზი უსასყიდლოდ დაუთმო მოთამაშეებს, ბ-ნი ჟურული ბილეთების გასყიდვისათვის და გაბუნია ხალიჩების და სხვა ნივთების დათმობისათვის. ჩვენი საზოგადოება ამ წარმოდგენებით დიდი კმაყოფილი დარჩა. ანტრაქტებში მუსიკას უკრავდნენ აქაურ სამოქალაქო სასწავლებლის შევირდები“³⁵.

მ. დიდებულიძემ 1894 წლის №81-ში გამოაქვეყნა „წერილი რედაქციის მიმართ“, საიდანაც ირკვევა, რომ 9 და 23 იანვარს გამართული წარმოდგენებიდან შემოვიდა სულ 102 მანეთი. გარკვეული თანხა დაიხარჯა სცენის მოსაწყობად, ინვენტარის შესაძენად და სხვა ტექნიკური მხარეების მოსაგვარებლად. მოთამაშე ყმაწვილებმა ჩაიბარეს 34 მან., საიდანაც 10 მან. მათ ნებაყოფლობით გადასცეს ბლადონინს,

³⁵ „ივერია“, №20, 27 იანვარი, 1894, გვ. 1; ე. ბლათურია, ი. კეკელია, ახალსენაკის თეატრალური ისტორიის სათავეებთან. კრ. „პავლე ინგოროყვა 130“, გვ. 93-94.

ახალსენაკში მშენებარე ეკლესიისათვის³⁶.



თავად ფარნაოზ დავითის ძე მხეიძის (1840-1903 წწ.) საფლავი სენაკში. მის სახელში იმართებოდა თეატრალური წარმოდგენები XIX ს-ის 90-იან წლებში

ახალსენაკის ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა 1894 წლის 1 ოქტომბერს კლუბის დაარსება, სადაც ერთი პატარა დარბაზი თეატრს დაეთმო. კლუბის დასაარსებლად მზადება ჯერ კიდევ 1892 წელს დაუწყიათ, რისთვისაც საგანგებო კრებაც მოუწვევიათ. ინიციატივას ადგი-

³⁶ „ივერია“, №81, 14 აპრილი, 1894, გვ. 4.

ლობრივი ინტელიგენცია დიდი სიხარულით შეხვდა და დაიწყო ზრუნვა შენობის შესარჩევად, მაგრამ კარგად დაწყებული საქმე მალევე მიივიწყეს. 1894 წელს კვლავ აღიძრა კლუბის დაარსების საკითხი, რაც კეთილად დაგვირგვინდა. საწვევრო გადასახდის სახით დაწესდა 15 მანეთი. „ივერიის“ კორესპონდენტი ტრიფონ კალანდარიშვილი წერდა, რომ სასურველია ახალსენაკის კლუბთან სამკითხველოს დაარსებაც, რადგან ღარიბებს შესაძლებლობა არა აქვთ კლუბის წევრობისა. ამიტომ ითხოვდა მათთვის ჟურნალ-გაზეთების გამოწერას. როგორც ჩანს, ეს სურვილი უყურადღებოდ არ დარჩენილა და კლუბთან ჩამოყალიბებული სამკითხველოს სასარგებლოდ 1895 წლის 2 თებერვალს ფასიანი საცეკვაო საღამოც გამართულა³⁷. იმავე წლის 21 აპრილს მ. დიდებულის თაოსნობით გაიმართა სალიტერატურო საღამო, სადაც ნაჩვენებმა ბუნდოვანმა სურათებმა დიდად ასიამოვნა ყველა და, განსაკუთრებით – ბავშვები. სურათების ჩვენებაში მ. დიდებულისათვის დახმარება გაუწევია სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს – ს. მატარაძეს. „დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი დიდებულის იმ ერთგულ და გულწრფელ სამსახურისათვის, რომელსაც იგი სხვა-დასხვა საზოგადო და საქველმოქმედო საქმეს უჩენს, მადლობის ღირია აგრეთვე ბ-ნი მატარაძეც“, – წერდა გაზეთი³⁸.

ახალსენაკის თეატრალური ცხოვრების გამოცოცხლება დაკავშირებულია **აექსენტი (ასიკო) ცაგარელის** სახელთან. იმ პერიოდში, როდესაც ჩვენი მწერლობა ორიგინალური პიესების დიდ ნაკლებობას განიცდიდა, ეროვნული დრამატურგიული მწერლობის ნიჭიერი გამგრძელებლის ორიგინალური და თარგმნილ-გადმოკეთებული პიესები – „რაც გი-

³⁷ ნ. ლაშხია, დაბა ახალსენაკის თეატრალური ცხოვრების წარსულიდან. გაზ. „კოლხეთის ცისკარი“, №6, 14 იანვარი, 1963; ნ. გომართელი, ნ. ლაშხია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 7.

³⁸ „ივერია“, №96, 5 მაისი, 1895.

ნახავს, ვეღარ ნახავ“, „ხანუმა“, „ციმბირელი“, „ჭკუისა მჭირს“, „როგორც მოხვალ სვინაო“, „გლეხის ქალი გულჯავარი“, „ორი ობოლი“, „მკითხავი“ და სხვ., მაცოცხლებელ წყაროს წარმოდგენდა ახლადდაარსებული ქართული თეატრისათვის³⁹. ცნობილია, რომ 1894 წლის 1 დეკემბრიდან თავისი მეგობრის, ნიკო ნიკოლაძის დახმარებით იგი ქიურდამირიდან გადმოყვანილ იქნა საქართველოში და დაინიშნა ახალსენაკის რკინიგზის სადგურის უფროსის თანამდებობაზე⁴⁰. შესაბამისად, სამსახურებრივად აქ გადმოსახლებულ და დამკვიდრებულ ასიკო ცაგარელს თან ჩამოყვა მისი მეუღლეც, ქართული თეატრის შესანიშნავი მსახიობი ნატო გაბუნია. ცოლ-ქმარმა დიდი ამაგი დასდეს ახალსენაკში თეატრალურ საქმეს⁴¹.



ავქსენტი ცაგარელი და მისი მეუღლე ნატო გაბუნია

³⁹ ო. კასრაძე, ავქსენტი ცაგარელი, თბ., 1966, გვ. 52-53.

⁴⁰ ალ. ბურთიკაშვილი ახალსენაკის სადგურის უფროსად ასიკო ცაგარელის გადაყვანის თარიღად 1895 წელს მიუთითებს. იხ. ალ. ბურთიკაშვილი, ნატო გაბუნია, თბ., 1949, გვ. 57.

⁴¹ ნ. ლაშხია, ასიკო ცაგარელი ახალსენაკში. „კოლხეთის ცისკარი“, №24, 24 თებერვალი, 1977.

ა. ცაგარლის ბიოგრაფი ო. კასრაძე ახალსენაკში ცოლ-ქმრის მოღვაწეობის შესახებ აღნიშნავს, რომ „თუმცა ახალსენაკი თავისი მდებარეობით დაბლობსა და ციებიან ადგილს წარმოადგენდა, მაგრამ ქიურდამირთან შედარებით მას ის უპირატესობა მაინც ჰქონდა, რომ ოთხი წლის განმავლობაში მშობლიურ მხარეს მოწვევტილი ცოლ-ქმარი თავიანთ თვისტომთა შორის ტრიალებდნენ და უფრო ადვილად ამყარებდნენ კავშირს, როგორც თბილისში მყოფ ახლობელნათესავეებთან, ისე საყვარელ თეატრთან. განსაკუთრებით გაახარა ასიკოს ახალსენაკში სადგურის უფროსად დანიშვნამ ნატო გაბუნია, რადგან ამით საშუალება ეძლეოდა, ახლო ყოფილიყო მამა-პაპისეულ სოფელთან – ბანძასთან. სენაკის მაზრიდან გორში გადმოსახლებული იაგორ გაბუნიას შვილიშვილი ნატო გაბუნია სამშობლო კუთხის სცენაზე – სენაკსა და ბანძაში მართავს წარმოდგენებს და ასიკოს „ხანუმას“ და სხვა პიესებს აცნობს ხალხს“⁴².

1895 წლის 21 მარტს ძველი სენაკის სათავადაზნაურო სკოლის ზედამხედველის – სამსონ ყიფიანის (1855-1937 წწ.)⁴³ თაოსნობით, ამავე სკოლის სასარგებლოდ, გაიმართა წარმოდგენა, რამაც ჩინებულად ჩაიარა. წერილის ავტორი, ვინმე „სცენის მოყვარე“ „ივერიაში“ აღნიშნავს, რომ „ამ წარმოდ-

⁴² ო. კასრაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 65-66. მსჯელობისათვის იხ. აღ. ბურთიკაშვილი, ნატო გაბუნია, თბ., 1949, გვ. 57-58.

⁴³ პედაგოგიური მუშაობის პარალელურად სამსონ ყიფიანი მოღვაწეობდა ქართულ სცენაზე, როგორც მსახიობი და თანამშრომლობდა გაზეთ „დროებასთან“. „დროების“ დახურვის შემდეგ ათავსებდა კრიტიკულ, მხატვრულ და იუმორისტულ წერილებს „ივერიაში“; ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მესვეურებმა ს. ყიფიანს შესთავაზეს ძველ სენაკში განზრახული სააზნაურო სკოლის ხელმძღვანელოა. სასწავლებელი გაიხსნა 1884 წელს. იგი ენერგიულად შეუდგა სასწავლებლის მოწყობისა და გახსნის საქმეს. ძველი სენაკის სააზნაურო სკოლის, როგორც ქართული კულტურის პატარა კერის შემქმნელი და ხელმძღვანელი სამსონ ყიფიანი იყო. იგი ამ თანამდებობაზე 1898 წლამდე იყო.

გენას აქაური ინტელიგენცია უფრო დაესწრო, ვიდრე სოფლის ხალხი. რა იყო მიზეზი? ისევ იმ ბილეთების სიძვირე 2 და 3 მანეთი, რომლის შეძლება მუშა ხალხს არა აქვს“. დაე, იმ მდიდარი ინტელიგენციისათვის მაინც გამართონ წარმოდგენები, დასძენს კორესპონდენტი, ოღონდ უქმად ნუ გაჩერდებიან. მოქმედი პირნი საკმაოდ არიან აქ. ნატო გაბუნია-ცაგარლისა აქ არის და მისი დახმარებით შეიძლება წარმოდგენა თვეში ორჯერ მაინც გაიმართოს და ბილეთის ფასიც ისეთი იყოს, რომ გლექსკაცობასაც შეეძლოს წარმოდგენის ყურება“⁴⁴.

1895 წლის 27 მარტს ახალსენაკში გამართული ქართული წარმოდგენის შესახებ „ივერიის“ კორესპონდენტი ტრიფონ კალანდარიშვილი აღნიშნავდა, რომ ქართველი საზოგადოების საყვარელი მსახიობი ქალის – ნატო გაბუნია-ცაგარლის (1859-1910 წწ.) მონაწილეობით წარმოდგენილი იქნა ავქსენტი ცაგარლის სამმოქმედებიანი კომედია „ხანუმა“. წარმოდგენაში მონაწილეობდნენ ქალბატონები – ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ბ. გრიგოლია, ე. კვიციანიძისა, ეკ. ჟურული და ა. ჯაფარიძისა, ბატონები – ს. ყიფიანი, ს. მგალობლიშვილი⁴⁵, ვ. ელიავა, ი. გოგოლაშვილი⁴⁶ და ნ. გაბუნია. რაც შეეხება მოთამაშეებს, შენიშნავს ტრ. კალანდარიშვილი, – ყვე-

⁴⁴ „ივერია“, №78, 15 აპრილი, 1895, გვ. 2; მსჯელობისათვის იხ. ე. ბადათურია, ი. კეკელია, ახალსენაკის თეატრალური ისტორიის სათავეებთან. კრ. „პავლე ინგოროყვა 130“, გვ. 95.

⁴⁵ იგულისხმება ცნობილი ქართველი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე სოფრომ ზაქარიას ძე მგალობლიშვილი (1851-1925 წწ. 1893-1897 წლებში იგი მუშაობდა ფოთში, სამეგრელოს საეპარქიო სამმართველოში. როგორც ჩანს, ახალსენაკის სცენისმოყვარეთა დასთან ს. მგალობლიშვილის თანამშრომლობა ფოთში მოღვაწეობით იყო განპირობებული.

⁴⁶ ეს ხომ არ არის იოსებ (სოსო) ალექსანდრეს ძე გოგოლაშვილი, რომლის თეატრალური სტატიები ხშირად იბეჭდებოდა 1910-1914 წლებში, ჟურნალში – „თეატრი და ცხოვრება“. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზე იგი აქტიურად მოღვაწეობს 1910-1921 წლებში.

ლას თავისი როლები კარგად ჰქონდა შესწავლილი. მათ შორის საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას იზიდავდა, როგორც მოსალოდნელი იყო, ქალბატონი ნატო გაბუნია-ცაგარლისა. ამ პატივცემულ მსახიობ ქალს კარგი სახელი აქვს დამსახურებული. სცენაზე არაერთხელ იქნა გამოწვეული და ვაშას ძახილით დაჯილდოებული. აქაური საზოგადოება პირველად ხედავდა საყვარელი მსახიობი ქალის თამაშს და, რა თქმა უნდა, სცენაზე მის გამოსვლას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. „ხანუმა“ როლს თვითონვე თამაშობდა, რომელმაც ნამდვილად დაუხატა ყველას მაჭანკლობა. დანარჩენი მოთამაშე პირებიც კარგები იყვნენ თავიანთ როლებში და ღირსეულად ითამაშეს. კაცთა შესახებაც ასევე გვეოქმის, რაც ქალებზედ ვთქვი.

საზოგადოება ამ წარმოდგენას საკმაოდ დაესწრო და ჩინებულად ჩაიარა. ამ წარმოდგენის შემოსავალი, ხარჯს გარდა, საქველმოქმედო დაწესებულებებს მოხმარდება. ავტორი წერს, რომ რადგან პროვინციებში წარმოდგენები ხშირად არ იმართება, სასურველია, ბილეთების ფასები ისე იყოს დანაწილებული, როგორც პროვინციებს შუჭუერის და არა ისე, როგორც დიდ ქალაქებშია სასურველია, სანამ ხალხი წარმოდგენის სიყვარულს შეითვისებდეს, მანამდე ბილეთები ცოტა ნაკლებ ფასად იყიდებოდეს. ამით ხალხი უფრო მალე მიეჩვევა წარმოდგენას და მოთავეც მეტ ხეირს ნახავს...⁴⁷

⁴⁷ ტრ. კალანდარიშვილი, თეატრის მატრიანე. „ივერია“, №66, 25 მარტი, 1895. ცნობილი ქართველი კომედიოგრაფის – ავქსენტი ცაგარლის უკვდავი კომედია „ხანუმა“ გასული საუკუნის 30-40-იან წლებშიც რამდენჯერმე იქნა წარმოდგენილი ცხაკაიას სახელმწიფო თეატრის სცენაზე. პირველად ეს მოხდა 1938 წლის 15 ნოემბერს. ორი ხეზონის განმავლობაში სპექტაკლი წარმატებით იდგმებოდა მეზობელი რაიონებისა და სოფლების კლუბებშიც, სადაც ხანუმას როლს თამაშობდა მაკა ქართველიშვილი. 1939 წლის 20 დეკემბერს თეატრმა მაცურებელს უწვენა ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. სპექტაკლში როლებს

1895 წლის 21 ნოემბერს ასიკო ცაგარლისა და ნატო გაბუნიათ თაოსნობით ახალსენაკის საზოგადო საკრებულო დარბაზში (ეს იყო ახლადდარსებული კლუბის შენობა) დაიდგა რაფიელ ერისთავის მიერ გადმოკეთებული ვოდვეილი (ორ მოქმედებად) „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ და ილია ჭავჭავაძის „დედა და შვილი“ (ეპიზოდი დავით აღმაშენებლის დროიდან). სპექტაკლში მონაწილეობდნენ: ფედოსია კალანდარიშვილისა, ვ. ელიავა⁴⁸, ნესტორ გაბუნია⁴⁹, ტრიფონ კალანდარიშვილი, ნატო გაბუნია-ცაგარლისა და ასიკო ცაგარელი. „მოთამაშებმა თავიანთი როლები კარგად შეასრულეს, – წერდა ათანასიძე, – მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მეტად კარგნი იყვნენ თავ-თავიანთ როლებში ბ-ნი გაბუნია-ცაგარლისა და ბ-ნი ა. ცაგარელი. მომეტებულად კი პირველი „დედის“ როლში იმ დროს, როცა დედა ეთხოვება შვილს და დიდის სულისკვეთებით ისტუმრებს სამშობლოს დასაცველად. ეს სცენა ისე ხელოვნურად და სინამდვილით

თამაშობდნენ: დ. სიღამონიძე, ა. ბენაშვილი, ბ. არჩაია, შ. გაბისკირია, კ. კალანდაძე, აკ. შუბლაძე, ნ. დადიანი, შ. შარვაძე, მ. მოსიაშვილი და სხვები. 1943 წლის 17 აპრილს თეატრმა წარმოადგინა ცაგარლის მესამე პიესა „ციმბირელი“, ხოლო 1944 წლის 26 თებერვალს – მისივე ორმოქმედებიანი ფარსი „მშვენიერი ელენეს მადიებელი“ (გადმოკეთებული ა. ცაგარლის მიერ, ვ. კრილოვის პიესიდან). 1948 წლის 27 აპრილს მაყურებელმა კვლავ იხილა სცენაზე „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. მსჯელობისათვის იხ. კ. კალანდაძე, ავქსენტი ცაგარლის პიესები ცხაკაიას თეატრის სცენაზე. გაზ. „ავანგარდი“ (ცხაკაია), №120, 11 ოქტომბერი, 1953

⁴⁸ ვლადიმერ (ვლადო) ბესარიონის ძე ელიავა 1900-იან წლებში მუშაობდა საჭილაოს (ახლანდ. სოფ. პირველი მაისი აბაშის მუნიციპალიტეტში) სკოლის გამგედ. ქშწკგს-ის 1908 წლის ანგარიშის მიხედვით ვლ. ელიავა ვალდებული იყო, ყოველწლიურად საწევრო 3 მან. გადაეხადა. 1914 წლის 18 თებერვალს ქშწკგს-ის გუდაუთის განყოფილების მიერ მთავარგამგებობისადმი გაგზავნილი დოკუმენტის მიხედვით ვლ. ელიავა გუდაუთის განყოფილების წევრია.

⁴⁹ ნესტორ ზურაბის ძე გაბუნია 1916 წლისათვის იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამტრედიის განყოფილების წევრი.

იქმნა დახატული, რომ დიდი გავლენა და შთაბეჭდილება იქონია მაყურებლებზე და ბევრს ქაღს თუ კაცს ცრემლები აფრქვევინა. სხვა მოთამაშეებსაც არაფერი უჭირდათ, როგორც ახალს მოთამაშეებსა. შემდეგში, რასაკვირველია, ჩვენი ახალი მსახიობები კარგად ეცდებიან, თუ უნდათ საზოგადოების ნდობა და სიყვარული მოიპოვონ⁵⁰.

სპექტაკლის შემდეგ მიხეილ დიდებულებს ჭიანჭურზე დაუკრავს და ნატო გაბუნიას უმღერია „სამშობლო ხევსურისა“ და სხვა ქართული სიმღერები. სპექტაკლის დასასრულს გამართულმა ლეკურმა შუაღამის 2 საათამდე გასტანა. აგრეთვე უკრავდა სამტრედიიდან მოწვეული მუსიკალური ჯგუფი. „ახლა ჩვენს ახალ-სენაკში „კლუბიც“ არის, – წერს რეპორტიორი, – სადაც შეიძლება წარმოდგენების გამართვა მალ-მალე, მით უფრო, რომ წარმოდგენისათვის ცალკე არის დიდი დარბაზი სცენისათვის მოწყობილი“. წარმოდგენის შემოსავალის ნაწილი მოთამაშეების სურვილისამებრ რაფიელ ერისთავის ფონდის სასარგებლოდ გადადებულა⁵¹.

1895 წლის 6 დეკემბერს ვასო აბაშიძისა და ნატო გაბუნიას მონაწილეობით ადგილობრივ სცენისმოყვარეებს გაუმართავეთ წარმოდგენა ახალსენაკის კლუბის სასარგებლოდ⁵². იმავე წლის 28 დეკემბერს ნატო გაბუნიას საბენეფისოდ წარმოდგენილი ყოფილა რაფიელ ერისთავის „ბიძისთან გამოხუმრება“ და ა. ცაგარლის „ხანუმა“. ახალსენაკის სცენისმოყვარეებთან ერთად წარმოდგენებში მონაწილეობ-

⁵⁰ „ივერია“, №263, 5 დეკემბერი, 1895. მსჯელობისათვის იხ. ე. ბაღათური, ი. კეკელია, ახალსენაკის თეატრალური ისტორიის სათავეებთან. კრ. „პავლე ინგოროყვა 130“, გვ. 96-97.

⁵¹ „ივერია“, №263, 5 დეკემბერი, 1895; მსჯელობისათვის იხ. აგრეთვე ნ. ლაშხია, დაბა ახალსენაკის თეატრალური ცხოვრების წარსულიდან. გაზ. „კოლხეთის ცისკარი“, №6, 14. 01. 1963.

⁵² „ივერია“, №270, 14 დეკემბერი, 1895.

დნენ თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსული ვასო აბაშიძე და ვასო ბალანჩივაძე. მაყურებლის განსაკუთრებული მოწონება დაუმსახურებია ნატო გაბუნისა და ვასო აბაშიძის მიერ შესრულებულ როლებს.



ავქსენტი ცაგარელი და ნატო გაბუნია

ავქსენტი ცაგარელისა და ნატო გაბუნისა თეატრალურ დეაწლს დიდად აფასებდა ახალსენაკის მოწინავე ინტელიგენციის, რაც კარგად ჩანს 1896 წელს გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნებული კორესპონდენციიდან. გახეთი წერდა, რომ „ახალსენაკი თანდათან იღვიძებს: ხშირად იმართება ქართულ-რუსული წარმოდგენები, რომელიც საზოგადოებას

დიდად იზიდავს და ყველანი მადლიერნი არიან ქნის ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა და ახალ-სენაკელ ქართულ სცენის მოყვარე მსახიობისა, რომლებიც სიამოვნებით იღებენ მონაწილეობას წარმოდგენებში⁵³.

სულ მალე იგივე გაზეთი მკითხველს აუწყებდა ცოლქმრის ახალსენაკიდან წასვლის შესახებ: „ახალ-სენაკიდან გვატყობინებენ, რომ ბ-ნი ავქ. ცაგარელი და მეუღლე მისი ნ. მ. გაბუნია ცაგარლისა ახალსენაკს თავს ანებებენ⁵⁴, რადგანაც სამსახურისა გამო სხვა ადგილას გადაუყვანიათ ავქ. ცაგარელი. ამ გარემოებას დიდად სამწუხაროდ მიიჩნევს მთელი ახალ-სენაკი, რადგანაც მათის წყალობით საკმაოდ კარგად მოვაწყეთ ქართულ-რუსული წარმოდგენების საქმე და სამუდამო დასიც გვყავდაო, გვწერს ჩვენი კორესპონდენტი და ეხლა-კი ეს დიდად პატივცემულნი პირნი, რომელთაც არა მცირედი ღვაწლი მიუძღვოდათ ამ საქმეში, გვმორღებიანო⁵⁵.

რა გახდა ახალსენაკიდან ასიკო ცაგარლის წასვლის მიზეზი? აქ მოღვაწეობის პერიოდში სადგურის ერთ-ერთმა გაიძვერა მოხელემ – ვინმე კასენბერგმა, რომელიც ასიკოს თანამშემწედ მუშაობდა, თანამზრახველებთან ერთად სადგურის საღაროდან 2720 მანეთი მოიპარა, რისთვისაც ასიკო ცაგარელი, როგორც სადგურის უფროსი და მატერიალურად პასუხისმგებელი პირი, თანამდებობიდან გადააყენეს. გამოძიებამ ასიკოს უდანაშაულობა დაადგინა, თუმცა იგი ძველ თანამდებობაზე მაინც არ დაუბრუნებიათ და 1896 წელს ჭალადიში დაუნიშნავეთ სადგურის უფროსად. როგორც ქიურდამირი ახერბაიჯანში, ისე ჭალადიდი საქართველოში, ნაკლებადდასახლებულ, მოუწყობელ დაბას და ციების ბუ-

⁵³ „ივერია“, №7, 11 იანვარი, 1896, გვ. 1.

⁵⁴ იხ. ნ. ღაშხია, ასიკო ცაგარელი ახალსენაკში. გაზ. „კოლხეთი“, №24, 24 თებერვალი, 1977.

⁵⁵ „ივერია“, №14, 19 იანვარი, 1896.

დეს წარმოადგენდა. „ახალ ადგილზე გადაყვანისთანავე, – წერს ო. კასრაძე, – ასიკომ მისთვის ჩვეული ენერგიით მოჰკიდა ხელი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას. მალე მინგრეულ-მონგრეული სადგურის მეურნეობა ფეხზე დააყენა. აქ, ჭალადიდში, ასიკოს ბინა თავისებურ კულტურის კერად გადაქცეულა, სადაც ხშირად იკრიბებოდნენ სხვადასხვა საქმის გამო დასაველეთ საქართველოში ჩასული ცნობილი საზოგადო მოღვაწეები ა. წერეთელი, ს. მგალობლიშვილი, ი. მეუნარგია და ინტელიგენციის სხვა საუკეთესო წარმომადგენლები“⁵⁶.

ჭალადიდის ციებ-ცხელებიანი ადგილები უარყოფით გავლენას ახდენდა ასიკო ცაგარლის ისედაც შერყეულ ჯანმრთელობაზე. 1899 წლის 22 ივლისს რკინიგზის ხელმძღვანელობისადმი გაგზავნილ წერილში იგი წერდა: „მეოთხე წელიწადია, ვმასხურობ ჭალადიდის სადგურში, ეს ნიშნავს... მე ვიმყოფები გადასახლებაში, სადაც ავადმყოფობამ... გამათეთრა. ეს ავადმყოფობა სამსახურში შევიძინე. ამას ადასტურებს ის, რომ ვიმუშავე რა თბილისის სადგურში დაახლოებით შეიდი წელიწადი, არც ერთი დღე არ მიავადმყოფია. შემდეგ დანიშნულ ვიქენი, უნდა ვიგულისხმოთ, რომ „სამსახურისათვის სარგებლობის მოსატანად“, ქიურდამირის სადგურის უფროსად, სადაც ზუსტად ოთხი წელიწადი დავეყვი. პირველი ორი წელიწადი კარგად გავატარე... შემდეგ დაავადდი მალარიით, რომელმაც მიმიყვანა უკიდურესობამდე. უნდა ითქვას, რომ ბაქოს ხაზის დაარსებიდან არც ჩემამდე და არც ჩემს შემდეგ არც ერთი სადგურის უფროსს ქიურდამირში სამ წელიწადზე მეტხანს არ უმსახურია ავთვისებიანი ციების მძვინვარების გამო. ჩემი ქიურდამირში ჩასვლიდან ოთხი წლის შემდეგ უფროებმა სასარგებლოდ მიიჩნიეს ჩემივე თხოვნით გადავეყვანე ახალსენაკში ხელფასის შენარჩუნ-

⁵⁶ იქვე, გვ. 66.

ნებით (თვეში 100 მანეთი)... მაგრამ ახალსენაკის სადგური ისეთივე ციებიანი აღმოჩნდა ჩემთვის, როგორც ქიურდამირი... ამ დროს ჩემს თანაშემწეს შეემთხვა უბედურება, რომელმაც დაკარგა... ჩასაბარებელი ნავაჭრი ფული. მე გადამიყვანეს ჭალადიდის სადგურში და ხელფასიც შემიმცირეს 1200 მანეთიდან 900 მანეთამდე. მე უსიტყვოდ დავემოჩილე უფროსების განკარგულებას, რადგანაც მწამდა, რომ სიმართლე და სისწორე გაირკვეოდა. და აი ამის გარკვევას ველოდები დღევანდლამდე...

ამრიგად, დღევანდლამდე დაქვითული მაქვს 10000 მანეთზე მეტი. მერე და რისთვის? იმისათვის, რომ სამსახურში ცდასა და ზრუნვას ვიჩინდი?... ყველამ იცის, რომ დამნაშავეთაც შეუნდობენ ხოლმე. მერე?! რაშია ჩემი დანაშაული, რა ჩავიდინე?! და განა შემძლე ვარ რაიმე დანაშაულის ჩადენისა? ჩემი დანაშაულია: პატიოსნება, სიმართლე და ბოლოს ავადმყოფობა. აი, ჩემი სამსახურებრივი კარიერის მთავარი მტრები!..


რისთვის მხვდა ყოველივე ეს წილად?!

როგორც უბნის ექიმების მიერ მოცემული ათობით ბიულეტენი, ისე რკინიგზის საექიმო კომისიების... მოწმობები ადასტურებენ ჩემს აუცილებელ გადაყვანას ჯანსაღ უბანზე, რადგანაც ციებიან ალაგებში მუშაობას ვერ შევძლებ, მაგრამ ყოველივე ეს შუამდგომლობები დღემდე უშედეგოდ არის დარჩენილი⁵⁷. ავთვისებიანი ციებით დაავადებულ ასიკო ცაგარელს ამ პერიოდში ურთიერთობა არ გაუწვევტია ახალსენაკის სცენისმოყვარეებთან.

ზოგიერთი წარმოდგენა საქველმოქმედო ხასიათისა იყო. ასე, მაგალითად, „ივერია“ გვაუწყებს 1896 წელს დიდ-თოვლობისგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ახალსენაკის

⁵⁷ ა. კ. რკინიგზის არქივი, საქმე №77, ფურცელი 254; ო. კასრაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 70-72.

ნაკში დადგმული სპექტაკლების შესახებ: 14 აპრილს, კვირას, ახალსენაკის საზოგადო საკრებულოს დარბაზში ადგილობრივმა სცენისმოყვარეებმა ნატო გაბუნიას დახმარებით გამართეს წარმოდგენა მიმდინარე წლის წყალდიდობისა და დიდთოვლობისგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.



**გიორგი ერისთავი (1813-1864 წწ.)
ქართველი დრამატურგი, პოეტი,
თეატრის მოღვაწე**

წარმოდგენილი იყო გ. ერისთავის კომედია „ძუნწი“, ორ მოქმედებად, და ვალერიან გუნიას ვოდვეილი „ხოლგერობა“, ერთ მოქმედებად. რუსულად წარმოადგინეს ერთმოქმედებიანი ვოდვეილი მიხაილოვისა – „უცოლოდ“. ქალებმაც და მამაკაცებმაც თავიანთი როლები კარგად შეასრულეს. ცუდი ამინდის მიუხედავად საზოგადოება ბლომად დაესწრო წარმოდგენას და კმაყოფილი დარჩა. წმინდა შემოსავალი ხარჯს

გარდა იყო 53 მან. და 40 კაპ., რომელიც გადაეცა ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარეს, სენაკის მაზრის უფროსს – ი. ქავთარაძეს⁵⁸.

იმავე გაზეთის 1896 წლის №95-ში გამოქვეყნებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ თბილისის ქართული თეატრის არტისტი ვ. ა. აბაშიძე ამჟამად მარტოდმარტო იმყოფება სე-

⁵⁸ „ივერია“, №86, 20 აპრილი, 1896, გვ. 2; მსჯელობისათვის იხ. ე. ბაღათური, ი. კეკელია, ახალსენაკის თეატრალური ისტორიის სათავეებთან. კრ. „პავლე ინგოროყვა 130“, გვ.97-98.

ნაკში და აპირებს წარმოდგენას ახალსენაკსა და ძველ სენაკში, ადგილობრივ სცენისმოყვარეთა დახმარებით. „ძალიან კარგს ინებებდა ბ-ნი აბაშიძე, – წერს „ივერია“, – რომ ერთი ან ორი არტისტი კიდევ მოეშველებინა ტფილისიდან“⁵⁹. 1896 წლის 21 აპრილს დაბა ახალსენაკში უფასოდ გაიმართა ლიტერატურული საღამო, რომლის თაოსანიც მიხეილ დიდებულები იყვნენ⁶⁰.



თავადი დიმიტრი გურიგოლის ძე მხეიძე



თავადი ბესარიონ გურიგოლის ძე მხეიძე, ანეტა წერეთელი და შვილი ალექსანდრე

თეატრალური წრეების საქმიანობისადმი საზოგადოებრივი ინტერესი დღითიდღე იზრდებოდა, მაგრამ 1896 წელს სცენისმოყვარეთა დასს დიდი უბედურება დაატყდა თავს: მოულოდნელმა ხანძარმა მთლიანად გაანადგურა საზოგადო-საკრებულო კლუბის შენობა, სადაც დასი მოღვაწეობდა. ამ მიზეზით შეწყდა მუშაობა და დასიც დაიშალა. „ცნობის ფურცლის“ კორესპონდენტი („ტელეფონის“ ფსევდონიმით) დანაწევრებით წერდა: „ამ უამად ჩვენ ახალ-სენაკს სძინავს. სძი-

⁵⁹ „ივერია“, №95, 1896, გვ. 2.

⁶⁰ ნ. გომართელი, ნ. ლაშხია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 11.

ნავს და ხვრინავს! არც წარმოდგენები და არც ერთი და არც მეორე. ღმერთმა დალოცოს კიდევ ბაყაყები. ქალაქის განაპირას გადის ერთი პატარა ღელე, რომელშიაც ყოველ საღამოს გვესმის ბაყაყების კონცერტი. ეს ღელე რომ არ ყოფილიყო, მთლად მოკლებული ვიქნებოდით ამ უკანასკნელ სიამოვნებასაც. იქნება, მკითხველნო, იფიქროთ, ბაყაყების კონცერტი რაღა სახსენებელიაო, მაგრამ, ხომ მოგესხენებათ: „სადაც არ იყოს, ცოტა კმარიყოს“-ო. ჩვენც ამით ვსტკებებით, რადგანაც საქმის მთავე აქეთ სანთლით საძებარია. თორემ, ნუთუ წარმოდგენის გამართვა დიდი საქმეა, სადაც მოთამაშეები ღვთით ბლომად მოგვეპოვება?“⁶¹.

1896 წლის 29 ოქტომბერს ანეტა მხეიძის თაოსნობით წარმოდგენილ იქნა სამი სპექტაკლი რუსულად და ქართულად: აკაკი წერეთლის „ბუტიობა“, ვასო აბაშიძის „ცოლი თუ გინდა, ეს არის“ და ი. ბალდიჟევის ვოდევილი „Нечаянное огорчение“. ასევე ნაჩვენები იყო ცოცხალი სურათები. სპექტაკლებში მონაწილეობდნენ: ოლ. დადიანი, ვ. კალანდარიშვილი, მ. ლაზარენკო, მამაკაცებიდან: ვ. ლომინაძე, კ. ხოფერია, ს. სახოკია, ვ. ელიავა და ნ. გაბუნია. რუსულ წარმოდგენაში მონაწილეთაგან ცნობილია ჩეკიანი, გ. ბუდაკოვსკი და პროსკურიანი. შემოსული თანხა შესწირეს დედათა სკოლას. ანეტა მხეიძესთან ერთად სპექტაკლის გამართვაში აქტიურად მონაწილეობდა მ. დიდებულიძე⁶².

ამის შემდეგ ახალსენაკის თეატრალურ დასს საქმიანობის რთული პერიოდი დაუდგა. ერთი წლის განმავლობაში ჩაკედა ყოველგვარი წარმოდგენის გამართვა და კულტურული საქმიანობა, რაც გამოწვეული იყო უცნობი პირის მიერ კლუბის შენობის გადაწვით. უბინაოდ დარჩენილი დრამატუ-

⁶¹ „ცნობის ფურცელი“, №201, 18 მაისი, 1897.

⁶² მსჯელობისათვის იხ. ნ. გომართელი, ნ. ლაშხია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 11-12.

ლი დასი დაიშალა.

ახალსენაკში მოღვაწე მასწავლებლის, შემდეგში ექიმის – თ. მიქელაძის ინიციატივით უბინაოდ დარჩენილი დრამატული დასი საჯარო წარმოდგენებს ერთხანს კერძო ოჯახებში მართავდა. „ახალსენაკში მშვენიერი სახლი და კარმიდამო ჰქონდათ ბესარიონ, დიმიტრი და ნესტორ მხეიძეებს. მათთან ხშირად იკრიბებოდნენ ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები. იმართებოდა სჯა-ბაასი საზოგადოებრივ და ლიტერატურულ საკითხებზე. ეწეობოდა საოჯახო წარმოდგენები. სწორედ აქ ჰპოვეს თავშესაფარი უბინაოდ დარჩენილმა ახალგაზრდა სცენისმოყვარეებმა. მათ დახმარებისათვის მიმართეს ადგილობრივ ხელისუფალთ და გავლენიან პირებს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ“, – წერს დ. გეგენავა⁶³. ასევე ცნობილია, რომ თეატრალური წარმოდგენები იმართებოდა ახალსენაკში მცხოვრები ცნობილი თავადის – ფარნაოზ მხეიძის სახლში.

⁶³ დ. გეგენავა, ახალსენაკის თეატრალური ცხოვრების წარსულიდან. ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №9, 1960, გვ. 58. გახეთი „ივერია“ 1898 წლის №212-ში წერდა: „ბევრს უთუოდ ესსომება, რომ ამ რამდენისამე წლის წინად ვიდაც ბოროტმა ადამიანმა ახალ-სენაკის კლუბს ცეცხლი წაუკიდა და ნაცარტუტად აქცია. ამ ბოროტმოქმედებამ დიდს განსაცდელში ჩააგდო ჩვენი დაბა. სხვა არა იყოს-რა, კლუბში ხშირად წარმოდგენები იმართებოდა ქნ გაბუნია-ცაგარლის თაოსნობით, რომელიც იმ დროს აქა სცხოვრობდა. ესლა აქაური საზოგადოება ხელმეორედ შეუდგა კლუბის დაარსებას. ამ დღეებში ამ საქმის თაობაზედ მოლაპარაკება ჰქონდათ აქა და განაჩენი დაადგინეს, რომ ხელახლა ვითხოვთ კლუბის დაარსების ნებართვაო. ძლიერი კარგი იქნება, ამ საქმის მოთავენი მხედველობაში იქონიებდნენ და კლუბის შენობა ისე ააგონ, რომ წარმოდგენების გამართვაც შეიძლებოდეს შიგ“. იხ. „ივერია“, №212, 1898.




**თავად დიმიტრი გრიგოლის ძე მხეიძის საფლავი სენაკში,
საკალანდარიშვილოს სასაფლაოზე**

ახალსენაკში არსებული არასახარბიელო სიტუაციის შესახებ „ცნობის ფურცლის“ კორესპონდენტი ტრიფონ კალანდარიშვილი გულისწყრომით აღნიშნავდა: „განა სირცხვილი არ არის, რომ ახალ-სენაკში, სადაც 200-მდე ნასწავლი ქალ-კაცია, სამკითხველო არ არსებობდეს?.. აქაური საზოგადო-საკრებულო დარბაზი („კლუბი“), როგორც ისმის, სულსა დაფავეს. უმთავრესი მიზეზი უფულობაა. ამ კლუბს ბედი არა სწყალობს. ერთხელ მიჰხურეს და საუკუნო განსვენებას მისცეს. რამდენსამე წლის შემდეგ ისევ გახსნეს, მაგ-

რამ როგორც ჰხედავთ, დიდი ხნისთვის არა“⁶⁴.

საბოლოოდ ქართველ ქმელმოქმედთა და ახალსენაკის მოწინავე საზოგადოების დაუდალავი მცდელობის შედეგად 1902 წლიდან დრამატულმა დასმა ბინა დაიდო დაბის ცენტრში, იმ შენობაში, სადაც შემდეგ სენაკის (ყოფილი ცხაკაიას) კავშირგაბმულობის რაიონული კანტორა იყო განთავსებული. აღნიშნულ მოზრდილ შენობას ერთ მხარეს გაუკეთდა მაყურებელთა დარბაზი, ხოლო მოპირდაპირე მხარეს – სცენა⁶⁵.




კავშირგაბმულობის რაიონული კანტორის ყოფილი შენობა სენაკში, სადაც საქმიანობდა ახალსენაკის დრამატული დასი

1902 წლის ზაფხულში სწორედ ამ შენობაში გაიმართა კონცერტი ქუთაისის სასულიერო სემინარიის მოწაფის, ლოტბარ მიხეილ კეკელიას ხელმძღვანელობით. გუნდში მღეროდა შემდეგში ცნობილი მომღერალი ვასილ თედორეს

⁶⁴ „ცნობის ფურცელი“, №1885, 2 აგვისტო, 1902.

⁶⁵ ნ. გომართელი, ნ. ლაშხია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 16.

ქე შარაბიძე. კონცერტი, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა, ხალხის თხოვნით რამდენჯერმე განმეორდა და იმავე წლის ზაფხულში კონცერტები გაიმართა სუჯუნაში, ბანძაში, აბაშასა და ფოთში⁶⁶.



ყოფილი სასტუმრო „ერისი“ XX ს. 80-იან წლებში, რომლის ადგილზეც მდებარეობდა ძმები სანიკიძეების სასტუმრო

1916 წელს ახალსენაკის ცენტრალური ქუჩის კუთხეში (ამჟამინდელი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ქუჩების კვეთაზე) ძმებმა – თომა და ივანე სანიკიძეებმა ააგეს სამსართულიანი შენობა, რომლის ერთ მხარეს მოთავსდა თეატრი, სრული და განიერი სცენით. თეატრის დარბაზი, რომელსაც ჰქონდა ორი იარუსი და ლოჟები, 600-მდე მაყურებელს იტევდა. აქვე იყო კინოდარბაზი 400-მდე მაყურებლისთვის, ხოლო შენობის მეორე მხარეს (ახლანდელი ჭავჭავაძის ქუჩაზე) – ასნომრიანი სასტუმრო, რესტორანი, ლიმონა-

⁶⁶ დ. გუგენავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 58; ნ. გომართელი, ნ. ლაშხია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 17.

თის ქარხანა, აბანო და სხვ.⁶⁷

როგორც აღნიშნეთ, ახალსენაკს სხვადასხვა დროს არაერთი ქართველი მსახიობი სწევია. 1898 წლის 13 ივნისს, ქუთაისის დრამატულმა დასმა დაბა ახალსენაკში ალექსი მესხიშვილის მონაწილეობით წარმოადგინა ვალერიან გუნიას „და-ძმა“⁶⁸. თეატრის შენობის უქონლობის გამო წარმოდგენა გამართულა გვიჩიას სახლის დარბაზში. პრესა იუწყებოდა, რომ წარმოდგენას უამრავი ადამიანი დასწრებია. ცარიელი ადგილი რომ აღარ იყო, ამიტომ ბევრი იძულებული გამხდარა, რომ უკან დაბრუნებულიყო. ამ დღისთვის ბევრი ჩამოსულა სოფლებიდანაც. სპექტაკლის ნახვით ნასია-

⁶⁷ დ. გეგენავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 58; ნ. გომართელი, ნ. ლაშხია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 27.

⁶⁸ პიესაზე ავტორი მუშაობდა 1891 წელს. ეს იყო უაღრესად თანადროული და საჭირო ნაწარმოები, რაც ვ. გუნიამ პირველად წარმოადგინა თავის ბენეფისზე. 1892 წლის 29 იანვარს. პიესა ყოველთვის იქცევედა საზოგადოების დიდ ყურადღებას და წლების მანძილზე წარმატებით იდგმებოდა თეატრის სცენაზე. 1905 წელს ნ. შიუკაშვილი პიესის ავტორს სწერდა: „ბ. ვალერიანს! ამ ბოლო დროს, ჩვენდა სასიხარულოდ, შეიკრიბა გვარიანი დასი სცენის მოყვარულთა. ასე წარმოიდგინეთ, თქვენი „და-ძმის“ დადგმაც კი შეეძელით; წარმოდგენამ ისე საუცხოოდ ჩაიარა, რომ არც ჩვენ, მოთამაშენი, მოველოდით და საზოგადოება ხომ განცვიფრებული დარჩა... საკმარისია მოგახსენოთ, რომ ოცამდე რუსი დაესწრო ამ წარმოდგენას და ერთს არ მოუცვლია ფეხი ადგილიდან გათაგებამდის და დიდის ინტერესით ისმენდნენ. ხელში ეჭირათ რუსულად გადათარგმნილი მოკლე შინაარსი ყოველი მოქმედებისა...“; ლიტერატურათმცოდნე სოლომონ ხუციშვილის აზრით, ვალერიან გუნიას „და-ძმა“ ერთ დროს დ. ერისთავის „სამშობლოსა“ და ა. სუმბათაშვილის „დალატის“ თანაბრად იდგმებოდა საქართველოს ყველა კუთხეში. „სამშობლოსა“ და „დალატთან“ გათანაბრება ყველა პიესისთვის დიდმნიშვნელოვანი აღიარებაა. იხ. ნ. ურუშაძე, ვალერიან გუნია, თბ., 1987, გვ. 58-59; ამ პიესაში, აღნიშნავს ნათელა ურუშაძე, საქართველოს ცხოვრების ავბედითი პერიოდი აღწერილი, როდესაც მოქიშპე თავადები, პირადი ინტერესების გამო, მტერს უმართავდნენ ხელს და მხარდაჭერას სტამბოლში ეძებდნენ. პიესაში დასახელებული დადიანი ისტორიული პირია – ოდიშის მთავარი ლევან დადიანი. აღნიშნული პიესის თავისებური „წინაპარი“ ალ. ტოლსტოის დეკსად დაწერილი დრამატული ნაწარმოები „მოურავია“. იქვე, გვ. 59.

მოვნებ საზოგადოებას ალექსი მესხიშვილი დაპირდა, რომ მეორე წარმოდგენას 29 ივნისს გამართავდა⁶⁹.



სცენა ვალერიან გუნიას პიესიდან – „და-ძმა“

აღნიშნული წარმოდგენის შესახებ ვრცელი რეცენზია გამოქვეყნდა აგრეთვე გაზეთ „ივერიის“ №135-ში, „თეატრის მატიანის“ რუბრიკით. რეცენზიის ავტორი, ვინმე ჯაკუ აღნიშნავს, რომ ქუთაისის დრამატულმა დასმა ახალსენაკში დადგა ხუთმოქმედებიანი დრამა „და-ძმა“, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო, და, როგორც ეტყობოდათ, საზოგადოებაზე ამ წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. სცენა კარგად იყო მოწყობილი, თუმცა დარბაზის სიმცირემ ხალხი მეტად შეაწუხა. რაც შეეხება არტისტებს, – წერს ავტორი, – ბატონი ალექსი მესხიშვილი (გ. ფაღავას როლში) მართლაც შეუდარებლად თამაშობდა. ხმა გვარიანი ჰქონდაო, აცხადებს რეცენზენტი, მაგრამ არ ერიდება მსახიობის კრიტიკასაც და აღნიშნავს, რომ უკანასკნელ მოქმედებაში, ჩვენდა სამწუხაროდ, ხმა ცოტად შეუსუსტდაო. ქალბატონმა

⁶⁹ „ივერია“, №129, 19 ივნისი, 1898.

ჩხეიძისამ (მარინეს როლში) ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ მისი არტისტული ნიჭი ღირსშესანიშნავი და პატივსა-დებია. ჯოლიას როლი დიდი ხელოვნებით დაგვისურათა მსახიობმა ბალანჩივაძემ. დანარჩენი არტისტებიც წესიერად და დაკვირვებით ასრულებდნენ თავიანთ როლებსო, – წერს ავტორი. „მაღლობის ღირსია თეატრის გამგე, ქნი მოსიძისა; სასურველია მიიღებდეს შრომას და ხშირად გაჰმართავდეს ხოლმე წარმოდგენებს, ვინაიდან საზოგადოება შექლების-დაგვარად არ იშურებს თავისს წვლილს და ბლომად ესწრე-ბა...“⁷⁰

ქუთაისის დრამატული დასის ახალსენაკში ჩამოსვლას და ლადო-ალექსი მესხიშვილის მონაწილეობით „და-ძმის“ წარმოდგენას გამოეხმაურა „თეატრის მაცნეც“. მასში გამოქვეყნებული რეპორტაჟიდან ირკვევა, რომ სპექტაკლში მონაწილეობდნენ ნინო ჩხეიძე, ივანიძე, ალ. მესხიშვილი, ბალანჩივაძე, რიონელი⁷¹, ალავიძე და სხვები. „აქაური საზოგადოება ამ წარმოდგენას ისე მოუთმენლად და აღტაცებით მოელოდნენ, როგორც დღესასწაულსა, რადგან დრამა თვით მეგრელთა ცხოვრებიდან იყო აღებული. რა თქმა უნდა, ხალხი ბლომად დაესწრო“, – წერდა რეპორტიორი „ჯოჯოხეთის მაშხალა“⁷².

1898 წლის 29 ივნისს, პეტრე-პავლობის დღესასწაულზე გამართული დოღის შემდეგ ქუთაისის დრამატულმა დასმა ანეტა მხეიძის გამკვობით და ვლადიმერ-ალექსი მესხიშვილის მონაწილეობით წარმოადგინა ისტორიული დრამა „თამარ ბატონიშვილი“ (ხუთ მოქმედებად) და ვ. ბალანჩივაძის ვოდვევილი „უბედური დღე“ (ერთ მოქმედებად). იმავე ღამეს დასმა საგანგებოდ გაკეთებულ ფარდულში დადგა ისტორი-

⁷⁰ „ივერია“, №134, 25 ივნისი, 1898.

⁷¹ ფსევდონიმია დრამატურგისა და მსახიობის – კოტე (იაკობ) სიმონის ძე მესხისა.

⁷² „თეატრის მაცნე“, №560, 1898.

ული დრამა „სამშობლო“. წარმოდგენაში მონაწილეობდნენ ქალბატონები: ჩხეიძე, ივანიძე, ჩიქოვანი, გვეტაძე; ბატონები: ალექსი მესხიშვილი, ბალანჩივაძე, ფერაძე, რიონელი⁷³, ვარდანაშვილი, ბერიძე, ჯვარისელი, ტყეშელაშვილი, გრ. ჩარკვიანი, თუთბერიძე, ალავიძე, ნემო, ხმალაძე, გაბუნია და სხვები. ორივე წარმოდგენიდან შემოსულა ათასი მანეთი, ხარჯიანად. „ხალხი იმდენი დაესწრო პირველსა და მეორე წარმოდგენას, რომ ვეებერთელა ფარდული საცხებით საცხე იყო“, – წერდა ტრ. კალანდარიშვილი⁷⁴.

თეატრალური წარმოდგენები XIX ს-ის 80-90-იანი წლებიდან მოყოლებული, XX ს-ის ათიან წლებშიც იმართებოდა ახალსენაკის მაზრის სოფლებშიც.

1885 წლის 1 აგვისტოს ძველი სენაკის ახლადაშენებული სათავადაზნაურო სკოლის დარბაზში ღარიბ მოსწავლეთა დახმარების მიზნით წარმოუდგენიათ მოლიერის „ეჭვით ავადმყოფი“. სპექტაკლის შესახებ გაზეთ „დროებაში“ სამსონ ყიფიანის სტატია „პატარა შენიშვნა დ. ძველი სენაკი-დამ“ – დაბეჭდილია⁷⁵. „ჩვენდა სასიამოვნოდ, – წერდა ს. ყიფიანი, – ამ გვარი საქმე თან-და-თან მოდაში შემოდის და პროვინციებშიაც ისეთს წრეებში ვრცელდება, რომელთაც წინედ სცენაზე გამოსვლა ღირსებისა და პატიოსნების შეურაცხყოფად მიაჩნდათ. წინედ თავად-აზნაურთა ქალბატონები და ქალები სასირცხოდ სთვლიდნენ სცენაზე გამოსვლას, ახლა კი სიამოვნებით დაამშვენებენ ხოლმე მას, როცა სცენა სწავლის შეძენას ეხმარება“. სპექტაკლში როლები ითამაშეს: კნ. ეკატერინე დადიანისამ, კნ. ეკატერინე მიქელაძისამ, ს. მიქელაძემ, ი. ქავთარაძემ, ადგილობრივი სასწავლებლის მასწავლებლებმა. სცენისმოყვარეებს ეხმარებოდნენ ნ. ახ-

⁷³ იგულისხმება ბაბო რიონელი.

⁷⁴ „ივერია“, №145, 1898.

⁷⁵ „დროება“, №175, 15 აგვისტო, 1885.

ვლედიანი, ქავთარაძე (ბოქაულები) და ჟვანია (ადვოკატი). სპექტაკლიდან შემოსული 331 მანეთიდან ხარჯს გარდა დარჩა 72 მან. და 35 კაპ. აქედან 50 მან. სტუდენტ გ. ლ-შივილი-სათვის, ხოლო 22 მან. კი – სტუდენტ გ. ჯ-ძისთვის გაუგზავნიათ.

1892 წელს იმავე დაბა ძველ სენაკში გამართული ერთი ასეთი წარმოდგენის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა „ივერიაში“, საიდანაც ირკვევა, რომ წარმოდგენა გაიმართა 25 მარტს, სათავადაზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ. წარმოდგენილ იქნა მოლიერის სამმოქმედებიანი კომედია „სკაპენის ცუდლუტობა“ და „ადვოკატი მელაძე“. ბილეთები გაიყიდა 200 მანეთისა. ვახშაშმა და ბუფეტმა შემოიტანა 75 მანეთი და 85 კაპიკი. სულ შესდგა 275 მან. და 85 კაპ. სულ დაიხარჯა 115 მან. და 85 კაპ., ხოლო დარჩენილი წმინდა შემოსავალი 165 მან. და 90 კაპ. გადადებულ იქნა სამეურნეო განყოფილების სახლის მშენებლობისათვის. წერილის ავტორი მადლობას უხდის ბაბილინა ვახტანგის ასულს და მის მეუღლეს – გ. გ. ბებურიშვილს, აგრეთვე ოლ. ქავთარაძისას, ბილეთების გაყიდვისათვის, ქალბატონ ივლ. იოსელიანისას, რომელმაც დიდი შრომა გასწია ბუფეტისა და ვახშმის გამართვისათვის. სცენისა და გრიმების მოწყობაში დასს დახმარებია ბ-ნი ნ. პ. მურადოვი, ხოლო სპექტაკლებში როლები უთამაშიათ: ვერა ნიკოს ასულ ჯიჯიხიას, ნატალია ირაკლის ასულ კალანდარიშვილს, თავად ვლადიმერ ს. აბაშიძეს, ლ. ი. ჟვანიას, ბესარიონ მიქაძეს, ვლად. ელიავას და არისტარხო კალანდარიშვილს⁷⁶. წერილში დასახელებული გ. ბებურიშვილი სენაკის მაზრის უფროსი იყო, რომელიც ამ თანამდებობაზე მუშაობდა 14 წლის განმავლობაში. იგი მეუღლესთან – ბაბილინა ბებურიშვილთან ერთად მრავალი კეთილი და პატრიოტული საქმის სულისჩამდგმელად გვევლინება

⁷⁶ „ივერია“, №82, 21 აპრილი, 1892.

XIX ს. 90-იანი წლების ახალსენაკში (საქალებო სასწავლებლის დაარსება, სამეგრელოს საჯარო წიგნთსაცავ-სამკითხველოს გახსნა, სპექტაკლების დადგმა და ა. შ.).



სენაკის მაზრის უფროსი გიორგი ბებურიშვილი და მისი მეუღლე ბაბილინა ჯაყელი

II. სტენისმოყვარეთა წარმოდგენები 1900-იანი წლებიდან 1921 წლამდე

*„ძნელი წარმოსადგენია ის შრომა და წვალება,
რაც ჩვენ იმ ხანებში გამოგვივლია, მაგრამ სტენი-
სადმი სიყვარული ისე გეკონდა გამჯდარი ძვალ-
რბილში, რომ საშინელმა ტანჯვა-წვალებამ და
დამცირებამ მაინც ხელი არ აგვალეობინა საყვა-
რელ საქმისთვის“.*
გრიგოლ თევზაია

1902 წლის მაისის მიწურულს იწყება თბილისის დრამა-ტული დასის „არტიტული მოგზაურობა“ ვალერიან გუნიას ხელმძღვანელობით, რომლის მიზანიც იყო თითო-ორი წარმოდგენის გამართვა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. ასეთი წარმოდგენები დასმა გამართა ქუთაისში, ხონში, ბათუმში, ფოთში, სოხუმში, სენაკში, ოზურგეთსა და სხვაგან⁷⁷.

გაზეთ „ივერიის“ ფურცლებიდან ვინმე „ჯიხაიშელი“ საყვედურობდა ვალერიან გუნიას: რატომ ერთი წარმოდგენა მაინც არ გამართეთ სენაკის მაზრის დაბა აბაშაში, რის გამოც ბევრი ახალსენაკში წამოვიდა თქვენი სპექტაკლის სახანავადო: „არ შეგვიძლიან არ ვუსაყვედუროთ ბ-ნ გ. გუნიას, რომელმაც იმოგზაურა დაბა-სოფლებში და თითო-ორ-ორი წარმოდგენა ყველგან გამართა და ჩვენ-კი უყურადღებოდ დაგვტოვა. ნეტა, რისთვის იგდებს ასე აბუჩად აბაშელებს, რომ აბაშაში არც ერთი წარმოდგენა არ გამართა, მიუხედავად იმისა, რომ ის იყო ახალ-სენაკში და, მაშასადამე, უნდა გაეარნა აბაშაში, მაგრამ წარმოდგენა გუნიამ აბაშაში არ გამართა... არავის ეგონა, რომ ბ-ნი გუნია ერთ წარმოდგენას

⁷⁷ ნ. ურუშაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 78.

მაინც არ გამართავდა აბაშაში და, როცა იმედი გაუცრუვდათ, ბევრი ახალ-სენაკში წავიდა, რომ დასწრებოდნენ წარმოდგენებს⁷⁸.

ვ. გუნიაშვილი პასუხი არ დააყოვნა და გაზეთის მომდევნო ნომერში წერილით („ერთის უსაფუძვლო საყვედურის გამო“) გამოეხმაურა „ჯიხაიშელს“: „ჩვენს მოგზაურობას პროვინციებში აზრად ფული და შემოსავალი კი არ ჰქონდა, არამედ სხვა უფრო კეთილშობილური საგანი და, სხვათა შორის, ჩვენი ეროვნული ხელოვნების ჩვენება საქართველოს იმ



ვალერიან გუნია (1862-1938 წწ.) - ქართველი მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი

კუთხეებში, სადაც ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნდა და ამ მხრივ სამეგრელო ჩემთვის ყველაზე უფრო საინტერესო იყო. ახალსენაკში თუ ჩავედი, მხოლოდ ამისათვის, თორემ შემოსავლის იმედი არც მქონდა და არცა-რა სახარბიელო იყო... აბაშაში მე შარშანაც და წელსაც ვაპირებდი წარმოდგენების გამართვას, მაგრამ თვითონ აბაშელებმა მითხრეს, რომ შესაფერი ადგილი აღარ არისო და ისე-კი, მინდორზედ ხომ ვერ გამართავდი წარმოდგენებს“. ვ. გუნია არწმუნებდა „ჯიხაიშელს“, რომ თუ ასეთი ადგილი აღმოჩნდება,

არათუ აბაშაში, ჯიხაიშშიც და სხვა დაბა-სოფლებშიც დი-

⁷⁸ „ივერია“, №131, 23 ივნისი, 1902.

დი სიამოვნებით და სიხარულით ჩამოვალთო⁷⁹.

1902 წლის 29 ივნისს ქუთაისის დრამატული დასის მსახიობებისა და ადგილობრივ სცენისმოყვარეთა მონაწილეობით დაბა ახალსენაკში წარმოდგენილი იქნა ვალერიან გუნიას „დაძმა“. საჭირო ტექნიკური აღჭურვილობისა და რეკვიზიტების უქონლობის გამო სპექტაკლი იმდენად სუსტად ეოფილა წარმოდგენილი, რომ ამ მიზეზით მეორე წარმოდგენა საერთოდ ჩაშლილა და ხალხი დასასწრებად აღარ მოსულა. ამის შემდეგ სპექტაკლების გამართვა დაბაში ისევ შეწყდა და კლუბიც თითქმის დახურვამდე მისულა⁸⁰.

1903 წლის 8 ივნისს სცენისმოყვარეთა ამხანაგობამ წარმოადგინა ავქსენტი ცაგარელის ისტორიული დრამა „ქართველი დედა“, ოთხ მოქმედებად, და აწყვერელის ხუმრობა „ორი მშიერი“, ერთ მოქმედებად. „სტუმარ-შორეული“ აღნიშნავდა, რომ წარმოდგენას კარგად ჩაუვლია, ბევრი ხალხი დასწრებია და დამთავრებულა ღამის 2 საათზე. წერილის ავტორი წუხდა, რომ დაბა ახალსენაკი გონებრივ საზრდოს ნაკლებ ეტანება და ამიტომაც ძალიან ეჯავრებათ ისეთი რამ, რაც გონებრივ განვითარებას შეეხება. ახალსენაკელთა გულგრილობის მაგალითად ავტორი წარმოდგენების საქმეს იმოწმებდა და დასძენდა, რომ 1902 წლის 29 ივნისის შემდეგ აქ წარმოდგენა არ გამართულა⁸¹.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1903 წლის 24 ივნისის ნომრით იუწყებოდა, რომ „28 და 29 ივნისს, ბალანჩივაძის რეჟისორობით ქუთაისის დრამატული დასი ჰმართავს აქ წარმოდგენებს. გარდა ამისა, როგორც ისმის, ამავე დღისათვის ტფილისიდანაც თურმე მოდიან ქართულ სცენის მოყვარენი წარმოდგენების გასამართავად. თუ ეს გამართლდა, არ ვი-

⁷⁹ „ივერია“, №132, 25 ივნისი, 1902, გვ. 4.

⁸⁰ ნ. გომართელი, ნ. ლაშხია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 17.

⁸¹ ივერია, №128, 1903.

ცით როგორ მოხერხდება ერთსა და იმავე დღეს ორი წარმოდგენა ერთად⁸². დაუდგენელია, თუ რა წარმოდგენებზეა საუბარი და, საერთოდ, დაიდგა თუ არა ისინი. ამის შესახებ „ცნობის ფურცლის“ მომდევნო ნომრებსა და სხვა გაზეთებშიც ინფორმაცია არ გამოქვეყნებულა.

წარმოდგენები იმართებოდა ახალსენაკის შემოგარენში მდებარე სოფლებშიც. მაგალითად, 1903 წლის 14 აგვისტოს თეკლათში სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს ნატალია აზიანის (დონდაროვას) „ფული და ხარისხი“, ავქსენტი ცაგარლის „ჭკუისა მჭირს“ და ვალერიან გუნიას „მონადირე“. „საზოგადოდ სცენის მოყვარეთ ეტყობოდათ როლები კარგად შეესწავლათ. ხალხი ბევრი დაესწრო. წმინდა შემოსავალი 40 მანეთი, როგორც გადმოგვცეს, ერთ ქართულ რედაქციას გაეგზავნება“⁸³.

1900-იანი წლების დასაწყისში ახალსენაკის თეატრალურ დასს ახალგაზრდა სცენისმოყვარენი შეემატნენ. დასს სტუდენტები და გიმნაზიელები ედგნენ სათავეში. 1904 წლიდან დასში ირიცხებოდნენ, ქალებიდან: ნ. თევზაია, დ. თევზაია, ლ. ჩიქოვანი, ნ. ჭანტურია, ც. ნორაკიძე, ც. სალაყაია; ვაჟებიდან: გ. მაღნარაძე, კ. დავითაია, ბ. კალანდარიშვილი, გ. თევზაია, პ. ლორთქიფანიძე, რ. გამსახურდია და სხვანი. დაიდგა გერმანელი დრამატურგის – კარლ გუცკოვის რეკოლუციური პიესა „ურიელ აკოსტა“ და სხვ.⁸⁴

⁸² „ცნობის ფურცელი“, №2190, 24 ივნისი, 1903.

⁸³ „ცნობის ფურცელი“, №22240, 1903.

⁸⁴ ნ. გომართელი, ნ. ლაშხია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 18. მსახიობ ლიზა ჩიქოვანის შესახებ გრ. თევზაია იგონებს: „აქვე უნდა აღვნიშნო ერთი მსახიობი ქალი, სახელდობრ ლიზა ჩიქოვანი, რომელიც არსად არ არის მოხსენებული და მგონი არავის ახსოვს. ის ერთ დროს მუშაობდა ქუთაისში, დიდი ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით. შემდეგ რატომღაც თავი მიანება ქუთაისს და წამოვიდა საცხოვრებლად თავის სოფელ ნაესაკოვში (აბაშის რაიონი). ის მუდამ ჩვენს დაძახილზე ჩვენთან იყო და გვეხმარებოდა თავისი ნიჭიერი განსახიერებით



ახალსენაკის საზოგადოება. 1907 წ.

სცენისმოყვარეთა საკუთარი დასი ჰყავდა ალ. ჯაყელს⁸⁵, რომელმაც 1905 წლის გაზაფხულზე დადგა ავქსენტი ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახაე“. წარმოდგენას უამრავი ადამიანი დასწრებია და ბილეთებიც სწრაფად გაყიდულა. წარმოდგენის შემდეგ, – იგონებს ალ. ჯაყელი, – გაიმართა ცეკვა, რითაც ხალხი მეტად ნასიამოვნები დარჩა⁸⁶. იმავე წლის 2 ივნისს ვლ. მესხიშვილის მონაწილეობით და ხელ-

როლებიან“. იხ. გრ. თევზაია, მოგონება, გვ. 3-4. საქ. ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფ. III, ს. 79, №14132.

⁸⁵ 1913 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ სამტრედიიაში დაარსებული თეატრალური წრის რეჟისორად საზოგადოებამ მოიწვია ალექსანდრე ჯაყელი. „თეატრი და ცხოვრების“ 1916 წლის 28 თებერვლის ცნობით, ალ. ჯაყელი მიწვეული იყო ბათუმის სცენისმოყვარეთა წრის რეჟისორად, რომლის თაოსნობით სისტემატურად იმართებოდა წარმოდგენები.

⁸⁶ ნ. გომართელი, ნ. ღაშხია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 19, და იქვე მითითებული ლიტერატურა.

მძღვანელობით წარმოდგენილი იქნა ოთხმოქმედებიანი დრამა „ცხოვრების გარეშე“ (თარგმანი თ. შველიძისა). სპექტაკლში მონაწილეობდნენ: მესხიშვილი, ლალიაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ნ. გვარამე, ა. იმედაშვილი, მ. საფაროვა და სხვანი⁸⁷.



აზნაური ფარნაოზ გვიჩია. მის საკუთრებაში არსებულ სახლში მართავდნენ ახალსენაკელი სცენისმოყვარენი წარმოდგენებს 1907 წელს.

⁸⁷ იქვე, გვ. 19; აფიშების ფონდი 5-№ა – 1294.



**პოლიკარპე ლორთქიფანიძე - ცნობილი პედაგოგი და
საზოგადო მოღვაწე**

ახალსენაკის თეატრალურმა დასმა თავისი არსებობის მანძილზე რამდენიმე შენობა გამოიცვალა. უკვე 1907 წლიდან სცენისმოყვარენი წარმოდგენებს მართავდნენ ფარნაოზ (ფარნა) გვიჩიას საკუთრებაში არსებულ შენობაში (ამჟამინდელი რაიონული პროკურატურის შენობის გვერდით).

„კლუბის ამ პატარა შენობიდან ხშირად ისმოდა კუბლეტებად თქმული ახალგაზრდების სიმღერები და მთელ დაბაში ვრცელდებოდა. თეატრში გაგონილ სიმღერებს შემდეგ ახალგაზრდები ქუჩებში მღეროდნენ. ამ სცენაზე აგრეთვე სისტემატურად იმართებოდა წარმოდგენები, რომელთაც კლუბის გამგეობა ხელმძღვანელობდა. წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად გამგეობა ადგილობრივ ნიჭიერ ახალგაზრდებს იზიდავდა, საგასტროლოდ იწვევდა ქუთაისის დასს, რომლის წარმოდგენებს ყოველთვის დიდძალი მაყურებელი ესწრებოდა. ამ საქმის ინიციატორები კლუბის გამგეობასთან ერთად ახალგაზრდა სცენისმოყვარეები იყვნენ“⁸⁸.

ამ პერიოდში ახალსენაკის სცენისმოყვარეთა დასი აერთიანებდა გრიგოლ თევზაიას, პროკლე თურქიას, გუგული მხეიძეს, პოლიკარპე ლორთქიფანიძეს, ევგენი ოდიშარიას, მოკარნახე ვლადიმერ ლაბახუას და სხვებს. სცენისმოყვარე, შემდეგში პროფესიული თეატრის მსახიობი გრ. თევზაია იკონებს, რომ 1907 წლიდან უკვე სახელმძღვანელო სცენისმოყვარე კოტე დავითაიასთან ერთად იგი ყოველ არდადეგებზე მართავდა სპექტაკლებს: „ჩვენ ურთიერთს გაგუზიარეთ ჩვენი სურვილი, რომ სენაკში წარმოდგენები გაგვემართა. მამაკაცთა წრეს ადვილად მოუყვარეთ თავი, მაგრამ ქალები ვერაფრით დავითანხმეთ, რომ მათ ჩვენთან ერთად სცენაზე ეთამაშნათ, რადგან, როგორც ცნობილია, იმ დროს ქალების სცენაზე გამოსვლა სამარცხვინოდ იყო მიჩნეული და არცერთი დედ-მამა ამის ნებას არ მისცემდა თავის ქალს. გადავწყვიტე ჩემი დები – ნინა და ოლღა გამომეყვანა სცენაზე. ისინი კი დავითანხმე, მაგრამ დედაჩემი ვერაფრით დავითანხმეთ. მე კი, რადგან ერთადერთი ვაჟი ვიყავი ოჯახისა, დავსძლიე, მუქარით თუ ჩემს დებს სცენაზე თამაშის ნებას არ

⁸⁸ ნ. გომართელი, ნ. ლაშხია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 20.

მისცემდა, მე სახლიდან წავიდოდი. ამის შემდეგ შევძელით წარმოდგენების მართვა, რადგან ორივე ჩემი დები წესიერ ქალებად ითვლებოდნენ. შემდეგში სხვებმაც გაბედა სცენაზე მუშაობა და შემოგვემატა ნინა ჭანტურია, მარო ხოფერია და სხვები. ამრიგად, უკვე სისტემატურად ვმართავდით წარმოდგენებს, რა თქმა უნდა საქველმოქმედო მიზნით: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, პოლიტპატიმართა და ღარიბ მოწაფეებისათვის. არცერთი ჩვენთაგანი გასამრჯელოს არ ღებულობდა. პირიქით, ხშირად ჩვენსას ვხარჯავდით. რეკვიზიტი, ბუტაფორია, ტანსაცმელი და გრიმ-პარიკი ჩვენ უნდა გვეშონა ჩვენი სახსრებით⁸⁹.



ახალსენაკელი სცენისმოყვარენი გრიგოლ თევზაიას ხელმძღვანელობით (რკინიგზელთა და მუშათა დასი). XX ს-ის 20-იანი წლები.

⁸⁹ გრ. თევზაიას მოგონება, სამეგრელოში, კერძოდ ახალ-სენაკში (ამჟამად ცხაკაია) თეატრალური მუშაობის შესახებ (ხელნაწერი), 1954. საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფ. III, ს. 79, №14132, გვ. 1.

1908 წლის 28 ივნისს, პეტრე-პავლობის დღესასწაულზე, ქუთაისიდან მოწვეულ დრამატულ დასს ახალსენაკის კლუბის დარბაზში ხელმისწავდომ ფასებში გაუმართავს წარმოდგენა. წარმოდგენიათ აკაკი წერეთლის „თამარ ცბიერი“ და დ. აწყურელის ვოდევილი „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგ“. მეორე დღეს, 29 ივნისს, პეტრე-პავლობის დღესასწაულზე, მსახიობებმა წარმოადგინეს ალ. ყაზბეგის „არსენა“ და გ. ერისთავის „ძუნწი“. განსაკუთრებული მოწონება დაუმსახურებია მარო მდივანს. ამ სპექტაკლის შესახებ გაზეთი „ნაპერწკალი“ წერდა, რომ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, მაგრამ შენობის სივიწროვე ხელს უშლიდა. „კლუბში საუკეთესო ოთახები დათმობილი აქვს ლოტოს და კარტის სათამაშო დარბაზებს, ხოლო თეატრისათვის მიჩნეულია ყველაზე პატარა და მოუწყობელი ოთახი. დროა შეიგნოს ამ დაბის საზოგადოებამ, თუ რა არის თეატრი და რა არის „კარტის“ და სხვა თამაშობა. საჭიროა მიაქციონ ყურადღება ამ ნაკლს (შენობის სივიწროვეს) და რამოდენიმეთ მაინც ხელი შეუწყონ თეატრალური ხელოვნების განვითარებას“⁹⁰.

1909 წლის აგვისტოში ს. სვიმონიძის⁹¹ ინიციატივით

⁹⁰ გაზ. „ნაპერწკალი“, №34, 5 ივლისი, 1908.

⁹¹ ესაა ფსევდონიმი ცნობილი მსახიობის, რეჟისორისა და პედაგოგის – სვიმონ პავლეს ძე გოგოლაშვილისა (1865-1922 წწ.). იგი ერთხანს რეჟისობდა ავჭალის აუდიტორიისა და ავლაბრის სცენისმოყვარეთა წრეებს. ხშირად მონაწილეობდა სახალხო-სასოფლო წარმოდგენებში. 1919 წელს მიწვეულ იქნა ნაძალადევის სახალხო თეატრის აშენების ხელმძღვანელად და რეჟისორ-მსახიობად. 1916 წელს სოჭის გიმნაზიაში ასწავლიდა ქართულ ენას. აქვე დააარსა ქართული სკოლა, სცენის-მოყვარეთა წრე და თეატრი. გარკვეული პერიოდი მოღვაწეობდა ბაქოს ქართული თეატრის სცენისმოყვარეთა დასში. ცნობილი ემიგრანტი მწერალი თამარ გოგოლაშვილი-პაპავა, წერილში – „მადლიანი შრომა“ – წერდა: „ამაჩემი, სვიმონიძე, 40 წელი ემსახურებოდა ქართულ თეატრს... და მე ვხედავდი, თუ როგორ ცხოვრობდნენ, რაოდენ დევნას იტანდნენ ეს ქართული თეატრისათვის შეფიცული მუშაკნი, მაგრამ მაინც კლდესავით იდგნენ. და მაინც ბედნიერად ვსთვლი ჩემს თავს, რომ ბედმა მარგუნა ახლოს ვყოფილიყავ ქართული სცენის ქურუმთა წრეს-

წარმოადგინეს ვ. გუნიას ისტორიული დრამა „და-ძმა“. მონა-
წილეობდნენ: ალექსანდრე ყალაბეგიშვილი⁹², მარგალიტა
ქილარჯიშვილი, შალვა ხონელი⁹³, სცენისმოყვარენი: ილია

თან და საკუთარი თვალით მენახა მათი თავდადება, გამძლეობა, დამ-
ცირებათა ამყად და ჩუმად ატანა და ყველა ეს მსოფლიო სიყვარული-
სათვის ჩვენი ეროვნული თეატრისა... ეს იყო დიდი ქართული საქმე, რო-
მელიც უნდა გაკეთებულიყო, რათა ქვეყანას და კერძოდ ძლიერ მტერს
ეგრძნო, რომ საქართველოს სიცოცხლე და წინსვლა სწყუროდა“.

⁹² მსახიობი და ჟურნალისტი ალექსანდრე ყალაბეგიშვილი დაიბადა
1883 წელს, ქუთაისში. 1898-1900 წლებში მოღვაწეობდა ნაძალადევის
დრამაწრეში. 1900-1902 წლებში იყო რეჟისორის თანაშემწე ავჭალის
აუდიტორიაში. სხვადასხვა წლებში მუშაობდა თბილისის ქართულ
დასში (1902-1907 და 1914-1915 წწ., რეჟისორის თანაშემწედ და მსახიო-
ბად), ჭიათურის თეატრში (1907-1908 წწ., მსახიობად), ქუთაისში, ბა-
ლანჩივაძის დასში (1908-1912 წწ., რეჟისორის თანაშემწედ), ქუთაისში,
შ. დადიანის დასში (19125-1920 წწ.), თბილისის დრამატულ თეატრში
(1920-1921 წწ.), ბათუმის თეატრში (1928-1937 წწ., მსახიობად). აღ. ყალა-
ბეგიშვილის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ოთარბე-
გი, ანანია (ა. სუმბათაშვილის „დალატი“), ზაქარია, სირაჯი (ს. შანში-
აშვილის „არსენა“), გივი (ა. წერეთელს „პატარა კახი“), სვიმონი (დ.
ერისთავის „სამშობლო“), ნიკო ბენდიაშვილი, ბაღდავაძე (პ. ირეთე-
ლის „დამარცხებულნი“), ფეოდოსი (ა. სუხოვო-კობილინის „კრეჩინ-
სკის ქორწინება“) და სხვ.

⁹³ ფსევდონიმია მსახიობ შალვა სიმონის ძე გოგოლაშვილისა (1887-
1972 წწ.) შ. ხონელი 1905-1910 წწ. მუშაობდა ხონის დრამაწრეში, 1910-
1912 წწ. – თბილისის თეატრებში, 1912-1913 წლების სეზონში – ქუთაი-
სის თეატრში, 1920-1923 წწ. – ბათუმში, 1923-1926 წწ. – ჭიათურის თეატ-
რში. 1928 წელს ისევ ქუთაისის თეატრში დაბრუნდა. ძირითადად ასრუ-
ლებდა სახასიათო და კომედიურ როლებს. მის მიერ განსახიერებულ
როლებს შორის აღსანიშნავია: კოწო (შ. დადიანის „გუმინდელი“),
ლომკაცა (პ. კაკაბაძის „კოლმეურნეს ქორწინება“), პავლე (ვ. შალიკაშ-
ვილის „უნიადგონი“), ვიქტორ ბუყიაშვილი (ტრ. რამიშვილის „სტუ-
მარმასპინძლობა“), კოსტია, ზაქარა (ავქ. ცაგარელის „რაც გინახავს,
ვედარ ნახავ“), ელიზბარი (გ. შატბერაშვილის „ვიქრის გორა“), ხოჯა
სულეიმანი (ილ. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“), ლუპაჩევი (ა. ოს-
ტროვსკის „ლამაზი მამაკაცი“), აღმირალი მილიცინი (ბ. ლავრენიოვის
„რდევვა“), სვატაევი (კ. სიმონოვის „უცხო აჩრდილი“), გრაფი ნეიპერი
(ვ. სარდუს „მადამ სახ ჟენი“). შ. ხონელის ცხოვრება და შემოქმედება
განსაკუთრებულად მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქუთაისის ლ. მეს-

რუხაძე⁹⁴ და ი. მამფორია⁹⁵.

1908 წლის 28 ივნისს მსახიობ ბ. გუგუშვილის⁹⁶ მონაწილეობით ახალსენაკში საქველმოქმედო მიზნით წარმოადგინეს რამდენიმე სპექტაკლი. 28 ივნისს ნაჩვენები იქნა „სიმდიდრის მსხვერპლი“⁹⁷ და „თაიგული“. კორესპონდენტის ცნობით, ამ სპექტაკლებს მოუშაადებლობა ეტყობოდა, რამაც საზოგადოებაზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა და მა-

ხიშვილის სახელობის თეატრთან. იგი ამ თეატრის ერთ-ერთ წამყვან მსახიობად მიიჩნეოდა.

⁹⁴ ილია ზოსიმეს ძე რუხაძე დაიბადა 1882 წელს, ხონში. დაამთავრა ხონის ორკლასიანი სასწავლებელი, ხოლო 1903 წელს – გორის საოსტატო სემინარია. მასწავლებლად მუშაობდა სენაკში, დუშეთში, კავკავსა და სხვა რაიონებში. სამწერლო ასპარეზზე 1902 წელს გამოვიდა. წერდა მოთხრობებს და თანამშრომლობდა „კვალში“, „ერთობაში“, „მერცხალში“, „ჯეჯილისა“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში. ხელმძღვანელობდა გაზეთ „შადრევანს“. ავტორია სახელმძღვანელოსი – „საქართველოს გეოგრაფია“. ილია რუხაძე ხონის თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელია. 1898 წელს ხონის სცენაზე გამოვიდა, სადაც, სხვებთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა ხონის სამუდამო სცენას. იგი 20 წლის განმავლობაში ემსახურებოდა ხონის თეატრს. ი. რუხაძის გარდაცვალების თარიღი უცნობია)

⁹⁵ ნ. გომართელი, ნ. ლაშხია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 21-22.

⁹⁶ უთუოდ ეს გუგუშვილი იგულისხმება „ცნობის ფურცელში“ 1899 წელს გამოქვეყნებულ წერილში, საიდანაც ირკვევა, რომ „აბაშაში ამ უკანასკნელს სამი თვის განმავლობაში თითქმის ოთხ-ხუთჯერ იქმნა წარმოდგენა გამართული მაშინ, როდესაც სენაკში, ზუგდიდში და ხონში წელიწადში ერთხელაც არ იმართება“. 9 ნოემბერს სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს „ადვოკატი მელაძე“, კომედია ორ მოქმედებად, გადმოკეთებული ივანე მაჩაბლის მიერ, და „დატრიალდა ჯარა“, ვოდევილი ერთ მოქმედებად, კ. დ. ყიფიანისა. ადვოკატის როლი ითამაშა მ. გუგუშვილმა. იხ. „ცნობის ფურცელი“, №978, 3 დეკემბერი, 1899; ასევე გ. ხონელი წერდა, რომ 1917 წლის 8 მაისს ბათუმის „რკინის თეატრში“ წარმოადგინეს „იუდას მეძვედრე“. სპექტაკლში მონაწილეობდნენ: ქიქოძე, ვადაჭკორია, ნ. ჩხეიძე, იშხნელი, გელოვანი, ა. წუწუნავა და გუგუშვილი. ასევე 9 მაისს წარმოადგინეს „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“. იხ. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, №21, 1917, გვ. 14.

⁹⁷ ესაა ა. მანველიანის პიესა, რომელიც გადმოაკეთა მწერალმა ალექსანდრე ბაჯიაშვილმა.

ყურებელთა უმეტესობამ დატოვა დარბაზი. 29 ივნისს წარმოდგენილი „ძუნწი“ და „საცოლე ერთი საათით“⁹⁸.

შედარებით უკეთესი იყო, თუმცა მოუმზადებლობა აქაც ეტყობოდა ზოგიერთ მოთამაშეს. პირველი დღის წარმოდგენებს ხალხი საკმაოდ დაესწრო, მეორე დღისას კი – ნაკლებად. ორივე დღის წარმოდგენების სრული შემოსავალი 200 მანეთს აღემატებოდა. კორესპონდენციაში აღნიშნულია, რომ ქალაქის კლუბის შენობაში წარმოდგენების გასამართავად გამოყოფილი უკანა ოთახი პატარაა, როგორც სიმაღლით, ისე სიგრძე-სიგანით. ამის გამო აქ თავისუფლად გადაადგილება და ჯდომა, თავისუფლად სუნთქვაც შეუძლებელია. დროა შეიგნოს ამ დაბის საზოგადოებამ, თუ რა არის თეატრი და შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყონ თეატრალური ხელოვნების გაფართოებას⁹⁹.

1909 წლის 6 თებერვალს ახალსენაკის საკრებულო დარბაზში აკაკის სახელობის ბიბლიოთეკის დასაარსებელი ფონდის სასარგებლოდ წარმოუდგენიათ პ. ირეთელის პიესა „დამარცხებულნი“. ამასთან დაკავშირებით „ჩვენი საქმე“ წერდა: „მიუხედავთ მრავალ დაბრკოლებისა, სიამოვნებით აღვნიშნავთ, ახალგაზრდობას და საღამოს დიასახლისს ქნოლდა გ. ხოფერიასას, დიდი ენერჯია დაეხარჯათ, რომ ხსენებულ პიესა შეძლებისდაგვარათ ხეირიანათ ჩატარებულყო და რამდენიმეთ გაუმართლდათ იმედი. დარბაზი ერთიანათ გაიჭყდა ხალხით. საერთოთ წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა. მეტს ვერ მოვთხოვთ სცენის მოყვარეთ... პიესამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე და ბევრი მოგონებანი აღუძრა დამსწრეთ განმათავისუფლებელ მოძრაობის დროი-

⁹⁸ „საცოლე ერთი საათით“ არის ვოდვეილი ერთ მოქმედებად, თარგმნილი მსახიობ დავით გამყრელიძის (დავით აწყურელის) მიერ.

⁹⁹ „ნაპერწკალი“, №34, 5 ივლისი, 1908; მსჯელობისათვის იხ. ე. ბაღათურია, ი. კეკელია, ახალსენაკის თეატრალური ისტორიის სათავეებთან. კრ. „პავლე ინგოროყვა 130“, გვ. 108-109.

დან. და ბოლოს წარმოადგინეს რუსულათ «Кутаисская Невольница», რომელიც მშვენივრად ჩატარდა. დამსწრე საზოგადოება სრული კმაყოფილი დაიშალა დამის 1 საათ-ზე¹⁰⁰. აღნიშნული წარმოდგენის შესახებ ნ. გომართელისა და ნ. ლაშხიას ხელნაწერ ნაშრომში ვკითხულობთ შემდეგს: ადგილობრივმა სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს პ. ირეთელის დრამა „დამარცხებულნი“, ხოლო რუსულად – «Кутаисская Невольница». წარმოდგენის ხელმძღვანელი ოლღა ხოფერია ყოფილა. მონაწილეთა ვინაობა უცნობია. წარმოდგენა გამართულა აკაკის სახელობის ბიბლიოთეკის ფონდის სასარგებლოდ¹⁰¹.

1910 წლის მაისში ახალსენაკში თბილისის დრამატული დასის წევრებმა წარმოადგინეს ა. სუმბათაშვილის „დალატი“ და დ. ერისთავის „სამშობლო“. მონაწილეობდნენ: მ. მდივანი, რიონელი¹⁰², პ. შოთაძე¹⁰³, კ. მესხი, ი. ზარდალიშვილი, ნ. გვარამე, ვ. ურუშაძე, გ. არაღელი-იშხნელი, ჟივიძე¹⁰⁴ და სხვები. რამდენიმე სპექტაკლი დაუდგამს აგრეთვე 1911 წლის 29 ივნისს, პეტრე-პავლობის დღესასწაულზე, თბილისიდან ჩამოსულ მსახიობთა ჯგუფს. ამავე წლის 21 ივლისს კი ადგილობრივ საკრებულო დარბაზში ახალსენაკელმა სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს ალ. ყაზბეგის „არსენა“¹⁰⁵.

¹⁰⁰ „ჩვენი საქმე“, №7, 12 თებერვალი, 1909.

¹⁰¹ ნ. გომართელი, ნ. ლაშხია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 22.

¹⁰² ბაბო რიონელი-პიასეცკაია.

¹⁰³ პაშა (ანა) შოთაძე იყო ქართული დრამატული საზოგადოების დასისა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი.

¹⁰⁴ იოსებ (სოსო) ჟივიძემ 1910 წელს თარგმნა პიესა „ნორჩი თაობა“ (ჩვიდმეტი წლისანი). 1913 წლის 30 ნოემბერს ავღაბრის სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ იოსებ ივანიძის, იოსებ ჟივიძისა და სხვების მონაწილეობით წარმოდგენილი იქნა ისტორიული დრამა „სამშობლო“. 1914 წელს იგი მოძრავი დასის ამხანაგობის წევრი იყო.

¹⁰⁵ იქვე.

ცნობილი დრამატურგის, მსახიობის, მთარგმნელის, პუბლიცისტისა და რეჟისორის – კოტე (იაკობ) მესხის (1857-1914 წწ.) სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სპექტაკლები საქართველოსა და ამიერკავკასიის მასშტაბით გამართულა 1911 წელს. კ. მესხის საიუბილეო დასი მათ შორის სწვევია სამეგრელოში ახალსენაკს, აბაშას, ფოთსა და ზუგდიდს¹⁰⁶.

1911 წლის 19 აპრილს ახალსენაკს ეწვია ალექსი მესხიშვილის რუსული დასი. დადგეს ა. ჩეხოვის „შავი ბერი“ (ტოლსტოის მიერ გადაკეთებული). რეცენზენტი აღნიშნავს: „დიდძალი ხალხი დაესწრო, მაგრამ ვისთვის, ან რისთვის იყო საჭირო აქ რუსული პიესის დადგმა? რუსობა აქ თითზე ჩამოსათვლელია და დიდ უმრავლესობისათვის პიესის ენა და მით უმეტეს მისი შინაარსი სრულებით გაუგებარი იყო, რასაკვირველია! „გასაგები“ იყო მხოლოდ ტანიას და ანდრუშას ამბორი!.. ბ. აღ. მესხიშვილს ჩვენი საზოგადოება პატივსცემს, როგორც ნიჭიერს და დამსახურებულს მსახიობს და რომ პროვინციის სცენებზე ქართულს გაგვაგონებდეს გასტროლების დროს და ისიც სხვებსავე სათავეშივე წყლის ამღვრევას თავს დაანებებდეს, უფრო მეტი პატივისცემის ღირსი იქნება ჩვენგან“. რეცენზენტის („დამსწრე“) წერილს ახლავს რედაქტორის შემდეგი მინაწერი: „ვლ. მესხიშვილის თაოსნობით მოგზაურ-რუსულ დასზე დასავლეთ საქართველოს ქალაქ-დაბებთან რამდენიმე სხვა წერილებიც მოგვივიდა: გვეწვია დიდათ პატივცემული, შევენება ქართული სცენისათვის რუსული დასით, რუსულ წარმოდგენებით, ხალხი ყველგან ნაკლებ ესწრება ამ წარმოდგენებს; გარდა ვლ. მესხიშვილისა ერთი ცოტათ მაინც რიგიანი მსახიობიც არ ურევია დასშიო და სხვ. მიკვირს და გაგვიკვირვებია, რა მიზანი აქვს ბ. ვლ. მესხიშვილს, რომ ასეთი დასით და რუსულ წარ-

¹⁰⁶ გაზ. „ახალი“, №12, 22 თებერვალი, 1911.

მოდგენებით უმასპინძლდება ჩვენი ქვეყნის პროვინციას?¹⁰⁷.



ქართული სცენის დიდოსტატი აკაკი ხორავა სენაკში (მეორე რიგში მარცხნიდან პირველი). 60-იანი წლები

1912 წელს დაბის თეატრალურ დასში მოღვაწეობას იწყებენ ახალგაზრდა ნიჭიერი სცენისმოყვარენი: აკაკი ხორავა, გ. ჯაკობია¹⁰⁸ და ჯ. ღვამიჩავა. ამ წელს დაიდგა დ.

¹⁰⁷ „კოლხიდა“, №23, 26 აპრილი, 1911; ე. ბაღათურიას, ი. კეკელია, ახალსენაკის თეატრალური ისტორიის სათავეებთან. კრ. „პავლე ინგოროვცა 130“, გვ. 101.

¹⁰⁸ იგულისხმება გიორგი პავლეს ძე ჯაკობია, რომელმაც დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია. 1915 წლის 22 ივლისს მან ხარკოვის უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად მთავარი გამგეობის მიერ სტიპენდიის დანიშვნასთან დაკავშირებით შუამდგომლობა სთხოვა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ახალსენაკის განყოფილებას. 1916 წელს უკვე ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიო-ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობს. 1917 წლის 1 იანვრიდან სტუდენტ გ. პ. ჯაკობიას ქმუკეს-ის გამგეობამ სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდია დაუნიშნა.

ერისთავის „სამშობლო“ და ა. სუმბათაშვილ-იუჟინის „ლა-
ლატი“. ამავე წლის 3 ნოემბერს ადგილობრივ საკრებულოს



**ოლღა ბერიძე-ხოფერია
– ცნობილი საზოგადო
მოღვაწე, ქმწკს-ის სე-
ნაკის განყოფილების
თავმჯდომარე**

დარბაზში გაიმართა რუსულ-
ქართული წარმოდგენა. დაიდგა
აკაკის „ბუტილობა“ და რუსული
ერთმოქმედებიანი ვოდევილი
«Мная Грос». წარმოდგენასთან
დაკავშირებით გაზეთი „იმერე-
თი“ იუწყებოდა, რომ რამდენიმე
ახალგაზრდას განუზრახავს
დრამატული დასის დაარსება
ახალსენაკში და კარგი იქნება,
თუკი საზოგადოება დაეხმარე-
ბა ამ კეთილშობილური გან-
ზრახვის განხორციელებაშიო.
ეს ახალგაზრდები გრ. თევზაია
და კ. დავითაია იყვნენ. 1911
წელს გრ. თევზაია საცხოვრებ-
ლად მშობლიურ დაბას დაუბ-
რუნდა. მას და კ. დავითაიას
სისტემატურად უხდებოდათ
წარმოდგენების გამართვა არა

მარტო ახალსენაკში, არამედ ზუგდიდში, ხეთაში, აბაშაში,
ბანძასა და ფოთში. ზუგდიდში მათ ხელს უწყობდა ექიმი ან-
დრე პატარაია, ხეთაში – მასწავლებელი ვლადიმერ ნაჭყე-
ბია, აბაშაში – მასწავლებელი ვასო ქობულია, ხოლო ბანძა-
ში – დიმიტრი ფაღავა¹⁰⁹. გრ. თევზაია იგონებს: „ს. ბანძაში
განსაკუთრებით შეუყვარდათ ვ. გუნიას „და-ძმა“, რასაც ხში-

¹⁰⁹ იხ. გრ. თევზაიას მოგონება, სამეგრელოში, კერძოდ ახალ-სენაკში
(ამჟამად ცხაკაია) თეატრალური მუშაობის შესახებ (ხელნაწერი), 1954.
საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუ-
მი, ფ. III, ს. 79, №14132, გვ. 2.

რად გვადგმევიანებდნენ. დ. აბაშაში და ხეთაში სათანადო შენობა წარმოდგენის გასამართავად არ არსებობდა და უნდა ითქვას სიმართლე, რომ ვასო ქობულია და ვლადიმერ ნაჭყე-ბია ჩვენთან ერთად ეზიდებოდნენ ხის მასალას და მათ სკო-ლებში ვაწვობდით სახელდახელო სცენას. ხშირად ღია ცის-ქვეშაც გვიტამაშნია... ქ. ახალ-სენაკში ჩვენი დამხმარე და ყოველმხრივ ხელის შემწეობი იყო ცნობილი ექიმის – ივლი-ანე ხოფერიას მეუღლე ოლღა გიორგის ასული ბერიძე-ხო-ფერიასი. ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეო-ბაში. თითონ თავმჯდომარე იყო ქართველთა შორის წ/კ. გა-მავრცელებელ საზოგადოებისა და მის ავტორიტეტს ვიხმა-რიებდით ჩვენს საქმიანო-ბაში“¹¹⁰.



**სენაკელი მსახიობი,
რეჟისორი არეთა ლოლუა
(1892-1955 წწ.)**

რამდენიმე სპექტაკლი და-იდგა 1913 წელს. 18 აპ-რილს ახალსენაკის კლუ-ბის დარბაზში არეთა ლო-ლუამ ადგილობრივი სცე-ნისმოყვარეების დახმარე-ბით წარმოადგინა სამმოქ-მედებიანი დრამა „ერთი ნაბიჯით წინ“. არეთა ლო-ლუას, თამარ მიქელაძისა და კოტე დავითიას მიერ შესრულებულმა როლებ-მა მაყურებლის საერთო მოწონება დაიმსახურა. მათვე რუსულად წარმო-

¹¹⁰ გრ. თევზაიას მოგონება, სამეგრელოში, კერძოდ ახალ-სენაკში (ამ-ჟამად ცხაკაია) თეატრალური მუშაობის შესახებ (ხელნაწერი), 1954. საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუ-მი, ფ. III, ს. 79, №14132, გვ. 2-3

უდგენიათ «Мная Грос». იმავე წლის 21 ივლისს კვლავ არეთა ლოლუას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნა ა. ყაზბეგის „არსენა“. როლები კარგად შეუსრულებიათ ა. ლოლუას, კ. დავითიასა და გრ. თევზაიას.

ამავე სეზონში, 1913 წელს დავით ჩარკვიანის მიერ შედგენილმა მოგზაურმა დასმა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ კოსტა (დათიკო) კობახიძე, გრიგოლ ჩარკვიანი, გოგუცა თოფურიძე, ბებუ ჯაიანი, ნოე კანდელაკი (სამტრედიის სცენისმოყვარე), ახალსენაკიდან გრ. თევზაია და სხვები, მთელი სამეგრელო მოიარა. „ისეთ ადგილებშიც კი ვიყავით, – იგონებს გრ. თევზაია, – სადაც წარმოდგენაც არ ჰქონდათ თეატრალურ ხელოვნებაზე. დავდგით „თამარ ბატონიშვილი“, „ბატონი და ყმა“, „ლეკის ქალი გუღჯავარ“ და „ჯალათი მამა“¹¹¹.



ახალსენაკის თეატრის მსახიობი გრიგოლ თევზაია (მარცხნიდან პირველი) დრამატურგ შალვა დადიანთან და ლოტბარ რემა შელეგიასთან ერთად, 1918 წ.

¹¹¹ გრ. თევზაიას მოგონება, სამეგრელოში, კერძოდ ახალ-სენაკში (ამჟამად ცხაკაია) თეატრალური მუშაობის შესახებ (ხელნაწერი), 1954. საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფ. III, ს. 79, №14132, გვ. 6.

1914 წელს სცენისმოყვარეთა ამხანაგობა შეადგინა აგრეთვე ალ. ჯაყელმა. მასში შედიოდნენ: კ. დავითაია, გრ. თევზაია, პროკლე თურქია, გაიანე ურბნელი და თავად ალ. ჯაყელი. ისინი საგასტროლოდ გაემგზავრნენ სამეგრელოს დაბაქალაქებში. საგასტროლო რეპერტუარში შედიოდა ილია ჭავჭავაძის „ბატონი და ყმა“, „სიმდიდრის მსხვერპლი“, მცირე ფორმის სკეტჩები, მინიატურები და ვოდევილები¹¹².

ამავე წლის 11 აპრილს ადგილობრივმა სცენისმოყვარეებმა გამართეს სპექტაკლები ქართულ და რუსულ ენებზე. წარმოდგენილი იყო ა. ცაგარლის ერთმოქმედებიანი ვოდევილი „ვაი ყაბოს“, ვ. ბალანჩივაძის „უბედური ნაბიჯი“, ხოლო რუსულად – ლ. ივანოვის ერთმოქმედებიანი ფარსი «По публикации» („უბლიკაციის მიხედვით“) და პ. ვოლკოვის ერთმოქმედებიანი კომედია «Жужу» („ჟუჟუ“). მონაწილეობდნენ: ქალებიდან – თ. მიქელაძე, ვ. ლევია, ე. ვ., ხოლო მამაკაცებიდან – აკაკი ხორავა, მიხეილ ღვამინავა, ხ. ხუბუტია, მ. ლევაშოვი. მაყურებელს ძალიან მოსწონებია მ. ღვამინავას მიერ წაკითხული საკუთარი ლექსი. წარმოდგენის მოთავე ახალსენაკის მაზრის უფროსი ლევაშოვი ყოფილა. შემოსული თანხა გადაუციათ ადგილობრივი კლუბის სცენის შესაკეთებლად¹¹³.

1914 წლის 4 ივნისს მსახიობ დ. ჩარკვიანის მონაწილეობით სცენისმოყვარეებმა დაბა ახალსენაკის საკრებულოს დარბაზში წარმოადგინეს ერთმოქმედებიანი დრამა „ჯამბაზის სიყვარული“ და რ. ერისთავის კომედია „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“. იმავე წლის ივლისში დაბაში ჩამოსულმა ვალერიან გუნიას მოგზაურმა დასმა წარმოადგინა „ქრისტიანე“, „რაც არ მერგება, არ შემერგება“, „სამშობლო“ და „მუშის პატიოსნება“. დასში შედიოდნენ: ვ. გუნია, ვ. შა-

¹¹² გრ. თევზაია, მოგონება (ხელნაწერი), 1954, გვ. 7.

¹¹³ იქვე, გვ. 25-26.

ლიკაშვილი, დ. მგალობლიშვილი, დ. აბდუშელი, პ. ფრანგიშვილი, ი. მამფორია, ვ. ურუშაძე, მ. მდივანი, ნ. ჯავახიშვილი და სხვანი¹¹⁴.

1915 წლის 18 ივნისს ვლ. სარელის რეჟისორობით დაბა ახალსენაკის სცენისმოყვარეებმა წარმოდგინეს დ. აწყურელის ორმოქმედებიანი დრამა „დასჯილი“ და დ. მესხის ერთმოქმედებიანი ვოდევილი „მოფურჩხულია“. როლებს ასრულებდნენ: ნინუცა ხურცილავა (ნინო), ბაბუცა თევზაია (ელენე), ვლ. სარელი (გერასიმე), მ. ღვაშიჩავა (ნიკო)¹¹⁵.



**მსახიობი ბაბუცა
თევზაია**

1916 წლის 30 ივლისს ახალსენაკის ახალ თეატრში მარო მდივნის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნა პ. ირეთელის დრამა „სოფლის გმირები“ (ოთხ მოქმედებად). სპექტაკლის შესახებ გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა ვრცელი რეპორტაჟი, რომლის ავტორი ფრანც მოიერი წერდა: უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო მსახიობი ქალი მარო მდივანი, რომელიც ანიკოს როლს ასრულებდა. ეს მსახიო-

ბი ამ როლის საუკეთესო შემსრულებლად ითვლება. მთელი ოთხი მოქმედების განმავლობაში სცენა სუსტად იყო გაჩაღებული. უკანა რიგიდან სახის გარჩევა ძნელი იყო... ბ. თევზაია სპ. მცირიშვილის როლს ასრულებდა. ტ. მკლავაძის როლში ბატონი ა. ხორავა მოგვევლინა... ნამდვილი ირაკლი

¹¹⁴ იქვე, გვ. 26.

¹¹⁵ იქვე, გვ. 27.

ბექნიაშვილი იყო ბატონი ე. ჯაკობია. მეტად ენერგიული სცენისმოყვარეა ბატონი ჭეიშვილი და ნაკისრ როლებს ყოველთვის ღირსეულად ასრულებს. ამ პიესაში ზურაბ ფინთიხაძის და მედუქნის როლებში მან დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ სცენაზე მუშაობა შეუძლია და ნიჭიც აქვს. კარგები იყვნენ ბატონი გურეშიძე (მამასახლისი) და ბატონი ხოფერია (გლეხი). დანარჩენი მონაწილენი სურათის მთლიანობის დაცვას ხელს არ უშლიდნენ¹¹⁶.

პრესის მასალების მიხედვით დაბა ახალსენაკში XIX ს-ის 90-იანი წლების მიწურულიდან დაწესდა პეტრეპავლობის აღნიშვნა 29 ივნისს. ამ დღეს ქუთაისის გუბერნიის ყოველი კუთხიდან ახალსენაკს უამრავი ადამიანი სტუმრობდა და რამდენიმე დღე ქეიფი და დროსტარება ჩაღებოდა. გაზეთი „თანამედროვე ქვეყანა“ 1913 წელს წერდა, რომ წინა წლებში ახალსენაკში პეტრეპავლობაზე ლექციების კითხვა და წარმოდგენები ეწყობოდა, მაგრამ წლეულს ეს არ ყოფილა. მოსწავლე ახალგაზრდობა დროულად შეუდგა პიესის მომზადებას წარმოსადგენად, მაგრამ იმ მიზეზით, რომ კლუბის სასცენო დარბაზი კლუბის გამგეობის მიერ მთელი ერთი თვით საკინემატოგრაფიოდ იყო გაცემული, ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოდ განზრახული წარმოდგენის გამართვა ჩაშლილა¹¹⁷.

თეატრის წინაშე მდგარი პრობლემების შესახებ ხშირად იბეჭდებოდა წერილები პერიოდულ პრესაში. გ. ანაშვილი ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ში 1914 წელს აღნიშნავდა, რომ ბევრი დაწერილა და თქმულა ადგილობრივი თეატრის უნუგეშო მდგომარეობაზე, მაგრამ საკრებულოს წევრებს ამ ჩივილისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ, საქმის გასაუმჯობესებლად კრინტიც არ დაუძრავთ. ახალსენაკში,

¹¹⁶ „საქართველო“, №113, 1916.

¹¹⁷ „თანამედროვე ქვეყანა“, №14, 1913.


ამ მოზრდილ დაბაში, ორი კულტურული დაწესებულებაა: სამკითხველო და თეატრი. ზედმეტია იმაზე საუბარი, თუ რა სარგებლობა მოაქვს სამკითხველოს და რაოდენ კულტურულ ძალას წარმოადგენს ქართული თეატრი ჩვენთვის. ეს ყველასათვის ცხადია, ვინც კი შურნალ-გაზეთებს თვალყურს ადევნებს. იმასაც ვხედავთ, რომ საქართველოში ქართული თეატრის საქმე ძლიერდება, ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში იმართება წარმოდგენები, შენდება სათეატრო დარბაზები და თვით ხალხიც დიდის გულმოდგინებით ეტანება თეატრის საქმის გაძლიერებას. ხალხის მეცადინეობით აშენდა სათეატრო დარბაზები დაბა ლანჩხუთსა, ოზურგეთსა და თვით აგარაკ ბახმაროზედაც. ამ დაბებს არ ჩამორჩება დაბა ახალსენაკი, მაგრამ ამ დაბის თეატრის უნუგეშო და გაჭირვებულ მდგომარეობას არაფერი ეშველა: პატარა ოთახი, დამტვრეული ფანჯრები, ოცამდე ფეხმომტვრეული სკამი, პატარა სცენა, რომელზედაც 12 კაცი ძლივს ეტევა. არავითარი დეკორაცია, ერთი ოთახი და ორი დახეული ფარდა, – აი, როგორია ახალსენაკის თეატრი. ამას დაუმატეთ ის უწესოება, ლანძღვა-გინება, რომელიც აქ ხდება, ყოველი წარმოდგენის გამართვის დროს და ნათლად წარმოგიდგებათ ჩვენის თეატრის მესვეურთა უქნარობა, – დანანებით წერდა ავტორი¹¹⁸.

გ. ელიავას მოსაზრებით, XIX ს-ის 90-იან წლებში სენაკის მოწინავე ინტელიგენციის ერთ-ერთი საზრუნავი იყო საკუთარი ქართული დრამატული საზოგადოების შექმნა¹¹⁹. გაზეთ „ფონის“ 1909 წლის №5-ში დაბეჭდილია მცირე ინფორმაცია ახალსენაკში დრამატული საზოგადოების დაარსების

¹¹⁸ „თეატრი და ცხოვრება“, №16, 1914, გვ. 15-16.

¹¹⁹ გ. ელიავა, საყურადღებო მასალები რაიონის კულტურული ცხოვრების ისტორიიდან. გაზ. „კოლხეთი“, №86, 2 ივლისი, 1968; მისივე, სამეგრელო. მხარეთმცოდნეობითი შრომები. ტ. II, თბ., 2023, გვ. 953.

განზრახვის შესახებ. „აქაურ ინტელიგენტების ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა ადძრას შუამდგომლობა დრამატიულ საზოგადოების გახსნის შესახებ. ამ მოკლე ხანში მოხდება კრება, რომელზედაც განიხილავენ გუბერნატორისთვის დასამტკიცებლათ წარსადგენ წესდების პროექტს. ვუსურვებ ამ ფრიად სიმპატიურ განზრახვის ჩქარა განხორციელებას“¹²⁰.



გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული წერილი ახალსენაკში თეატრის გახსნის შესახებ. 1916 წ.

¹²⁰ „ფონი“, №5, 4. 10. 1909, გვ. 2-3.

სურვილის მიუხედავად ახალსენაკის დრამატული საზოგადოების შექმნა მოხერხდა მხოლოდ 1915 წლის 15 სექტემბერს. ახალსენაკის ინტელიგენციის კრებაზე შემუშავებული წესდება დასამტკიცებლად წარედგინა გუბერნატორს¹²¹. ჩატარდა დამფუძნებელი კრებაც. არჩეულ გამგეობის წევრებს დაევალიათ საქმის წარმოება, მაგრამ საქმე წინ არ წასულა, რის გამოც მთავრობამ საზოგადოება გააუქმა. მიუხედავად ამისა, მას მუშაობა მაინც არ შეუწყვეტია, და როგორც გაზეთ „საქართველოში“ აღნიშნული, 24 ივლისიდან 10 გიორგობისთვემდე ხუთი წარმოდგენა გაუმართავს. წარმოდგენების გამართვაზე ნებართვას საგასტროლოდ მოწვეული მსახიობი იღებდა. პარალელურად აღიძრა ახალი შუამდგომლობა საზოგადოების წესდების დასამტკიცებლად, რაც მალე გაკეთდა კიდევ. მოწვეულ იქნა კრება, სადაც თავმჯდომარის ამხანაგმა საზოგადოების წევრებს გააცნო მუშაობის ანგარიში. გაირკვა, რომ წარმოდგენებიდან შემოსულა 750 მან., ხოლო ხარჯების გასტუმრების შემდეგ დარჩენილა 25 მან. არაოფიციალური კრების ანგარიშის დასრულების შემდეგ დაიწყო ოფიციალური კრება, რომელმაც ჩაატარა ახალი არჩევნები. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კენინა მერი დადიანი. არჩეულ იქნა ასევე გამგეობის 6 წევრი, 2 კანდიდატი და 3 სარევიზიო კომისიის წევრი¹²². იმავე წელს ძმების – თომა და ივანე სანიკიძეების მიწვევით ახალსენაკის დრამატული დასი გადავიდა დაბის ცენტრალური ქუჩის¹²³ კუთხეში ძმების მიერ თეატრისა და სასტუმროსათვის აშენებულ სამსართულიან, კეთილმოწყობილ შენობაში. წერეთლის ქუჩის მხარეს მოთავსებული იყო თეატრი, სრული და

¹²¹ „საქართველო“, №30, 1915.

¹²² გაზ. „საქართველო“, 11 გიორგობისთვე, 1916; ე. ბაღათურია, ი. კეკელია, ახალსენაკის თეატრალური ისტორიის სათავეებთან. კრ. „პავლე ინგოროყვა 130“, გვ. 101-102.

¹²³ ახლანდელი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ქუჩების კუთხე.

განიერი სცენით. თეატრის დარბაზს ჰქონდა ორი იარუსი და ლოჟები. აქვე იყო კინოდარბაზი 400-მდე მაყურებლისათვის. თეატრში დასის გადასვლასთან ერთად შექმნილი გამგეობის თავმჯდომარედ, როგორც აღვნიშნეთ, არჩეული იქნა მერი დადიანი, ხოლო მდივნად – ჯარიდან დემობილიზებული, ახალგაზრდა ექიმი სამუელ კეკელია¹²⁴.

1916 წლის 23 ივნისს ახალსენაკის სამკითხველოს დარბაზში გაიმართა ქართული დრამატული საზოგადოების წლიური კრება, რასაც ესწრებოდა 23 ძველი და 12 ახალი წევრი. კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ვანო კანდელაკი, მდივნად – გ. პ. ჯაკობია. გამგეობის სახელით კრებაზე მოხსენება წაიკითხა პ. ლორთქიფანიძემ¹²⁵, რომელმაც აღნიშნა, რომ დრამატულ საზოგადოებას დაარსებიდან დღემდე 80-მდე წევრი შეემატა. ამის შემდეგ განხილულ იქნა ინსტრუქცია. კამათი გამოიწვია იმ მუხლმა, რომელიც ეხებოდა გამგეობისა და დრამატული დასის ხელმძღვანელის დამოკიდებულებას. დაადგინეს შემდეგი: გამგეობამ მეთვალყურეობა გაუწიოს არამარტო წრის მიერ არჩეულ ხელმძღვანელს, არამედ რეჟისორსაც. გ. ჯაკობიამ ინსტრუქციაში შემდეგი სახის შესწორების შეტანა მოითხოვა: რეპერტუარის შემუშავება ევალებოდეს გამგეობას, რეჟისორთან ერთად. და-

¹²⁴ ნ. გომართელი, ნ. ლაშხია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 28.

¹²⁵ პოლიკარპე ესტატეს ძე ლორთქიფანიძე იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი. 1897 წელს იგი საწირის სკოლის, ხოლო 1899 წლის სექტემბრიდან ძველი სენაკის სკოლის მასწავლებლად მუშაობდა. 1906 წლის იანვრიდან იყო ძველი სენაკის სკოლის გამგის თანამდებობაზე. 1908 წლიდან ძველი სენაკის მეაბრეშუმეთა ამხანაგობის მმართველი იყო, 1909-1917 წწ. – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივანი, 1912 წლიდან 1919 წლამდე – ძველი სენაკის სკოლის ინსპექტორი (ხელმძღვანელი). სწავლობდა ხონის საოსტატო სემინარიაში (დაათავრა 1906 წელს). ჰყავდა ოთხი შვილი. 1905 წლის ქშუკვის ანგარიშის მიხედვით ძველი სენაკის სკოლის პედაგოგი პ. ლორთქიფანიძე 31 წლის იყო. მასშასადამე, დაბადებული ყოფილა 1874 წელს.

ნარჩენი მუხლი ინსტრუქციისა უცვლელად იქნა მიღებული და დამტკიცებული.



**სამუელ კეკელია -
ცნობილი ექიმი და
საზოგადო მოღვაწე
(1884-1962 წწ.)**

კრებამ გამგეობის წევრებად ერთხმად აირჩია კენინა ნინო მიქელაძისა (თავმჯდომარე), აგრაფინა დვალისა, ნადია ხუნწარია, ფლორენცია კალანდარაშვილი, სამუელ კეკელია, ბარნაბა ლაბარტყავა და ვლადიმერ ჭეიშვილი; მათ კანდიდატებად: ვარლამ ლომია, ვერა ცომაია და ნინო კალანდარაშვილი; სარევიზო კომისიაში: ვასილ კანდელაკი, გიორგი მალნარაძე და პოლიკარპე ლორთქიფანიძე¹²⁶.

დრამატული საზოგადოების ახალმა გამგეობამ მიიწვია ახალი და ძველი სცენისმოყვარეები და დააარსა წრე, რომლის ხელმძღვანელად არჩეულ იქნა სტუდენტი გ. ჯაკობია¹²⁷.

„სახალხო ფურცლის“ ცნობით, 1916 წლის 14 ივლისს, კვირას, სენაკის ქართული დრამატული საზოგადოება ხსნის სეზონს და მართავს წარმოდგენებს. წარმოდგენილი იქნება შიუკაშვილის¹²⁸ ოთხმოქმედებიანი პიესა „მეგობრობა“. მო-

¹²⁶ „სახალხო ფურცელი“, №615, 5 ივლისი, 1916.

¹²⁷ „სახალხო ფურცელი“, №632, 24 ივლისი, 1916; მსჯელობისათვის იხ. ე. ბადათურია, ი. კეკელია, ახალსენაკის თეატრალური ისტორიის სათავეებთან. კრ. „პავლე ინგოროყვა 130“, გვ. 102-103.

¹²⁸ იგულისხმება ცნობილი ქართველი პედაგოგი, დრამატურგი, ბელეტრისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ შიუკაშვილი (1870-1938 წწ.).

ნაწილეობის მისაღებად მოწვეული ყოფილა დამსახურებული მსახიობი ვალერიან გუნია. წარმოდგენის გამართვის დღეს უნდა კურთხეულიყო ახალი თეატრი.



ცნობილი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის – სამუელ კეკელიას საფლავი სენაკში

ამ სეზონში დაუდგამთ აგრეთვე ალ. ყაზბეგის პიესა „არსენა“, ილია ჭავჭავაძის „ბატონი და ყმა“, იოსებ გედევანიშვილის „მსხვერპლი“, ს. ჭანტურიშვილის „ბურუსი“, ნ.

შიუკაშვილის „სულელი“¹²⁹.

იმავე გაზეთ „სახალხო ფურცლის“ №636-ში გამოქვეყნებული კორესპონდენცია იწვებოდა, რომ „დაბა ახალ-სენაკს მიემატა ფრიად საინტერესო დაწესებულება – ახალი თეატრი. სათეატრო საქმეს განაგებს ადგილობრივი დრამ. საზოგადოება, რომლის წესდება უკვე დამტკიცებულია სათანადო უწყებისაგან“.



აკაკი ვასაძე (მეორე რიგში, მარჯვნიდან მეოთხე) და ახალსენაკის თეატრალური კოლექტივი (ვასაძის მარჯვნივ - ცნობილი სენაკელი მსახიობი არეთა ლოლუა). 1917 წ.

გაზეთი „სამშობლო“ ყურადღებას ამახვილებდა ახალსენაკის ინტელიგენციისა და მცხოვრებთა სრულ უმოქმედობაზე და მიუთითებდა, რომ საქართველოს არცერთ კუთხეში თქვენ ვერ შეხვდებით ახალსენაკივით კულტურულად ჩა-

¹²⁹ დ. გუგენავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 58; ნ. გომართელი, ნ. ლაშხია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 28.

მორჩენილ დაბას. სენაკის საზოგადოებას არ ჰქონდა არცერთი თვალსაჩინო და საყურდღებო სასწავლებელი, გარდა ერთი ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებლისა, არ ჰქონდა თეატრი, რის გამოც სენაკში იშვიათად იმართებოდა წარმოდგენები, ლექციები და საღამოები. სცენისმოყვარენი ცდილობდნენ მოეწყოთ ქართული წარმოდგენა. ისინი მეტად ძნელსა და აუტანელ პირობებში მუშაობდნენ, შესაფერისი დარბაზისა და სცენის მოწყობილობის არქონის გამო... საქმის ასეთ ცუდ მდგომარეობას ნათლად ხედავდა სენაკის ინტელიგენცია, მაგრამ საქმის მოსაწესრიგებლად და გასაუმჯობესებლად არავითარ მზრუნველობას არ იჩენდა. მის უმოქმედობას ბოლო არ ჰქონდა, მაგრამ გავიდა დრო და სენაკის ინტელიგენციამ ნათლად იხილა მთელი შედეგები თავისი უმოქმედობისა, თავისი შეცდომები და ამ ბოლო დროს შეუდგა შეცდომების გამოსწორებას.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებელი, რომლის სასარგებლოდ უკვე შეგროვილია რამდენიმე ათასი მანეთი.

დიდი ხნის შემდეგ ველირსეთ თეატრის დარბაზსაც, რომელიც უკვე შეუდგა მოქმედებას. წრემ განიზრახა საზაფხულო სეზონისათვის ქართველ მსახიობთა მოწვევა წრის სახელმძღვანელოდ და წარმოდგენების სისტემატურად გასამართად. ეს ყოველივე იმის მაჩვენებელია, რომ სენაკის ინტელიგენციამ თავი დაადწია საღათას ძილს და მოქმედების გზაზე გამოვიდა. ჩვენ ძლიერ გვახარებს ეს მოვლენა და იმედი გვაქვს, მომავალშიც ისეთივე ენერგიით განაგრძობს სენაკის ინტელიგენცია თავის მოქმედებას, თუკი მას გულით სურს ხალხის სამსახური¹³⁰.

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ იუწყებოდა, რომ 1916

¹³⁰ სამშობლო, №361, 1916; ე. ბაღათურია, ი. კეკელია, ახალსენაკის თეატრალური ისტორიის სათავეებთან. კრ. „პავლე ინგოროყვა 130“, გვ. 103-104.

წლის საზაფხულო სეზონს დაბა ახალსენაკის ქართული დრამატული საზოგადოება დაიწყებდა 10 ან 17 მკათათვეს და ამავე დღეს იყო დაგეგმილი თეატრისთვის განკუთვნილი დარბაზის კურთხევა. წარმოდგენაში მონაწილეობა უნდა მიეღო ვალერიან გუნიას¹³¹.

თუმცა თეატრის შენობა ოფიციალურად გახსნილი არ იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, 1916 წლის 13 მაისს, შაბათს, ფოთის ქართულ სექციას აქ წარმოდგენია დრამა „დღევანდელი გმირები“ (ოთხ მოქმედებად, ბაქრაძისა). „როგორც დრამატული ნაწარმოები, პიესა სუსტია, – წერდა რეპორტიორი ფ. მ., – მაგრამ პიესაში არის ადგილები, რომლებიც ძლიერ შთაბეჭდილებას ჰქმნიან. საზოგადოების ყურადღება მიიქცია ახალგაზრდა სცენის მოყვარე ქალმა, ქნ ნორაკიძის ასულმა ნინოს როლში, თუმცა მესამე მოქმედებაში სუსტობდა. პიესას რეჟისორობდა მსახიობი ხაძანიშვილი (ხაზანიშვილი?)“¹³². მეორე დღეს დაბა ახალსენაკში გამართულა კონცერტი როინაშვილის მეთაურობით¹³³.

ახალი თეატრი 24 ივლისს გაიხსნა¹³⁴ ნ. შიუკაშვილის

¹³¹ „თეატრი და ცხოვრება“, №28, 10 მკათათვე, 1916, გვ. 16. ცნობილი დრამატურგი, მსახიობი, პედაგოგი და რეჟისორი ვალერიან გუნიას (1862-1938 წწ.) დაიბადა სენაკის მაზრის სოფელ ეკში. 1882 წელს ვასო აბაშიძის ხელმძღვანელობით პირველად გავიდა სცენაზე. აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1883 წლიდან მოღვაწეობდა ქართულ პროფესიულ თეატრში. მას სცენაზე გამოარჩევდა დიდი სცენური მომსახველობა, შთაბეჭდავი გარეგნობა, შესანიშნავი ხმა და ძლიერი ტემპერამენტი. რედაქტორობდა ჟურნალ „თეატრს“, იყო გაზეთ „ცნობის ფურცლის“ და იუმორისტული ჟურნალის – „ნიშადურის“ დამაარსებელი. 1888 წელს გამოსცა „საქართველოს კალენდარი“. წლების განმავლობაში სათავეში ედგა ქართულ დრამატულ დასებს. მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ქართველ პროფესიონალ მსახიობთა აღზრდის საქმეში. 1913 წლიდან მოღვაწეობდა კინოში.

¹³² „საქართველო“, №108, 1916.

¹³³ იქვე.

¹³⁴ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ში წერილი ამბების რუბრიკით გამოქვეყნებული ინფორმაციით ახალსენაკში თეატრის კურთხევა გან-

ცნობილი პიესით – „მეგობრობა“. მონაწილეობას იღებდნენ ახალგაზრდა სცენისმოყვარენი – ადგილობრივი ინტელიგენცია, სტუდენტობა, მასწავლებლები და მოსწავლეები. საგანგებოდ მოწვეულმა ქართული თეატრის მოამბემ და ბურჯმა – ვალ. გუნიამ სპექტაკლში არჩილის როლი ითამაშა. სამი საათის მანძილზე მიმდინარე წარმოდგენას დიდძალი ხალხი ესწრებოდა. წარმოდგენის შემდეგ თეატრის მოტრფიალე ინტელიგენციამ ვ. გუნიას გაუმართა ნადიმი-ბანკეტი, სადაც მრავალი საგულისხმო სიტყვა იყო ნათქვამი. დრამატული საზოგადოების გამგეობას მეთაურობდა სტომატოლოგი ს. კეკელია¹³⁵.

თეატრის გახსნისა და წარმოდგენის გამართვის შესახებ „მგზავრის“ წერილი გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოში“, სადაც აღნიშნულია, რომ კვირას, 24 მკათათვეს ახალსენაკში გაიხსნა ახლად აშენებული სათეატრო, ორსართულიანი დარბაზი შესაფერისი სცენითურთ. თეატრი აშენებულია ძმათა სანიკიათაგან. კვირა დილით უნდა მომხდარიყო თეატრის შენობის კურთხევა შესაფერისი ზემით, მაგრამ საქმის გამგეთა ნებართვის გარეშე კურთხევა ვერ მოხდა.

ამ დღისთვის თბილისიდან საგანგებოდ მოწვეული იყო დამსახურებული არტისტი და საზოგადო მოღვაწე ვალერიან გუნია, რომელმაც შიუკაშვილის „მეგობრობაში“ არჩილ ლომოურის როლი ითამაშა. სადამოს თეატრს აუარებელი ხალხი დაესწრო. წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. თამაშობდნენ სცენისმოყვარულნი – უნივერსიტეტის ახალგაზრდობა და ადგილობრივი ინტელიგენცია – მასწავლებლების სახით. პიესა კარგად მოემზადებინათ და საზოგადოება კმაყოფილი დარჩა. ახალსენაკში თეატრის საქმეს განაგებს

ზრახული ყოფილა 1916 წლის 17 მკათათვეს, მაგრამ, როგორც ირკვევა, ამ დროისთვის ეს ვერ მოხერხდა. იხ. „თეატრი და ცხოვრება“, №29, 17 მკათათვე, 1916, გვ. 15.

¹³⁵ „სახალხო ფურცელი“, №636, 29 ივლისი, 1916.

ადგილობრივი დრამატული საზოგადოება, რომლის სათავეშიც სდგას სამოელ კეკელია, რომელმაც დიდი სიყვარული და ფხა გამოიჩინა ამ საკულტურო საქმის მოწყობაში. წარმოდგენის შემდეგ ვ. გუნიას გაუმართეს საზეიმო ვახშამი, სადაც ბევრი საზეიმო სიტყვა და სურვილი წარმოითქვა. ფრიად სასიამოვნოა აღნიშვნა იმ გარემოებისა, რომ ახალსენაკის ინტელიგენცია მეტად ფხიზელ და საზოგადო ინტერესებით არის გამსჭვალული. იგი შეგნებით მუშაობს...“¹³⁶.



თეატრის ძველი შენობის ხედი

„სახალხო ფურცელი“ იუწყებოდა, რომ **1916 წლის 23 ივნისს არჩეულმა სენაკის ქართული დრამატული საზოგადოების ახალმა გამგეობამ აღძრა შუამდგომლობა საზოგადოების აღდგენის შესახებ, ქუთაისის გუბერნატორის წინაშე.** ადმინისტრაციის მიერ 30 ოქტომბერს აღდგენილი საზო-

¹³⁶ „საქართველო“, №167, 28 მკათათვე, 1916.

გადოების ახალი გამგეობის თავმჯდომარე იყო კნენა მერი დადიანი, წევრები: ნადია ხუნწარია, ვერა ცომაია, მარო ხოფერია, სამუილ კეკელია, ბარნაბა ლაბარტყავა, კანდიდატები: აგრაფინა კერზაია და ვლ. კალანდარიშვილი. სარევიზიო კომისიის წევრები იყვნენ: გ. მაღნარაძე, პ. ლორთქიფანიძე და ს. გამყრელიძე¹³⁷.



ახალსენაკის კლუბის წინახედი. 1918-1919 წწ.

სენაკის ქართული დრამატული საზოგადოებისა და წერა-კითხვის საზოგადოების ინიციატივით 22 ოქტომბერს ნიკოლოზ ბარათაშვილის 100 წლისთავის აღსანიშნავად გაიმართა სალიტერატურო საღამო. გაზეთის ცნობით აქ განიზრახეს ქართველ მომღერალთა გუნდის დაარსება, რომლის მიზანი იქნებოდა ხალხური სიმღერების შეკრება. ამ საქმის ინიციატორები ყოფილან თავადი კოკი დადიანი და ქართული სიმღერების მცოდნე ლოტბარი ძუკუ ლოლუა. ამ მიზნით კოკი დადიანის მოწოდებით 3 დეკემბერს შემდგარ კრებაზე აირჩიეს კომისია სამი პირის შემადგენლობით (თავადი კოკი

¹³⁷ „სახალხო ფურცელი“, №721, 12 დეკემბერი, 1916, გვ. 3.

დადიანი, თავადი ბესარიონ ხეცია და ექიმი ივლიანე ხოფერიას), რომელთაც დაევაღათ წესდების შედგენა და წარდგენა ქუთაისის გუბერნატორთან დასამტკიცებლად¹³⁸.

იმავე გაზეთის №735-ში გამოქვეყნდა ინფორმაცია 22 ნოემბერს ნ. ბარათაშვილის დაბადებიდან ასი წლისთავის აღსანიშნავად ლიტერატურული საღამოს გამართვის შესახებ. საღამოზე ია ეკალაძემ წაიკითხა პოეტის მოკლე ბიოგრაფია და მოღვაწეობა. მოწაფეთა ხორამ მღვდელ ა. სახოკიას ლოტბარობით შეასრულა შემდეგი ქართული სიმღერები: „მორბის არაგვი“, „წარვე წყლის პირსა“ და „მერცხალი“. მოზრდილთა ხორამ კი, ვ. გეგეჭკორის ლოტბარობით – „აღსდექ, გმირთ გმირო“, „სამშობლო“, „გახტანგ მეფე“. ახალსენაკის მასწავლებლებს და მოწაფეებს წაუკითხავთ ნ. ბარათაშვილის რჩეული ლექსები, ბოლოს კი დადგმული იქნა ცოცხალი სურათები ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებიდან¹³⁹.

1916 წლის 10 სექტემბერს ახალსენაკის დრამატული საზოგადოების დასის მიერ „თამარ ბატონიშვილის“ წარმოდგენის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „საქართველოში“. ამ ინფორმაციიდან ცნობილი ხდება, რომ ახალსენაკს სწვევიან იტალიელი მომღერლები – სოირი და ბერნანდი: „წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, დიდძალი საზოგადოებაც დაესწრო. ქრისტეშობის 11-ს იტალიელმა მომღერალმა ქალმა სოირიმ ბატონ ბერნანდთან ერთად გამართა კონცერტი. შეასრულეს არიები და დუეტები სხვადასხვა ოპერებიდან. კონცერტმა დიდძალი საზოგადოება მიიზიდა“¹⁴⁰.

1916 წლის 26 ნოემბერს ადგილობრივმა სცენისმოყვა-

¹³⁸ „სახალხო ფურცელი“, №721, 1916; მსჯელობისათვის იხ. ე. ბაღათურიას, ი. კეკელიას, ახალსენაკის თეატრალური ისტორიის სათავეებთან. კრ. „პაკლე ინგოროყვა 130“, გვ. 105.

¹³⁹ „სახალხო ფურცელი“, №735, 1916.

¹⁴⁰ „საქართველო“, 18 სექტემბერი, 1916.

რეებმა წითელი ჯვრის სასარგებლოდ წარმოადგინეს თუთა-
ვეის სამმოქმედებოიანი დრამა – „მეორე კაინი“¹⁴¹. „სახალხო
ფურცელი“ ამასთანავე იუწყებოდა, რომ აღდგენილი იქნა
სენაკის ქართული დრამატული საზოგადოების გაუქმებული
უფლება და შემდეგი წარმოდგენა „თამარ ბატონიშვილი“
(დრამა ხუთ მოქმედებად) წარმოდგენილი იქნებოდა შაბათს,
10 დეკემბერს¹⁴².

1916 წლის სეზონში ახალსენაკის თეატრის რეპერტუა-
რი შეივსო საუკეთესოდ დადგმული პიესებით: შალვა დადი-
ანის „გეგეჭკორი“, ნ. შიუკაშვილის „არამზადები“ და სუმბა-
თაშვილის „დალატი“. სამივე სპექტაკლი, – აღნიშნავენ ნ.
გომართელი და ნ. ლაშხია, – დიდი წარმატებით იდგმებოდა.
„გეგეჭკორი“ ფოთშიც წაიდეს საგასტროლოდ. სიღუს
როლს ჰყავდა საუკეთესო შემსრულებლები: ფოთში – ბებე
ჯაიანის, ხოლო ახალსენაკში – ნ. ხოფერიას სახით. სწო-
რედ ხეციას როლის შესრულებისას შეამჩნია შალვა დადი-
ანმა ახალგაზრდა აკაკი ხორავას დიდი ნიჭი და შესაძლებ-
ლობა, რომელიც იმჟამად ახალსენაკში ყოფილა ჩასული.
კომიკური ნიჭით გამორჩეული ყოფილა ხუხუ ხოფერია გი-
ტოს როლში, რომლის გამორჩენაც სცენაზე მაყურებელთა

¹⁴¹ დრამატული დასის მიერ ამ სპექტაკლის წარმოდგენას კრიტიკუ-
ლად შეხვდა ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. ვინმე გურული წერდა:
„ჩვენს გაზეთებში ამოვიკითხე, რომ ახალ-სენაკის დრამ. დასს წარ-
მოდგენა გაუმართავს, დაუდგავს თუთავეის „მოსე კაინი“. წარმოდგე-
ნას ურიცხვი ხალხი დასწრებია. ეს რომ წავიკითხე, მწუხარებით წამო-
ვიძახე: ვაი, ჩვენო უპატრონო პროვინციავ! ძმებო, სად არის თქვენი
შეგნება? დავიჯერო მეტი უნარი არა გაქვთ მხატვრულ ნაწარმოებთა
შერჩევაში! ამისხენით ღვთის გულისათვის, რას ფიქრობდით, როცა
„მეორე კაინისთანა“ სისულელით უმასპინძლდებოდით მაყურებელს?
დაიწყეთ თანამედროვე საუკეთესო პიესით „მეგობრობით“ და „მეორე
კაინამდე“ ჩამოქვითდით?! აი, ამასა ჰქვიან, მე თუ მკითხავთ, წინმსვლ-
ლობა!“ იხ. „თეატრი და ცხოვრება“, №52, 25 დეკემბერი, 1916, გვ. 14.

¹⁴² „სახალხო ფურცელი“, 9 დეკემბერი, 1916.

აღტაცებას და სიცილს იწვევდა („არამზადები“)¹⁴³.

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერ მასალათა ფონდში დაცულია „წესები სენაკის ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობის საქმეთა წარმოებისათვის“¹⁴⁴. დოკუმენტის მიხედვით, საზოგადოების გამგეობა ხელმძღვანელობს საზოგადოების წესდებით და იყოფა ადმინისტრაციულ და სათეატრო სექციებად. გამგეობის მოვალეობას შეადგენს თავმჯდომარის ამხანაგის, მდივნის, ხაზინადარის, საზოგადოების ქონების გამგის, სექციის წევრებისა და სხვა თანამდებობის პირთა არჩევა; სექციებისა და თანამდებობის პირთა მოქმედებების შეთანხმება და საერთო ხელმძღვანელობა, დამტკიცებული სათანადო წესების საფუძველზე. გამგეობის შეერთებული სხდომის მოწვევა და ხელმძღვანელობა ევალებოდა თავმჯდომარეს ან მის ამხანაგს.



ახალსენაკის მოწინავე საზოგადოება. 1918-1919 წწ.

¹⁴³ ნ. გომართელი, ნ. ლაშხია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 32.

¹⁴⁴ გმმ, სმფ, ა. ჯგ. №185.

ადმინისტრაციულ სექციაში შედიოდა გამგეობის თავმჯდომარე, მდივანი, ან ერთი ან ორი წევრი გამგეობისა, არჩევით. სექციის მოვალეობას შეადგენდა საკანცელარიო საქმეებისა და მიმოწერის წარმოება, საზოგადოების ქონების მოვლა-პატრონობა, წლიური ანგარიშებისა და მოხსენებების მომზადება გამგეობის დასადასტურებლად და კრებისადმი წარდგენა; საწევრო თანხის შეკრება; საზოგადოების წევრთა რიცხვის გაზრდა და ზრუნვა საზოგადოების მატერიალურად გაძლიერებისათვის; კანცელარიის ან თეატრის მსახურთა დაქირავება, დათხოვნა და სხვ.

თეატრალურ სექციაში სამ წევრს ირჩევდა გამგეობა, ხოლო სექციის წევრები მათ შორის ირჩევდნენ თავმჯდომარეს და მისი ხელმძღვანელობით მართავდნენ სხდომებს. სექციის მოვალეობას შეადგენდა: სცენისმოყვარეთა მუდმივი წრის შესადგენად ძალების მოპოვება; წინასწარი მოლაპარაკება ანტრეპრენერებთან, არტისტებთან, ლექტორებთან და სხვ., წარმოდგენებისა და ლიტერატურული სადამოების გასამართავად; მოლაპარაკება სათეატრო დარბაზის პატრონთან, დარბაზის დათმობის პირობების შესახებ; წარმოდგენისა თუ სალიტერატურო სადამოს გასამართავად საჭირო ნივთების დამზადება; მუსიკოსებისა და დამკვრელების მოწვევა; სეზონური რეპერტუარის შედგენა; ხელმძღვანელობა სცენისმოყვარეთა წრისა რეპეტიციების დროს; ბილეთების დამზადება და ა. შ.

საზოგადოების კანცელარიის საქმეებს განაგებდა საზოგადოების მდივანი. ის მიიღებდა და აგზავნიდა კორესპონდენციებს და სათანადო შენიშვნებით ჩაწერდა განსაკუთრებულ დავთარში. საქმეების საწარმოებლად კანცელარიას გააჩნდა შემოსავალ-გასავლის წიგნი, შემოსავლებისა და ხარჯების კასის წიგნი, წევრთა სია, მიღებული კორესპონდენციის ჩანაწერი დავთარი, მთავარი საკვიტანციო წიგნი, გასავლის ორდერების წიგნი, მუდმივ წევრთა ბილეთების წიგნი, საზოგადო კრებების ოქმების წიგნი, მოწერილი კო-

რესპონდენტების რემარკების დავთარი, სხდომის მოსაწვევე უწყებათა დავთარი და სხვა წიგნები.

დრამატული საზოგადოების საქმიანობისათვის საჭირო თანხების შესახებ წესდებაში აღნიშნულია, რომ საზოგადოების კასაში შემოსული ყოველი ფული ჩაირიცხება ან სახარჯო თანხაში, ან საგანგებო ან სათადარიგო თანხებში; სახარჯო თანხა შედგება საწევრო გადასახადისაგან, წარმოდგენების შემოსავლისა და შემოწირულებათაგან. ფულის სახარჯავად გამოტანა ევალებოდა ხაზინადარს, თავმჯდომარის ნებართვით და ფულის გამოსატან საბუთზე მისივე ხელმოწერით.

სცენისმოყვარეთა წრეს თეატრალური სექციის წინადადებით იწვევდა საზოგადოების გამკეობა. წარმოდგენებში სისტემატურად მონაწილე სცენისმოყვარენი ითვლებოდნენ საზოგადოების ნამდვილ წევრებად, საწევრო თანხის გადაუხდელად. სცენისმოყვარეთ ხელმძღვანელობას უწევდა მოწვეული რეჟისორ-ადმინისტრატორი, ან მათ შორისვე მათგან არჩეული მეთაური თეატრალური სექციის ერთ-ერთი წევრის მეთვალყურეობის ქვეშ. წესდების თანახმად, სცენისმოყვარე, რომელიც წელიწადში ხუთჯერ მაინც მიიღებდა აქტიურ მონაწილეობას წარმოდგენებში, ისარგებლებდა უფლებით, უსასყიდლოდ დასწრებოდა საზოგადოების მიერ გამართულ იმ წარმოდგენასაც, რომელშიც ის მონაწილეობას არ იღებდა. მას დაეთმობოდა თეატრში დაბალფასიანთა ადგილი უსასყიდლოდ ან საზოგადოების ხარჯით, მაშინაც კი, როცა ადგილობრივ სცენაზე ითამაშებდნენ, რომელიმე საყურადღებო და რთული პიესისას მოწვეულნი ან გზად გამოძვლელი თვალსაჩინო მსახიობები. სცენისმოყვარე ემორჩილებოდა სათეატრო დისციპლინის კანონებს. არ ჰქონდა უფლება რეპეტიციების შეფერხებისა და წარმოდგენების მსვლელობისა. ვალდებული იყო, დამორჩილებოდა რეჟისორის ან მეთაურის კანონიერ მოთხოვნებს, როგორც, მაგალითად, ამა თუ იმ როლის მიღების, როლის გადაწერის და დას-

წავლის, რეპეტიციებზე თავის დროზე დასწრებისა და სხვა ამგვარი წესების დაცვის შესახებ. მიღებული წესების დამრღვევი სცენისმოყვარე დათხოვნილი იქნებოდა საზოგადოების წევრობიდან და ამის შემდეგ არ ჩაითვლებოდა ამ წოდებაში. წრის წევრთა და წრის ხელმძღვანელთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება გაირჩეოდა თეატრალური სექციის მიერ და დასკვნა მოხსენდებოდა გამგეობის გაერთიანებულ სხდომას, რომელიც დაადასტურებდა თეატრალური სექციის განაჩენს¹⁴⁵.

გრიგოლ ტევზიას მოგონებების მიხედვით ხალსენაკის თეატრის სცენაზე 1911-1920 წლებში მოღვაწეობდნენ სცენისმოყვარენი: კოტე დავითაია, პროკლე თურქია, გრიგოლ თევზაია, აკაკი ხორავა, დურსუნ გეგენავა, შალვა ლომაია, სამუელ კეკელია (რეჟისორი), აკაკი შუბლაძე, პლატონ შაფათავა, პოლიკარპე ლორთქიფანიძე, რემა შელევია, ანტონ ნადარეიშვილი, პლატონ ბუალავა, გუია ნორაკიძე და სხვები, ქალბატონებიდან: ნინა, ოლლა და ბაბუცა თევზაიები, მარო და ნინო ხოფერიები, ბაბუცა გოგოლაშვილი, ბაბუცა ბერიძე, ნინა ხურცილავა და დარო სალაყაია (მოკარნახე)¹⁴⁶.

ახალსენაკის თეატრალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი პერიოდია აგრეთვე 1917-1921 წლები. ამ პერიოდში, სხვადასხვა დროს დაიდგა შემდეგი პიესები: პ. ირეთელის „დამარცხებულნი“, ია ეკალაძის „№21 ჯვრით“, ავქსენტი ცაგარლის „ციმბირელი“, შალვა დადიანის „ბატონი და ყმა“ (გადმოკეთებული ილია ჭავჭავაძის პოემიდან – „კაკო ყაჩაღი“), იოსებ გედევანიშვილის „მსხვერპლი“, ალექსანდრე სუმბათაშვილის „ლალატი“, დავით ერისთავის „სამშობლო“, გა-

¹⁴⁵ გ. ელიავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 953-957.

¹⁴⁶ იხ. გრ. თევზიას მოგონება, სამეგრელოში, კერძოდ ახალ-სენაკში (ამჟამად ცხაკაია) თეატრალური მუშაობის შესახებ (ხელნაწერი), 1954. საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფ. III, ს. 79, №14132, გვ. 5.

ლერიან გუნისას „და-ძმა“ და სხვ.¹⁴⁷

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ახალსენაკის თეატრის მდგომარეობა გაუარესდა. რაც კარგად ჩანს საარქივო დოკუმენტის შემდეგი ჩანაწერიდანაც:

„I. მიეცეს წინადადება სასურსათო კომიტეტს (თავმჯდომარე გ. ჯავახია) მომდერალთა გუნდიდან აძლიოს მოსამსახურეთათვის დაწესებული ულუფა მხოლოდ იმათ, ვინც მსახურობს რომელიმე საბჭოთა დაწესებულებაში გუნდის გარეშე და გუნდის გამგეს. ვინაიდან დრამატული სექცია თავისი მრავალრიცხოვანი შტატით მძიმე ტვირთად აწვევა ადგილობრივ რეკომს, დაევალოს განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ვ. ქობულიას ჩაიბაროს თეატრის ქონება, ხოლო დრამატული სექცია იქნას დაშლილად გამოცხადებული და ახალი დასის შედგენა მიენდოს ვ. ქობულიას“¹⁴⁸.

1921 წელს გამოყოფილ სარეჟისორო კოლეგიაში შედიოდნენ: ს. კეკელია, გ. ჯაკობია, მ. ხოფერია, ხოლო თეატრალური დასის წევრებად ირიცხებოდნენ: ნინო ხოფერია, საშა გამპარდია, ნინო ხვიჩია-ხოფერია, ნ. ვერულაშვილი, ნინუცა ხურცილავა, ც. ხოფერია და მოკარნახე დარო სალაყაია, გრიშა თევზია, შალვა გეგენავა, აკაკი ხორავა, შალვა კალანდარიშვილი, კაკო კალანდარიშვილი, მ. ხოფერია, ხ. ლორთქიფანიძე, რემა შელეგია, სამუელ კეკელია, შ. ლომია, ნ. სალაყაია, მ. ღვამიჩავა (შემდეგში ცნობილი იურისტი), ვ. წერეთელი, პ. ბუაღავა, შურა გეგენავა და სხვ.¹⁴⁹ ამ პერიოდში დადგმული სპექტაკლებიდან ყველაზე დიდი წარმატება წილად ხვდა სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატს“. მასში როლები შემდეგნაირად იყო განაწილებული: მეფე სოლეიმანი

¹⁴⁷ ნ. გომართელი, ნ. ლაშხია, გვ. 30.

¹⁴⁸ გაზ. „კოლხეთი“, №6, 13 იანვარი, 1990, გვ. 3; მსჯელობისათვის იხ. ე. ბაღათურია, ი. კეკელია, ახალსენაკის თეატრალური ისტორიის სათავეებთან. კრ. „პავლე ინგოროყვა 130“, გვ. 109.

¹⁴⁹ ნ. გომართელი, ნ. ლაშხია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 32.

– გ. ჯაკობია, გ. თევზაია, ზეინაბი – ნ. ხვიჩია-ხოფერია, ოთარ-ბეგი – შ. კლანდარიშვილი, ერეკლე – ხ. ლორთქიფანიძე, დათო – შ. გეგენავა, რუქაია – ნ. ხოფერია, გაიანე – ს. გამზარდია, ანანია – შურა გეგენავა, ისახარ – ც. ხოფერია. „ლალატის“ დადგმა პროვინციულ სცენაზე ტექნიკურად ძნელი იყო... მასობრივი სცენების ჩატარება დიდ პრობლემას წარმოადგენდა. არ გექონდა რეკვიზიტი და ტანსაცმელი, მაგრამ წინააღმდეგობები დაძლეული იქნა და წარმოდგენა მაღალ დონეზე ჩატარდა. მსახიობთა თამაშმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. ამრიგად, სუმბათაშვილ-იუჟინის „ლალატი“ ჩვენ აშკარად გავიმარჯვეთ, – იგონებს ნ. ხოფერია¹⁵⁰.

¹⁵⁰ იხ. ნ. გომართელი, ნ. ლაშხია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 32.

ბოლოთქმა

ამდენად, 1881-1921 წლებში ახალსენაკში სცენისმოყვარეთა დასის ჩამოყალიბება და მოღვაწეობა იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა მხარის თეატრალურ ცხოვრებაში. სცენისმოყვარეთა საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენია თბილისისა და ქუთაისის თეატრალურ საზოგადოებებს. იმდროინდელი პერიოდული პრესა სიამოვნებით აქვეყნებდა ცნობებს ახალსენაკსა და მის შემოგარენში (ბანძა, სუჯუნა, ფოთი...) დადგმული სპექტაკლებისა და მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენების შესახებ. ყოველი ახალი წელი ახალ საფუძველს უყრიდა სცენისმოყვარეთა მომავალ მუშაობას. გამოჩენილ მსახიობებთან კონტაქტი და სასცენო თანამშრომლობა ახალისებდა და პროფესიონალებად აყალიბებდა ადგილობრივ კადრებს. თეატრალიზებული საღამოებისა და კონცერტების გამართვა სულ უფრო სისტემატურ ხასიათს იღებდა.



ახალსენაკის მოძრავი თეატრი. სხედან: ნ. შაფათაია და აკ. შუბლაძე
(წელი უცნობია)



ახალსენაკის რკინიგზის კლუბთან არსებული თეატრალური დასი
(წელი უცნობია)

I რიგში სხედან: გალაქტიონ ფიფია, აგრაფინა ბერაძე, ცუცა გრიგოლია, ნინო კაპანაძე, მერი ლომთაძე, ელენე კოლოშვილი; II რიგში: კოტე ჯაიანი, ნიკოლოზ შაფათავა, გრიგოლ (გრიშა) ბედია, ერმინე შუშანი, იროდი გრიგოლია, აკაკი შუბლაძე; III რიგში დგანან: არჩილ ჩაჩიბაია, რემა შელეგია, გუია ნორაკიძე, კოტე დარჯანია, გალაქტიონ დოლიძე; ბოლო რიგში დგანან: დავით ჩემია, ვალოდია ქურდოვანიძე, კირილე კორძაძე, დავით ესებუა.



ადგილობრივი სცენისმოყვარეები - ელისაბედ ბედია-ჭანტურიასი
(მარცხნიდან პირველი), ლიდა ქავთარაძე (შუაში) და ლუნა ქავთარაძე

მოცემულ პერიოდში ახალსენაკის სასცენო ხელოვნების ისტორიას ქმნიდნენ ქართული სცენის კორიფეები: ვასო აბაშიძე, ავქსენტი ცაგარელი, ნატო გაბუნია, ვასო ბალანჩივაძე, ალექსი მესხიშვილი, ვალერიან გუნია, ნინო ჩხეიძე, აკაკი ხორავა, ალ. ჯაყელი, ვლ. სარელი, ვ. შალიკაშვილი, ნიკო გვარაძე, გ. არადელი-იშხნელი და სხვანი; ადგილობრივი სცენისმოყვარენი: ნ. ჩ., ახვლედიანი, ვ. დადიანისა, მ. ხოფერიასი, გიორგი ბებურიშვილი, ბ. ბებურიშვილისა, ნ. მხეიძისა, დ. კვანია, სპ. ენუქიძე, ლომინაძე, ლ. ქავთარაძე, ვ. აღლაძისა, ვ. ჯიჯიხიასი, ე. კვიციანიძისა, კ. მესხისა, ნ. კალანდარიშვილისა, ს. ყიფიანი, ვლ. აბაშიძე, ე. კვიციანიძე, კ. კალანდარიშვილი, ვ. ელიავა, ნესტორ გაბუნია, მიხეილ დიდებულძე, ეკატერინე ჟურული, ბაგრატ ჟურული, ჩეკიანი, გ. ბუდაკოვსკი, პროსკურიანი, ფედოსია კალანდარიშვილი, პ. საჯაია, გოგუცა საჯაია, ს. საჯაია, ტრიფონ კალანდარიშვილი, ბ. გრიგოლია, ა. ჯაფარიძისა, ვერა ნიკოს ასული ჯიჯიხია, ირაკლი კალანდარიშვილი, ნატალია ირაკლის ასული კალანდარიშვილი, ვლადიმერ აბაშიძე, ბესარიონ მიქაძე, ნინო მიქელაძისა, აგრაფინა დვალისა, ნადია ხუნწარია, ფლორენცია კალანდარიშვილი, სამუელ კეკელია, ბარნაბა ლაბარტკვაა, ვლადიმერ ჭეიშვილი, ვარლამ ლომია, ვერა ცომაია, ნინო კალანდარიშვილი, თეოფანე კალანდარიშვილი, ივანე კალანდარიშვილი, შ. კალანდარიშვილი, ვასილ კანდელაკი, გიორგი მადნარაძე, პოლიკარპე ლორთქიფანიძე, გიორგი ჯაკობია, გუია ნორაკიძე, მ. გუგუშვილი, მარო მდივანი, გიორგი გამზარდია, ბაბუცა თევზაია, ე. ჯაკობია, ჭეიშვილი, ოლინკა დადიანი, გ. შევარდნაძე, ელისაბედ ბედიასჭანტურიასი, ვ. მამფორია, კ. ხოფერია, ც. ხოფერია, მ. გვათუა, არეთა ლოლუა, კოტე დავითაია, გრიგოლ თევზაია, მიხეილ დვამიჩავა, მ. ხუბუტია, მ. ლევაშოვი, ხუხუ ხოფერია, ნ. ხეიჩია-ხოფერია, შურა გეგენავა, შადვა გეგენავა, ბაბუცა გოგოლაშვილი, აკაკი შუბლაძე, ანტონ ნადარეიშვილი, პლატონ ბუაღავა, ს. გამზარდია, ნინუცა (ნინა) ხურციღავა, ქ. დანელია, ჯ. ხეიჩია, ო. გვასალია, ნ. მატახერია, ფ. თევზა-

ია, შ. გოგია, გუგული მხეიძე, პროკლე თურქია, ლიზა ჩიქოვანი, რ. გამსახურდია, ც. ნორაკიძე, დურსუნ გეგენავა, დარო სალაყაია, შალვა ლომაია, ბაბილინა (ბაბუცა) ბერიძე... ასევე ქუთაისიდან და თბილისიდან ჩამოსული მსახიობები: ს. მგალობლიშვილი, ი. გოგოლაშვილი, თ. მიქელაძე, ივანიძე, ბაბო რიონელი (პიასეცკაია), ალავიძე, ჩიქოვანი, გვეტაძე, ფერაძე, ვარდანაშვილი, ბერიძე, ჯვარისელი, ტყეშელაშვილი, გრ. ჩარკვიანი, თუთბერიძე, ნემო, ხმალაძე, დ. აბდუშელი, პ. ფრანგიშვილი, ვ. ურუშაძე, ნ. ჯავახიშვილი და სხვა მრავალი.



სცენისმოყვარე ნატალია კალანდარიშვილისა (მამა არისტარქოს მეუღლე), მამა არისტარქო, ნატალიას მამა ირაკლი კალანდარიშვილი, დები – თამარი და საშა

ზოგი სცენისმოყვარის შესახებ ძალიან მწირი ცნობები შემოუნახავს ფოლიანტებს, ზოგიერთის სახელიც კი უცნობია... თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყოველი მათგანის შემოქმედება ძვირფასია და განსაკუთრებული პატივისცემით უნდა მოვიხსენიოთ სწორედ ისინი, რომლებმაც წინააღმდეგობებით საგსე რთულ და საინტერესო გზაზე თავიანთი მხრებით ზიდეს თეატრის მძიმე ჭაპანი, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს.

**ჩემი მხიკა მოგონება
აქქსანტი საგარკლზე**



მშები - სამუელ (მარცხნივ) და მიხეილ კეკელიები

მე მაშინ ბავშვი ვიყავი. იქ, სადაც ახლა რკინიგზის ქა-
ლაქის სადგურია, გვერდით მაშინ საკლუბო დარბაზი იყო.
სკოლაში რომ მივდიოდი, სწორედ ამ კლუბის წინ უნდა გა-
მეარა და მასზე ზოგი რამ დამამახსოვრდა. მახსოვს ისიც,
რომ ამ კლუბში ზოგჯერ წარმოდგენა-კონცერტები იმართე-
ბოდა. მე მაშინ ჩემი უახლოესი ნათესავის ბესარიონ ხოფე-
რიას სახლში ვცხოვრობდი. ბესარიონის სახლში (ამჟამად
ლიბკნეხტის ქუჩა №14) ხშირად თავს იყრიდა იმ დროის
კულტურული საზოგადოება. ერთხელ ამ ოჯახს საყვარელი
მგოსანი აკაკი წერეთელი ეწვია. აკაკისთან ერთად აქ ჩემი

ყურადღება მიიპყრო ერთმა ჩოხა-ახალუხიანმა ახოვანმა ვაჟკაცმა. იგი მეტად მარჯვე იყო და მოსწრებული სიტყვა-პასუხით ყველას აცინებდა. სტუმრები სუფრას მიუსხდნენ და შეზარხოშებულებმა მალე სიმღერა წამოიწყეს. მღეროდნენ იმ დროისათვის მეტად პოპულარულ სიმღერას „საიდუმლო ბარათი“ (აკაკის ლექსი). მე დერეფანში ვიყავი, ბავშვურმა მოუთმენლობამ გამიტაცა და მათს სიმღერას ჩემი ხმაც შევუერთე. სასწრაფოდ შემეყვანეს დარბაზში. აკაკიმ მოხოვა ლექსი მეთქვა. ის იყო შევეცადე ზეპირად მეთქვა „საიდუმლო ბარათი“, მაგრამ ლექსის თქმა ბოლომდე ვერ შევძელი – შემრცხვა, მაგრამ შევძახე: ვიმღერებ-მეთქი. მამღერეს და მომიწონეს. ჩოხა-ახალუხიანმა ვერცხლის ფული მანუქა, რამაც სამუდამოდ დამამახსოვრა იგი. მერე გავიგე, რომ ეს სტუმარი იყო ჩვენი სასიქადულო დრამატურგი ავქსენტი ცაგარელი, რომელსაც შემდეგ ხშირად ვხვდებოდი. ავქ. ცაგარელი მაშინ ჭალადიდში მუშაობდა და აქ ხშირად ჩამოდიოდა, რათა სცენისმოყვარეებისათვის თავი მოეყარა კლუბში წარმოდგენების გამართვის მიზნით. მართლაც ავქ. ცაგარელის ინიციატივით ჩვენს ქალაქში იდგმებოდა წარმოდგენები, რომლებშიც მონაწილეობდნენ თვით ავქსენტი, მისი მეუღლე ნატო გაბუნია, ოლინკა დადიანი, გ. შევარდნაძე, ელისაბედ ბედია-ჭანტურიასი, ვ. მამფორია, კ. ხოფერია, მ. გვათუა და სხვ.

ამის მიღწევა მაშინ მხოლოდ ისეთ გავლენიან და სცენით დიდად დაინტერესებულ პირს თუ შეეძლო, როგორც ავქ. ცაგარელი იყო.

ექიმი სამუელ კეკელია

გაზეთი „ავანგარდი“ (ცხაკაია), №120, 11 ოქტომბერი, 1953, გვ. 3.¹⁵¹

¹⁵¹ მოგონებაში გაცოცხლებულია 1894-1895 წლების ამბები. ორიოდ

სიტყვით მოგონების ავტორის შესახებ: **სამუელ ანტონის ძე კეკელია** დაიბადა 1884 წლის 2 სექტემბერს, სოფელ ბანბაში (საეკლესიო ჩანაწერებში მისი დაბადების თარიღად მითითებულია 1885 წლის 3 დეკემბერი). იგი ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე იყო. სწავლობდა სენაკის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისის სასულიერო სემინარიაში. 1904 წელს „ბურსაკული“ ცხოვრების გამო დათრგუნულმა სემინარისტების გარკვეულმა ნაწილმა ამბოხება მოაწყო. ამბოხებულთა შორის, რომლებიც შეურაცხყოფდნენ რუს ვეზარქოსებს, სემინარიის რექტორს, სხვადასხვა სასულიერო და საერო პირებს, ერია სამუელიც. ანტონ კეკელია მგლის ბილეთით სასწავლებლიდან გარიცხულ ვაჟიშვილთან ერთად, ბებე დადიანის დახმარებით, რუსეთის იმპერიის განათლების მინისტრის ერთ-ერთ მოადგილეს პეტერბურგში ეახლა და სთხოვა შვილის ემაწვილურ შეცოდებათა პატიება. მამა ანტონმა ღრმა განსწავლულობით, შესანიშნავი გარეგნობით მინისტრის მოადგილის სიმპათია დაიმსახურა და მგლის ბილეთით გარიცხული სამუელი ორიოლის სასულიერო სემინარიაში გაამწესა, სადაც ასევე მოღვაწეობდა (იმხანად მიტროპოლიტის ხარისხში) კირიონ საძაგლიშვილი. მასთან მამა ანტონს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა, ჯერ კიდევ იმ პერიოდშიდან, როცა კირიონი ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი იყო. პეტერბურგიდან ორიოლში ჩასული სამუელი, როგორც აღვნიშნეთ, კირიონის დახმარებით სასულიერო სემინარიაში ჩაირიცხა (იხ. ქ. კეკელია, მამა და შვილები. გაზ. „მამა ანტონ კეკელია“, მარტი, 2000, გვ. 2). სემინარიის დასრულების შემდეგ სამუელმა თბილისში კბილის კერძო საექიმო სკოლა დაამთავრა და 1913 წელს ჩააბარა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, სტომატოლოგიის სპეციალობით. სამშობლოში დაბრუნებული მუშაობას იწყებს ახალსენაკში. ქალაქის საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო საქმიანობაში აქტიურად იყო ჩაბმული. იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სენაკის განყოფილების ხელმძღვანელი. ხელოვნების განვითარების მიმართულებით ბევრს იღვწოდა. მართავდა საღამო-კონცერტებსა და თეატრალურ წარმოდგენებს, მიღებულ შემოსავალს კი სხვადასხვა სახის საქველმოქმედო საქმეებს ახმარდა. სამუელი მეგობრობდა და აქტიურად თანამშრომლობდა თეატრალურ მოღვაწეთა ფართო წრესთან. პირადად იცნობდა ცნობილ ქართველ დრამატურგს – ავქსენტი (ასიკო) ცაგარელს, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ახალსენაკში თეატრალური კოლექტივის ორგანიზაციაში. მის მიერ ჩამოყალიბებული ახალგაზრდა სცენისმოყვარეთა დასი ამ დროისთვის სერიოზულ თეატრალურ ძალას წარმოადგენდა. მეგობრობდა მწერად შალვა დადიანთან, ვალერიან გუნიასთან, ვასო აბაშიძესთან, მაკო-საფაროვასთან. მის თვალწინ დაფრთხიანდნენ აკაკი ხორავა, აკაკი ფალავა და სხვები. 1916 წელს ახალსენაკის ცენტრალური ქუჩის კუ-

**მოგონება საეპიკოლონი, კარკოდ,
ქ. ახალ-სენაკში (აგვანგად სხაკაია)
თეატრალური მუშაობის შესახებ¹⁵²**

1906 წელს ვიყავი აგარაკ ბაკურიანში, სადაც პირველად შევხვდი ალიოშა წუწუნავას, ვასო ურუშაძეს და მარო მდივანს. ვასო ურუშაძემ განიზრახა წარმოდგენის გამართვა. რა თქმა უნდა, ბაკურიანში იმ დროს არ იყო სათანადო სათეატრო შენობა და პატარა, მოუწყობელ ესტრადაზე დავიწყეთ რეპეტიციების მართვა. რეჟისორობდა ალიოშა წუწუნავა. დაიდგა „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია“ და სხვა ვოდვევილები. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ერთ-ერთი ოფიცერი მარო მდივანს გამოელაპარაკა და უზრდელადაც მოექცა. ეს შეამჩნია ქმარმა – ვასო ურუშაძემ და ყოყლოჩინა ოფიცერს

თხეში, ძმები სანიკიძეების მიერ აგებული თეატრისა და სასტუმროს შენობაში მათივე მიწვევით ბინა დაიდო დრამატულმა დასმა. ქშწკსის სენაკის გამგეობის მდივნის – პ. ლორთქიფანიძის ინიციატივით შეიქმნა დრამატული საზოგადოება. გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მერი დადიანი, ხოლო მდივნად – ჯარიდან დემობილიზებული ახალგაზრდა ექიმი სამუელ კეკელია. სცენისმოყვარეთა დასში შედიოდნენ: მ. ხოფერია, ც. ხოფერია, ქ. დანელია, ჯ. ხვინია, ო. გვასალია, ნ. მატახერია, ფ. თევზაია, შ. გოგია, შ. გვეგენავა და სხვანი.

სამუელ ანტონის ძე კეკელიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით აგვანგადში „გამოქვეყნებულ ნეკროლოგში აღნიშნულია, რომ მან „შემოგვინახა ბევრი საინტერესო მასალა და ფაქტი რაიონის კულტურული ცხოვრების როგორც წარსულიდან, ასევე ახლო წლებზე“. წლების მანძილზე მუშაობდა სენაკის მაზრის ჯანმრთელობის განყოფილების მდივნად, ქალაქ ცხაკაიას (სენაკის) რკინიგზის პოლიკლინიკის ექიმად. გარდაიცვალა 1962 წლის თებერვალში („აგვანგადი“, №19, 13 თებერვალი, 1962, გვ. 4). დაკრძალულია სენაკში, მეუღლესთან – ძაძუ ქავთარაძესთან და შვილებთან – გურიასა და მამუკასთან ერთად (ს. კეკელიას შესახებ იხ. ი. კეკელია, ნათელი დაუღამებელი (ცხოვრება და ღვაწლი დეკანოზ ანტონ კეკელიასი), ქუთ., 2020).

¹⁵² სსიპ საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი III, საქმე 79, №14132.

სილა გააწნა (უნდა ითქვას, რომ მარო მდივანი მაშინ ლამაზი ქალი იყო). ოფიცერს გამოექომაგნენ იქვე მყოფი სხვა ოფიცრებიც, მაგრამ დამსწრე საზოგადოება და ერთი ქართველი ოფიცერი ჩაერივნენ ინციდენტში და გააშველეს მოჩხუბრები.

1907 წელს, არდადეგების დროს, ზაფხულში ჩამოვედი ქახალ-სენაკში (ცხაკაია), სადაც გავიცანი იმჟამად უკვე სახელმოსვეჭილი სცენისმოყვარე კოტე დავითაია. ჩვენ ურთიერთს გაუუზიარეთ ჩვენი სურვილი, რომ სენაკში წარმოდგენები გაგვემართა. მამაკაცთა წრეს ადვილად მოუყარეთ თავი, მაგრამ ქალები ვერაფრით დავითანხმეთ, რომ მათ ჩვენთან ერთად სცენაზე ეთამაშნათ, რადგან, როგორც ცნობილია, იმ დროს ქალების სცენაზე გამოსვლა სამარცხვინოდ იყო მიჩნეული და არცერთი დედ-მამა ამის ნებას არ მისცემდა თავის ქალს. გადავწყვიტე ჩემი დები – ნინა და ოლღა გამომეყვანა სცენაზე. ისინი კი დავითანხმე, მაგრამ დედაჩემი ვერაფრით დავითანხმეთ. მე კი, რადგან ერთადერთი ვაჟი ვიყავი ოჯახისა, დავსძლიე, მუქარით თუ ჩემს დებს სცენაზე თამაშის ნებას არ მისცემდა, მე სახლიდან წავიდოდი. ამის შემდეგ შევძელით წარმოდგენების მართვა, რადგან ორივე ჩემი დები წესიერ ქალებად ითვლებოდნენ. შემდეგში სხვებმაც გაბედა სცენაზე მუშაობა და შემოგვემატა ნინა ჭანტურიამ, მარო ხოფერია და სხვები. ამრიგად, უკვე სისტემატურად ვმართავდით წარმოდგენებს, რა თქმა უნდა საქველმოქმედო მიზნით: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, პოლიტეპატიმართა და ღარიბ მოწაფეებისათვის. არცერთი ჩვენთაგანი გასამრჯელოს არ ღებულობდა. პირიქით, ხშირად ჩვენსას ვხარჯავდით. რეკვიზიტი, ბუტაფორია, ტანსაცმელი და გრიმ-პარიკი ჩვენ უნდა გვეშოვნა ჩვენი სახსრებით. ვაჟებიდან მუდმივად ვმუშაობდით კოტე დავითაია, პროკლე თურქია, გუგული მხეიძე, გრიშა თევზაია, პოლიკარპე ლორთქიფანიძე (მასწავლებელი), ეგენი ოდიშარია და სხვები. მოკარნახე იყო ვლადიმერ ლაბახუა (ამჟამად

დამსახურებული მასწავლებელი). ერთხელ, არ მახსოვს თუ რომელ პიესას ვდგამდით, მე და კოტე დავითაია ვთამაშობდით მთავარ გმირებს. ვლადიმერ ლაბახუა კარნახობდა. მე და დავითაიას წარმოდგენის ფინალში გვიხდებოდა ერთმანეთთან ხანჯლებით შერკინება. რეპეტიციებზე ლაბახუამ გაგვაფრთხილა და გეთხოვა, რომ შევიწროების დროს სასუფლიორო ბუტკასთან ახლო არ მივსულიყავით. ეშინოდა, რომ ბუტკაში ხანჯალი არ ჩავარდნილიყო და ის არ დაეზიანებინა. წარმოდგენა დამეს, როდესაც მე მკლავდა კოტე დავითაია, განგებ ადგილი მოვიხვედრე ბუტკის ახლო და რომ წავიქცევი, ხანჯალი ჩავაგდე ბუტკაში. შეშინებული მოკარნახე რაღაცას ბუტბუტებდა, კარნახს თავი მიანება და ჩვენ უხერხულ მდგომარეობაში ჩავგაყენა, რადგან, როგორც ცნობილია, ჩვენისთანა სცენის პატარა მუშაკები კი არა, თვით დიდი მსახიობებიც სამი-ოთხი რეპეტიციით დგამდნენ წარმოდგენებს და ტექსტის ცოდნაში გამაგრებული არ ვიყავით.

ამის შემდეგ 1911 წლამდე ყოველ არდადეგების პერიოდში სისტემატურად ვდგამდით წარმოდგენებს, 1911 წლიდან კი მუდმივ საცხოვრებლად ჩამოვედი ქ. ახალ-სენაკში და სისტემატურად ვმუშაობდი სცენაზე. გარდა ახალ-სენაკისა, ჩვენ გვიხთებოდა წარმოდგენების მართვა ქ. ზუგდიდში, ს. ხეთაში, დ. აბაშაში, ს. ბანძაში და ხანდახან ქ. ფოთშიდაც. ზუგდიდში ასეთი საქმეების სულისჩამდგმელი და ინიციატორი იყო ცნობილი ექიმი ანდრი პატარაია, რომელიც მომდღერალთა გუნდსაც ხელმძღვანელობდა, ს. ხეთაში ვლადიმერ ნაჭყებია (მასწავლებელი) – თითონაც კარგი სცენისმოყვარე, დ. აბაშაში მასწავლებელი ვასო ქობულია, ს. ბანძაში დიმიტრი ფაღავა. ს. ბანძაში განსაკუთრებით შეუყვარდათ ვ. გუნიას „და-ძმა“, რასაც ხშირად გვადგმევინებდნენ. დ. აბაშაში და ხეთაში სათანადო შენობა წარმოდგენის გასამართავად არ არსებობდა და უნდა ითქვას სიმართლე, რომ ვასო ქობულია და ვლადიმერ ნაჭყებია ჩვენთან ერთად ეზიდუ-

ბოდნენ ხის მასალას და მათ სკოლებში ვაწყობდით სახელდახელო სცენას. ხშირად ღია ცისქვეშაც გვიტამაშნია. ძნელი წარმოსადგენია ის შრომა და წვალება, რაც ჩვენ იმ ხანებში გამოგვივლია, მაგრამ სცენისადმი სიყვარული ისე გვკონდა გამჯდარი ძვალ-რბილში, რომ საშინელმა ტანჯვა-წვალებამ და დამცირებამ მაინც ხელი არ აგვადებინა საყვარელ საქმისთვის. ქ. ახალ-სენაკში ჩვენი დამხმარე და ყოველმხრივ ხელის შემწეობი იყო ცნობილი ექიმის – ივლიანე ხოფერიას მეუღლე ოლღა გიორგის ასული ბერიძე-ხოფერიასი. ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობაში. თითონ თავმჯდომარე იყო ქართველთა შორის წ/კ. გამაგრცელებულ საზოგადოებისა და მის ავტორიტეტს ვიხმარებდით ჩვენს საქმიანობაში.

სცენისმოყვარეთა წრეებს უფლება არ ჰქონდა წარმოდგენის გამართვის, თუ მონაწილეობას არ მიიღებდა ერთი მაინც პროფესიონალი მსახიობი. უსათუოდ პროფ. მსახიობს უნდა აეღო ნებართვა მაზრის უფროსისაგან წარმოდგენის გამართვაზე. მხოლოდ ზოგიერთი მსახიობი არამცთუ მონაწილეობას მიიღებდა, არამედ სრულიად არ გამოცხადებოდა რეპეტიციებზედაც და არც წარმოდგენის დამეს. გასამრჯელოს ვაძლევედით ხარისხის მიხედვით 3-5 მანეთს თითოეულ ნებართვის აღებაში. ზოგიერთი მსახიობები კი გვესწრებოდნენ რეპეტიციებზე, გვწვრთნიდნენ და თითონაც მონაწილეობას იღებდნენ წარმოდგენებში. ასეთები იყვნენ: იუზა ზარდალიშვილი, ალიოშა ჯაყელი, ლადო სარელი (სანიკიძე), სანდალა (გაჩეჩილაძე), საშა გუგუშვილი, მარო მდივანი, პაშა შოთაძე და სხვები.

აქვე უნდა აღვნიშნო ერთი მსახიობი ქალი, სახელდობრ, ლიზა ჩიქოვანი, რომელიც არსად არ არის მოხსენებული და მგონი არავის ახსოვს. ის ერთ დროს მუშაობდა ქუთაისში, დიდი ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით. შემდეგ რატომღაც თავი მიანება ქუთაისს და წამოვიდა საცხოვრებლად თავის სოფელ ნაესაკოვოში (აბაშის რაიონი). ის მუდამ

ჩვენს დაბახილზე ჩვენთან იყო და გვეხმარებოდა თავისი ნიჭიერი განსახიერებით ძალებისა.

1911 წლიდან 1920 წლამდე, სხვადასხვა დროს ვმუშაობდით შემდეგი სცენისმოყვარეები: კოტე დავითაია, პროკლე თურქია, გრიშა თევზაია, აკაკი ხორავა, დურსუნ გეგენავა, შალვა ლომაია, სამუელ კეკელია (რეჟისორი), აკაკი შუბლაძე, პლატონი შაფათავა, პოლიკარპე ლორთქიფანიძე, რემა შელეგია, ანტონ ნადარეიშვილი, პლატონ ბუაღავა, გუია ნორაკიძე და სხვები; ქალებიდან: ნინა თევზაია, ოლღა თევზაია, მარო ხოფერია, ბაბუცა გოგოლაშვილი, ბაბუცა ბერიძე, ნინო ხოფერია, ბაბუცა თევზაია, ნინა ხურცილავა, დარო სალაყაია (მოკარნახე). დავდგით შემდეგი პიესები: „დამარცხებულნი“, „№21 ჯვრით, „და-ძმა“, „გეგეჭკორი“, „ბატონი და ყმა“, „სიმდიდრის მსხვერპლი“, „ირინეს ბედნიერება“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „მსხვერპლი“, „პატარა კახი“, „ძუნწი“, „კინტო“, „სულელი“, „მენი ჭირიმე“, „თამარ ბატონიშვილი“, „ლეკის ქალი გუდჯაგარ“, „სიმახინჯე“ და სხვა.

იმ ხანებში ხშირი შემთხვევა იყო, რომ ახალ-სენაკში საგასტროლოდ ჩამოდიდონენ დიდი მსახიობები: ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია, შალვა დადიანი, ალექსანდრე იმედაშვილი, იუზა ზარდალიშვილი, ნუცა ჩხეიძე, მარო მდივანი, დესპინე ივანიძე. ჩემთვის მათ ჰქონდათ შემონახული პატარა, ზოგჯერ უსიტყვოც კი, როლები და მათამაშებდნენ.

1912 წელს ვალერიან გუნიას მეთაურობით ჩამოვიდნენ მსახიობები. მათ შორის იყო ჩვენი საყვარელი მსახიობი ვასო აბაშიძე. იმ დროს კლუბის დარაჯად (თეატრის დარბაზიც მანდვე იყო) მუშაობდა საკმაოდ მდიდარი, რამდენიმე სახლის და დარაბების პატრონი ყარამან გოგუბაშვილი, რომელიც ცნობილი იყო ისეთ კაცად, რომელიც არასდროს სასადილო-რესტორანში ჭიქა ღვინოს არ დაღევდა. არც თვითონ მიიპატიჟებდა ვისმეს, არც ის მიიღებდა სხვის მიპატიჟებას. საერთოდ ფულიან კაცად ითვლებოდა და პურ-მარილს გაურბოდა. ყარამანის შესახებ მე ვუამბე პატივცემულ ვა-

სოს. მან თვალი ჩამიკრა და მითხრა – „აბა ვნახოთ, მე თუ გა-
მიძლებსო“. ცოტა ხნის შემდეგ მე ვალიკო გუნიამ სადღაც
გამგზავნა დავალებით და რომ დავბრუნდი დაახლოებით
ერთი საათის შემდეგ, თავის ადგილზე ვედარ ვნახე ყარამა-
ნი. სცენაზე ავედი და ვალიკოს მოვახსენე შედეგი, რაზედაც
გამგზავნა. ვასო სცენაზე არ იყო. ვალიკომ სცენის მუშებს
დავალება მისცა, თუ რა უნდა გაეკეთებინათ და მე მითხრა
სადილის საჭმელად წავსულიყავით. მოვიკითხეთ-მოვიძებ-
ნეთ ვასო აბაშიძე, მაგრამ ვერსად ვნახეთ. ჩვენ ორნი წავე-
დით ცნობილ სანიკიძის რესტორანში და როდესაც შიგ შე-
ვედით, ვნახეთ ერთ-ერთ სუფრაზე მსხდომნი – ყარამანი და
ვასო. ვასომ როგორც კი დაგვინახა, მიგვიპატიჟა მათთან.
ჩვენც დავსხედით. ვასომ გრძელი სიტყვით მიმართა ყარა-
მანს, შეადარა იაკობ გეგებაშვილს. რაღაც ნათესაური კავ-
შირიც გამოუნახა. შემდეგ გარეგნობით ერთმანეთს შეადარა
და თითქოს დიდი მსგავსებაც ჰპოვა. ყარამანს ეტყობოდა
ძალზე სიმთვრალე და ყველაფერს უმოწმებდა ვასოს. შემ-
დეგ ყარამანმა ფული ჩვენ არ გადაგვახდევინა და წამოვე-
დით თეატრში. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ვასომ და
ვალერიანმა ჩემთან მოისვენეს სახლში. მეორე დღეს სადი-
ლად შევედით ერთ-ერთ საუკეთესო რესტორანში. ვასომ მო-
ითხოვა „მენიუ“. აირჩია ჩიხირთმა. მოუტანეს. მას ალბათ
ეგონა ქართლურ ყაიდაზე გაკეთებული და რომ მოსინჯა, მი-
აყვირა: „ქაჯან, ეს რა არის, პირი დამთუთქა, რამდენი წიწაკა
გიქნიათო“. ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე კერძი გასინჯა,
მაგრამ ვერცერთი ვერ ჭამა და რესტორნის პატრონს მიმარ-
თა: „ქაჯან, ის ბორჯომის წყალი მაინც მაიტა, ისიც წიწაკია-
ნი ხომ არ იქნებაო“. წყალი მოსვა და დასძინა: „მადლობა
ღმერთს, რომ ეს წყალიც სენაკში არ ამოდის, თორემ ვერც
ამას გავეკარებოდიო“.

1913 წელს მსახიობმა დავით ჩარკვიანმა შეადგინა პატა-
რა მოგზაური დასი, სადაც შედიოდნენ შემდეგი მსახიობები
და სცენისმოყვარენი: კოსტა (იგივე დათიკო) კობახიძე (შემ-
დეგში რესპუბლიკის სახ. არტისტი), ნოე კანდელაკი – მე

მგონი, ეს ნიჭიერი და თავდადებული მუშაკი სრულიად მივიწყებულია. ის მუშაობდა ქ. სამტრედიის სცენისმოყვარედ, შემდეგ ქუთაისის თეატრშიც მსახიობად, გრიგოლ ჩარკვიანი, ბებე ჯაიანი, გოგუცა თოფურძე, გრ. თევზია, დავით ჩარკვიანი და სხვები. მოვიარეთ მთელი სამეგრელო. ისეთ ადგილებშიც კი ვიყავით, სადაც წარმოდგენაც არ ჰქონდათ თეატრალურ ხელოვნებაზე. დავდგით „თამარ ბატონიშვილი“, „ბატონი და ყმა“, „ლეკის ქალი“, „გულჯავარ“ და „ჯალათი მამა“. კოსტა კობახიძეს ძლიერ მოსწონდა პიესა „ბატონი და ყმაში“ დათიკოს როლი, რომელსაც თითონ ანსახიერებდა და სწორედ ამ მოგზაურობაში მან შეიცვალა სახელი და კოსტას ნაცვლად დათიკო დაირქვა, რაც სიკვდილამდე შერჩა მას სახელად. უკანასკნელი გასტროლი ქ. ზუგდიდში გვექონდა. ნასადილევს გადავწყვიტეთ მდინარე ჩხოუშიაში გვებანავა. მოვნახეთ მყუდრო ადგილი წისქვილის უკანა მხარეზე და დავიწყეთ ბანაობა. ამხანაგები აუხირდნენ გრიგოლ ჩარკვიანს, დაუწყეს ტალახის და ქვების სროლა. გრიგოლი იძულებული შეიქნა წყლიდან ამოსულიყო და გაგეშორებოდა. ცოტა ხნის შემდეგ მოგვესმა წისქვილიდან ხმამაღლა ყვირილი. ჩვენც ამოვედით წყლიდან და წისქვილში შევედით. დავინახეთ, რომ მოხუცი მეწისქვილე ჯოხით ხელში მიიწვედა გრიგოლ ჩარკვიანისაკენ და ილანძღებოდა. მე, როგროც მეგრულის მცოდნე, ჩავერიე საქმეში და ცოტათი დავამშვიდე ძალზე აღელვებული მეწისქვილე. საქმე თურმე შემდეგში ყოფილა: გრიშა ჩარკვიანი ჩვენგან რომ წავიდა, შესულა წისქვილში, სადაც მოხუც მეწისქვილესთან ერთად უნახავს ღამაზი ახალგაზრდა მეგრელი გოგო (მეწისქვილის ქალი). გრიგოლს მოსწონებია ეს ქალი და გამოსაუბრებია. მაგრამ არც მეწისქვილეს და არც მის ქალს ქართული სრულიად არ სცოდნიათ და ვერაფერი გაუგიათ. შემდეგ გრიგოლს პაპიროსო ამოუღია, მიუწოდებია ქალისთვისაც. რა თქმა უნდა, ქალს არ გამოურთმევია და შეურაცხყოფილად უგრძნია თავი. გრიგოლი ასანთის მაგიერ ყოველთვის „ხაჟიკალკას“ ატარებდა და მაშინაც ამოუღია ეს, მა-

შინ უცხო რაღაც მანქანა, „ზაუიკალკა“ და ამით მოუკიდებია პაპიროსისათვის. ქალი შეშინებულია. გრიგოლს დამშვიდება მოუნდომებია და ხელიც მოუცაცუნებია ლოყაზე. სწორედ ყოველივე ამან გამოიწვია მეწისქვილის გაბრაზება და რომ დროზე არ მივშველებოდით, ალბათ საბრალო გრიგოლს კარგად სცემდნენ.

1914 წელს მსახიობ ალიოშა ჯაყელის ხელმძღვანელობით შევადგინეთ სცენისმოყვარეთა ამხანაგობა. შევდიოდით: კოტე დავითაია, პროკლე თურქია, გრიშა თევზაია, ალიოშა ჯაყელი, გაიანე ურბნელი და სხვები. ამჟამადაც მოვიარეთ მთელი სამეგრელო. ვდგამდით: „ბატონი და ყმა“, „სიმდიდრის მსხვერპლი“ და პატარა ვოდევნილებს. რა თქმა უნდა, შემოსავალი ხარჯს ვერ ფარავდა, მაგრამ სცენისადმი სიყვარული ისე მძლავრად გვქონდა გამაჯდარი ძვალ-რბილში, რომ არაფრის წინაშე ვიხევდით უკან. ხშირად მშიერ-მწყურვალნი, დამეს ვათევდით სცენაზე. მაინც განვაგრძობდით მუშაობას. ამხანაგობამ გადასწყვიტა ს. ზუგდიდშიც ჩავსულიყავით რამდენიმე წარმოდგენით. მოველაპარაკეთ ზუგდიდის კლუბის გამგეობას. დღეც დავნიშნეთ და სწორედ დანიშნულ დღეს გავემგზავრეთ დელეგაციით (მაშინ სხვა ტრანსპორტი სენაკიდან ზუგდიდამდე არ არსებობდა). ჩვენ და საუბედუროდ, ზუგდიდს რომ ჩავედით, გავიგეთ, რომ კლუბის რემონტი დაეწყოთ და არ მოგვეცა საშუალება წარმოდგენა დაგვედგა. სენაკში რომ დავბრუნებულიყავით, ფული არ გაგვანდა. ამიტომ გადავწყვიტეთ ურბნელის ქალი რითიმე გაგვემგზავრებია და მოვნახეთ საბარგო დილიჟანსის მსგავსი (ფურგონი). ვთხოვეთ მეფურგონეს და ისიც დაგვეთანხმა. ამრიგად ქალი გამოვისტუმრეთ, ჩვენ კი მოვაგროვეთ 20 კაპ., ვიყიდეთ პური, ცოტათი შიმშილი მოვიკალით და გაუუდექით გზას (ზუგდიდიდან ცხაკაიამდე 41 კილომეტრია), 10 კილომეტრი სოფ. ცაიშამდე. როგორც იყო, ვიარეთ შეუსვენებლივ, მაგრამ შემდეგ მსახიობმა ალიოშა ჯაყელმა ვერ შეძლო სიარული. ცოტა კიდევ ვატარეთ, მაგრამ მთლად დაუძღვრდა. ამ დროს პროკლე თურქიას მოაგონდა ერთი

მისი ნაცნობი მღვდელი მაქაცარია. გაჭირვებამ გაგვაბედინა და მივადექით მოხუც მღვდელს სახლში. მღვდელმა სიამოვნებით მიგვიწვია, მოგვასვენა და შემდეგ კარგი ვახშამიც გაგვიმართა. ღვინომ რომ თავში შეგვიღიტინა, სიმღერაც წამოვიწყეთ. სწორედ ამ დროს მოვიდა ვიღაც ახალგაზრდა და ჩვენს მასპინძელს წერილი გადასცა. მღვდელმა წერილი წაიკითხა, მოიღუშა, ცრემლიც მოადგა თვალზე. ჩვენ გაფაციცებით შევცქეროდით მას, მაგრამ უცბად გაიღიმა და მიამხა: „ბოღ ზნაეთ, ღმერთო ჩემო (ამ სიტყვებს ხშირად ხმარობდა ხოლმე ლაპარაკში), ჩემი მოხუცი და გარდაცვლილა. არაფერია, ყველანი იქ წამსვლელები ვართ. დაიწყეთ სიმღერა, განაგრძეთ ქეიფი“. ჩვენც მაშინვე სიმღერა დავიწყეთ და მასპინძელმაც კარგი ბანი შეგვაწია. იმ დამეს იქ დავისვენეთ და მეორე დღით ადრე გავუდექით ისევ გზას და მოვედით სენაკში.

1915 წელს ცნობილი ლოტბარი ძუკუ ლოლუა აპირებდა ვენაში გამგზავრებას ყურის საექიმოდ (ძუკუ ლოლუას ძლიერ დაქვეითებული ჰქონდა ყურთასმენა). ამ მიზნით გადაეწყვიტათ ქ. სუხუმში საღამო-წარმოდგენის გამართვა. საღამოს ხელმძღვანელობდა ქ. სუხუმში ყველა კულტურული საქმიანობის წამომწყები და სულისჩამდგმელი მამო დადიანი-ანჩაბაძისა (ჩვენი საყვარელი შალვა დადიანის და). უნდა დადგულიყო პიესა „კინტო“ ა. წერეთლისა. მოწვეული ვიყავით ამ როლის მაშინდელი საუკეთესო შემსრულებელი მსახიობი გაიანე ურბნელი, და მე. ვთამაშობდი სამსონს. წარმოდგენის შემდეგ იყო საკონცერტო განყოფილება, გუნდი d. ლოლუას ხელმძღვანელობით და ცნობილი მომღერალი დანიელა ურია (გვარი არც მაშინ ვიცოდით მისი და არც ახლა ვიცო). დანიელა გამოვიდა თავისი რეპერტუარით და, სხვათა შორის, იმღერა „მარტის თვეც“. საღამო-წარმოდგენის შემდეგ მიგვიწვიეს ბანკეტზე. ყველანი ვიყავით. გვაკლდა მარტო დანიელა. გავიკითხეთ და გვითხრეს, რომ ის პოლიციელებმა დააპატიმრესო. ყველას გაგვიკვირდა, რა უნდა დაეშავებინა ამ უწყინარ, პატიოსან კაცს, რომ პოლიციელებს დაე-

პატიმრებიანთ. ამ ამბის გაგებისთანავე მაშო დადიანი მაშინვე წავიდა პოლიცემისტერთან და დიდი თხოვნის შემდეგ განათავისუფლებინა დანიელა და მოიყვანა თან. მიზეზი დაპატიმრებისა ყოფილა სიმღერა „მარტის თვის“ შესრულება, რაც რევოლუციონურ სიმღერად მიუჩნევიდა პოლიცემისტერს.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე ასე გაჭირვებით განვაგრძობდით მუშაობას. გვეღირსა თებერვლის რევოლუციაც. ვფიქრობდით, აწი მაინც გვეშველება, „რევოლუციონური“ მთავრობა ხელს შეგვიწყობს და საქმეც კარგად წავაო, მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენი მოლოდინი და იმედი არ გამართლდა. საქმე უფრო გაუარესდა და იმ ზომამდეც კი მივიდით, რომ მუშაობას სრულებით ვეღარ ვახერხებდით. გარდა იმისა, რომ მენშევიკური მთავრობა მატერიალურ დახმარებას არ გვიწევდა, უმრავლესობა ჩვენთანგანს ხშირად ჯარში გვიწვევდნენ, რადგან დაუსრულებელი ომები ჰქონდა როგორც მეზობელ რესპუბლიკებთან, აგრეთვე შინაურებთანაც. ამრიგად, თეატრალური მუშაობა საერთოდ, და კერძოდ, ჩვენთან, ჩაკვდა.

1921 წლის აპრილის თვიდან, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორე თვესვე, ადგილობრივმა პარტიის და ხელისუფლების ხელმძღვანელობამ ჩამოაყალიბა მუდმივი დასი. დაგვინიშნეს ჯამაგირები, გადმოგვცეს სათეატრო შენობა ყოველივე თავის მოწყობილობით და ჩვენც შევუდექით მუშაობას. ხელმძღვანელობა ყოველგვარ დახმარებას გვიწევდა და გვამხნევებდა. დასში შედიოდა შემდეგი ამხ.: აკაკი ხორავა (ამჟამად სსსრ სახ. არტისტი), ნინო ხოფერია, გრიშა თევზაია, რემა შელეგია, ანტონ ნადარეიშვილი, პლატონ ბჟალავა, აკაკი შუბლაძე, ბაბუცა ბერიძე, შალვა ლომია, მარო ხოფერია, ნინუცა ხურცილავა და სხვები. უნდა ითქვას, რომ საქმე ძლიერ კარგად მიდიოდა. ვდგამდით რევოლუციურ პიესებს. მაყურებელთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა და ძლიერ კმაყოფილნიც იყვნენ. სხვათა შორის, დავდგით შ. დადიანის პიესა „გეგეჭკორი“. ხეციას როლს ასრულებდა ამ-

ჟამად სსრკ სახ. არტისტი აკაკი ხორავა, მე ჩიქვანისას. კარისკაციის როლი დაავალეს ერთ-ერთ ახალგაზრდა სტუდენტს შ. ლ-ის (შალვა ლომია). იმ ადგილას, როდესაც კარისკაცი ახსენებს ჩიქვანს სიღუ ხეციხეს მოსვლას, ბახვა ანთელავას მოკვლას და სხვა, კარისკაცი ლომიათა გამოვიდა რა სცენაზე და გადახედა მაყურებელს, დაიბნა და ხმა ვერ ამოიღო. იძულებული შევიქენი, მე თითონ მიმეცა შეკითხვები, მაგრამ იმდენად აღელვებული და დაბნეული იყო, წამოილულულა „ცირუ ხოფერიხე (სიღუ ხეციხეს როლის შემსრულებელი) მობრძანდა“ და სხვა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დღეში ჩავარდებით მაშინ სცენაზე მყოფნი.

1922 წელს აკაკი ხორავა და სხვა ზოგიერთი ამხანაგები ჩვენგან წავიდნენ, ზოგი თბილისში, ზოგი კიდევ სხვაგან. შემდეგ ჩამოვიდნენ მსახიობები: მიშა სარაული, კოლია ჩაგუნავა, იოსებ თარალაშვილი, ოლლა ფეიქრიშვილი. შემოგვემატნენ ახალი სცენისმოყვარეები: კოკი ფაჩულია, დურსუნ გეგენავა, ელენე კოლოშვილი, ტუნა თვალთვაძე, შ. გუგუნავა. თითქმის ყველა დასახელებული სცენისმოყვარენი ძლიერ ნიჭიერნი და გულმოდგინენი აღმოჩნდნენ. რეჟისორად ავირჩიეთ მიშა სარაული და სისტემატიურად ვმართავდით წარმოდგენებს, როგორც თვით სენაკში, აგრეთვე სამეგრელოს სხვა რაიონულ ცენტრებში და სოფლებშიც კი. 1922 წლის მიწურულში საგასტროლოდ გავემგზავრეთ ზუგდიდში, გაღში, ოჩამჩირეში ვდგამდით ოპერეტა „არშინ მალაღანს“ და „ლეკის ქალი გულჯავარს“. პირველად ჩავედით ქ. ზუგდიდში და პირველ დამეს დაედგით „არშინ მალაღანი“. პიესა მწყობრად მიდიოდა, რადგან ვ. ჩაგუნავა, მიშა სარაული, სოსო თარალაშვილი და სხვებიც ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად ითვლებოდნენ თავიანთი როლებისა ამ ოპერეტაში. ოპერეტის ფინალია. სცენაზე ვით ყველა შემსრულებლები, ცეკვა და სიმღერა. ამ დროს ქანდარიდან დაგვიშინეს კვერცხები. შეიქნა აურზაური. სინათლე ჩაქრა. როგორც ჩვენ, აგრეთვე მაყურებლებიც, ააღელვა ამ გარემოებამ. როგორც შემდეგ გამოირკვა, თურმე პიერ კობახიძეს

(ამჟამად რესპუბლიკის სახ. არტისტი, მაშინ სტუდენტი იყო) შემოუთვლია ჩვენი ხელმძღვანელი მიშა სარაულისათვის, რომ ოპერეტა „არშინ მაღალანი“ არ დაგვედგა, რადგან მაშინდელი ახალგაზრდობა წინააღმდეგი იყო ამ ოპერეტის დადგმისა, მაგრამ სარაულს ეს ჩვენთვის არ გაუმხელია და როდესაც კობახიძემ გაიგო, რომ ჩვენ ჩვენსას არ ვიშლით, მოლაპარაკებია მეორე ახალგაზრდას ორდუ დგებუაძეს (ამჟამად მწერალი) და ის იყო კვერცხები დაგვიშინეს. თვით პიერ კობახიძემ გვითხრა: „არტიტები ჩამოდით. თქვენგან პიესის დადგმას ველოდით. თქვენ უშინაარსო ოპერეტით გაგვიმასპინძლდით. ამიტომაც დაგიშინეთ კვერცხებით“. პიერ კობახიძე და ორდუ დგებუაძე ამის გამო დააპატიმრეს, მაგრამ ისევ მალე გაანთავისუფლეს.

იმ ხანებში ახალსენაკში ორი კლუბი და სათეატრო დარბაზი არსებობდა, მაზრის პროფესიონალურ კავშირისა, რომლის გამგე მე ვიყავი და რკინისგზის პატარა მოცულობის კლუბი, სადაც გამგედ მუშაობდა იროდიონ გრიგოლია, კაცი ბევრი რამის არმნახველი და დაბალი ცოდნით, მაგრამ ძლიერ მოსიყვარულე სათეატრო ხელოვნებისა და თავდადებული მუშაკი (ამჟამად გარდაცვლილია). ხშირად ჩვენც ვეხმარებოდით და ერთად, შეერთებული ძალებით, ვდგამდით წარმოდგენებს ჩვენთანაც და რკინისგზის კლუბშიდაც.

1923 წელს გავემგზავრე ქ. თბილისში თეატრის საქმეების გამო. რუსთაველის გამზირზე შემხვდა ძველი მეგობარი ნიკო გვარაძე (ამჟამად რესპუბლიკის სახ. არტისტი). მისალმების შემდეგ ერთად განვაგრძეთ გზა. რუსთაველის თეატრს რომ მივუახლოვდით, თეატრის თაღთან შევამჩნიეთ ჩვენი საყვარელი მსახიობი ვასო აბაშიძე. რომ მივედით, მასთან ახლო ნიკო გვარაძემ მისალმებისთანავე უთხრა ვასოს: „ძია ვასო, გრიშა ჩამოვიდა. აგერ ჩემთან არის“. ვასოს თავი არ აუწვევია. დგას თავდახრილი და შეეკითხა: „აბა, გრიშა?“ „ჩვენი გრიშა თევზაია“. „როდის ჩამოსულა?“ „ამდღით“. მაშინდა ასწია თავი ვასომ, გადამკოცნა და სთქვა: „თუ ამდღით ჩამოვიდა, ფული ექნება. გამარჯობა, გრიშაჯან“. რა

თქმა უნდა, მაშინვე წავედით რესტორანში, მაგრამ ვასომ ძველებურად ვერც დალია, ვერც ჭამა და ადრეც დაგვშორდა. ეს იყო ჩემი უკანასკნელი შეხვედრა ძვირფას ვასო ბიძასთან.

1927 წელს, რადგან მიშა სარაული ჩვენგან დიდი ხნის წასული იყო და ჩვენ რეჟისორი არ გვყავდა, მე დამავალეს თბილისიდან ჩამომეყვანა ვინმე მსახიობი, რომელიც რეჟისორადც გამოდგებოდა. ამ მიზნით წავედი თბილისში. რუსთაველის გამზირზე შემხვდნენ ვალერიან გუნია და მწერალი იაკობი. შემეკითხნენ, თუ სად მივდიოდი. მათ აუხსენი მიზანი ჩემი ჩამოსვლისა და დავამატე, რომ მივდიოდი შალვა დადიანთან, რომ მიეთითებინა ჩემთვის ვინმე თავისუფალ მსახიობზე. ვალიკო და იაც ჩემთან წამოვიდნენ. მივესალმეთ პატივცემულ შალვას და მოვახსენე ჩემი ჩამოსვლის მიზეზი. შალვამ მიმითითა მსახიობ დავით ჩარკვიანზე. მას მე დიდი ხნიდან ვიცნობდი. მასთან ნამუშევარიც ვიყავი და სიამოვნებით დავეთანხმე. ამ ლაპარაკის დროს შემოვიდა ვიღაც ქალი და პაკეტით წერილი გადასცა შალვა დადიანს. შალვამ წერილი წაიკითხა თავისებურად გადაიხარხარა და წერილი მე გადამძცა. გამაფრთხილა კი, რომ წერილი ვალიკოსათვის არ მეჩვენებინა. წავიკითხე. შიგ ასე ეწერა: „შალვა, მე შენი ფული არ მჭირდება, თავს მოუარე. ელო“. მივხვდი, რომ წერილი გამოგზავნილი იყო ელო ანდრონიკაშვილის მიერ. პაკეტი ხელიდან გამომტაცა ვალიკომ. რაც შიგ ფული იყო, ამოიღო და გვითხრა: „ვენაცვალე ელოს, ფული რომ დააბრუნა. აბა, ბიჭებო, წავიდეთ და ელო ვადღეგრძელოთ“. ჩვენც მაშინვე, რა თქმა უნდა, გაფევეით და კარგადაც ვიქეიფეთ.

მეორე დღეს გავიგე დავით ჩარკვიანის მისამართი და წავედი მასთან. დავითი სახლში დამხვდა და როდესაც აუხსენი ჩემი მასთან მისვლის მიზანი, ძლიერ გაეხარდა და დამეთანხმა ჩემს მიერ ნათქვამ პირობებზე, რადგან შევამჩნიე, რომ ხელმოკლედ იყო, ავანსიც დავუტოვე და ვთხოვე, ადრე ჩამოსულიყო. რამდენიმე დღის შემდეგ მართლაც ჩამოვიდა

და თან ჩამოიყვანა მისი მეუღლე ნინო თოფურძე. ადგილობრივი ძალებიდან მუშაობდნენ: დურსუნ გეგენავა, პლატონ შაფათავა, გრიშა თევზაია, ბონია არჩაია, კოტე ბუაღავა, შაღვა გველესიანი, შაღვა გუგუნავა, გრიშა ბედია, ელენე კოდოშვილი, ლენა თვალთვაძე, ნინო თოფურძე, კაკო შუბლაძე, დარო სალაყაია, ბორია გეგენავა და სხვები. თითქმის ერთი წლის განმავლობაში ნაყოფიერად ვმუშაობდით. დავდგით შემდეგი პიესები: „კაი გრაკხი“, „თამარ ბატონიშვილი“, „მსხვერპლი“, „ჯარისკაცი ბრიშე“, „ჯალათი მამა“, „ბატონი და ყმა“, „ციმბირელი“ და სხვა. თვით დავით ჩარკვიანი ყველა წარმოდგენაში მონაწილეობდა და თავისი მოხდენილი თამაშით ხიბლავდა მაყურებელს. დავით ჩარკვიანის ჩამოსვლის ცოტა ხნის შემდეგ, რატომღაც ჩვენდა, რკინიგზის სტენისმოყვარენი და კლუბის გამგეობის წევრები გავეთიშეთ ერთმანეთს. თუ წინათ ერთმანეთისათვის არაფერს ვიშურებდით, რატომღაც შემდეგ ხელის შეშლასაც ჰქონდა ადგილი. წლის ბოლოს დავით ჩარკვიანს გავუმართეთ შემოქმედებითი საღამო ადგილობრივმა პარტიის და ხელისუფლების ხელმძღვანელობამ. ამაში დიდათ შეგვიწყო ხელი, კარგი შემოსავალიც ჰქონდა და აგრეთვე ბევრი საჩუქრებიც მიართვეს. მსახიობი პლატონ შაფათავა აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამ საღამოს გამართვაში. რამდენიმე დღის შემდეგ დანიშნული იყო მსახიობ პლატონ შაფათავას ბენეფისი. ყველაფერი მზად იყო. წარმოდგენის დღეს დავით ჩარკვიანის მეუღლე ნინო თოფურძე ავად გახდა და ბენეფისი არ შედგა. ამან ძლიერ ააღელვა პლატონ შაფათავა და დარწმუნებით ლაპარაკობდა, თითქოს თოფურძის ქალი ავად არ იყო, მაგრამ ეს ყველაფერი განგებ მოაწყო დავით ჩარკვიანმაო. იმავე დღიდან პლატონ შაფათავა ჩვენგან წავიდა და დაიწყო მუშაობა რკინიგზის კლუბში. რამდენიმე ხნის შემდეგ პლატონ შაფათავას ხელმძღვანელობით რკინიგზის კლუბში დაიდგა პიესა „სინათლე“, გედევანიშვილისა. თითონ ითამაშა ერთ-ერთი ეჟმაკი. წარმოდგენას ჩვენც დავესწარიით. გამოჩნდა სტენაზე პლატონ შაფათავა – ეჟმაკი. ვუს-

მენტ. პიესიდან არცერთ სიტყვას არ ლაპარაკობს. თავიდან ბოლომდე მის მიერ შეთხზულ მონოლოგს ყველა, სადაც დავით ჩარკვიანი გამოყვანილი ყავდა როგორც ინტრიგანი, ამხანაგების მიმართ მოქიშპე და მოღალატე. წარმოდგენის დამთავრებისთანავე მსახიობი შაფათავა დააპატიმრეს, მაგრამ ისევ მალე გაანთავისუფლეს. ამ ინციდენტის შემდეგ სულ მალე ჩვენგან წავიდა დავით ჩარკვიანი.

1928 წელს რეჟისორად მოვიწვიეთ მიშა ჯუღელი, მსახიობად კი მისი მეუღლე ელენა სიბელა. ორივე ცოლ-ქარი ძლიერ ენერგიულად შეუდგნენ საქმეს და კარგადაც წარმართეს. წარმოდგენები დავდგით ახალ-სენაკში, ზუგდიდში, აბაშაში და სხვა სოფლებშიც. სცენისმოყვარენი ისევ იმავე შემადგენლობით იყვნენ. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენთან აღიზარდნენ საკმაოდ კარგი მსახიობები: ბოჩია არჩაია, შალვა გაბესქირია, ანტონ ნადარეიშვილი, დურსუნ გეგენავა, ტუნა თვალთვაძე, რომლებიც ამჟამადაც წარმატებით მუშაობენ სხვადასხვა თეატრებში.

1929 წლის ზაფხულში აგარაკ ლეზარდეს დირექციამ მთხოვა, შემედგინა პატარა ამხანაგობა, რომელიც ავ. ლეზარდესში გამართავდა წარმოდგენებს. მსახიობთათვის ბინას დაგვიპირდნენ უფასოდ და აგრეთვე კლუბის ქირაც არ გადაგვახდევინეს. მეც შევაგროვე შემდეგი ამხანაგები: გუიანორაკიძე, აკაკი შუბლაძე, პოლიკარპე ლორთქიფანიძე, ბაბუცა თევზაია, ძაბია ლორთქიფანიძე, თამარა თევზაია, დარო სალაყაია, ტატიანა ჟვანია. იქვე დაგვიხვდა ბორია ჩეჩელაშვილი (ამჟამად საქ. სსრ დამსახურებული არტისტი). ორი თვენახევრის მანძილზე დავდგით „№21 ჯვრით“, „გეგეჭკორი“, „ბატონი და ყმა“, და რამდენიმე სახელდახელო ვოდევინე. შემოსავალი კარგი გვექონდა, რადგან აგარაკზე იყო არანაკლებ 2000 კაცისა და ისეთი არავინ დარჩენილა, რომ ჩვენ წარმოდგენებს რამდენიმეჯერ არ დასწრებია.

1935 წლიდან 1940 წლამდე მე ქ. ცხაკაიაში არ ვცხოვრობდი, მაგრამ როგორც ვიცი, ამხანაგებს მუშაობა არ შეუწყვეტიათ, პირიქით, კიდევ უფრო გააძლიერეს. სცენისმოყვარეთა

წრეს შეემატა ნიჭიერი და გამოცდილი ახალგაზრდობა და განსაკუთრებით კარლო კალანდაძე, რომელიც ყოველთვის და ახლაც საუკეთესო მსახიობად ითვლება ჩვენში და საკმაო უნარსა და გამოცდილებას იჩენს პიესების დადგმაშიც. 1940 წელს ქ. ცხაკაიაში (ყოფილი ახალსენაკი) უკვე არსებობდა სახელმწიფო თეატრი. თეატრის დირექტორად და სამხატვრო ნაწილის გამგედ მუშაობდა ენერგიული და გამოცდილი მსახიობი, რეჟისორი შალვა მჭავანაძე. დასში ვმუშაობდით: შ. მჭავანაძე, კარლო კალანდაძე, ბოჩია არჩაია, ჟორა ტერტერაშვილი, შალვა გაბესქირია, გიორგი ბერაია, დიმიტრი გოგია, გრიშა თევზაია, შოთა შარვაძე, ლეონტი ჩიხლაძე, აკაკი შუბლაძე, ანტონ ნადარეიშვილი, კოკი ფაჩულია, მაკა ქართველიშვილი, ოლია კობიძე, საშა გაბუნია, ვ. ნადირაძე და სხვები. დაიდგა „პატარა კახი“, „და-ძმა“, „ყვავებულის ბაღი“, „ბედნიერება“, „იავნანამ რა ჰქმნა?!“, „დალატი“, „გეგეჭკორი“, „კინტო“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და სხვა ბევრი. გასვლითი წარმოდგენები იმართებოდა როგორც ქ. ცხაკაიაში და მასში შემავალ სოფლებში, აგრეთვე ს. ჩხოროწყუში, ხობში, აბაშაში, გეგეჭკორში და ბანძაში. ამხ. მჭავანაძის შემდეგ თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობდა მსახიობი გიორგი ლომაია, მაგრამ ამის მუშაობაზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან იმ ხანებში მე უკვე თბილისში ვცხოვრობდი. 1948-1949 წელს ქ. ცხაკაიაში შეწყდა სახელმწიფო თეატრის არსებობა და ამჟამად გვიხდება მუშაობა ცხაკაიას კულტსახლთან არსებულ დრამწრეში. დამდგმელ რეჟისორად მუშაობს, როგორც ზემოდ ღვნიშნე, გამოცდილი და ნიჭიერი მსახიობი კალანდაძე კარლო. უკანასკნელ ხანებში დავდგით „განთიადი“ ნ. არეშიძისა, „კეთილი ნების ადამიანები“ გ. მდივნისა, და „ამაღლებული სოფელი“ კანდელაკისა.

ახალგაზრდობის ჟამს არ მიწარმოებია დღიური და არც მიფიქრია, რომ ოდესმე მომიხდებოდა მოგონების დაწერა. ამჟამად კი ხანდაზმულს როგორ შემიძლია მოვიგონო ყველა ის, რაც თეატრალური ხელოვნების დარგში მუშაობის

დროს მინახავს და პირადად განმიცდია. ამიტომაც ჩემი მოგონება მოკლევც არის და უფერულიც.

გრიგოლ ბახვას ძე თევზაია

ქ. ცხაკაია, ჯორჯიაშვილის ქ. №26

8 იანვარი, 1954 წ.

ჩემს მუშაობის პერიოდში შემისრულებია შემდეგი როლები. რა თქმა უნდა, ყველა არ მახსოვს, მაგრამ რაც გამახსენდა, ეს არის:

1. „ბატონი და ყმა“ შ. დადიანის (დათიკო, გაბრო)
2. „სიმდიდრის მსხვერპლი“ (დათიკო, ზახარ ზახარიჩი)
3. „პატარა კახი“ ა. წერეთლის (რევაზ)
4. „კინტო“ (რევაზ)
5. „გეგეჭკორი“ (შ. დადიანის) (ჩიქვანი)
6. „და-ძმა“ ვ. გუნიასი (ოტია ჯოლია, ფაშა)
7. „ჯალათი მამა“ (მამა)
8. „იავნანამ რა ჰქნა?“ (ზურაბი)
9. „№21+„№21 ჯვრით“ ი. ეკალაძის (ლეონ ბეგი)
10. „ღალატი“ სუმბათაშვილის (ერეკლე)
11. „არამზადები“ (ნესტორი)
12. „დარისპანის გასაჭირი“ დ. კვლიაშვილის (დარისპანი)
13. „გუშინდელნი“ შ. დადიანის (გრენ გოლდი)
14. „თამარ ბატონიშვილი“ (ლაშა-გიორგი)
15. „არშინ მაღალან“ (სოლემიანი)
16. „კაი გრაკი“ (პატრი)
17. „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ (გიჟუა)
18. „რღვევა“ ლავრენიევის (ფონ-შტუბე)
19. „განთიადი“ ნ. არშიძის (დასის ხელმძღვანელი)
20. „კეთილი ნების ადამიანები“ (ჯონ-არტური)
21. „ამაღლებული სოფელი“ (რომანოზი)

რა თქმა უნდა, კიდევ ძლიერ ბევრია ჩემ მიერ განსახიერებული როლები, მაგრამ არ მასსოვს.

გრ. თევზაია

8/1-54 წ.



**სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო
დრამატული თეატრი დღეს**

სენაკის თეატრის შესახებ არსებული ძირითადი ლიტერატურის მოკლე ანალიტიკური ბიბლიოგრაფია

ე. ბადათურია, ი. კეკელია, ახალსენაკის თეატრალური ისტორიის სათავეებთან. „პავლე ინგოროყვა 130“ (სამეცნიერო კრებული), ქუთ., 2024.

რ. ბოკუჩავა, პირველი სპექტაკლი ახალსენაკში (1881 წლის 8 თებერვალი. გაზ. „კოლხეთი“, №6, 14 იანვარი, 1989.

კ. ბუაღავა, ასეთი იყო თეატრალური სენაკი. გაზ. „კოლხეთი“, 28, 31 ოქტომბერი; 14, 16 ნოემბერი, 1978.

დ. გეგენავა, თეატრალური კოლექტივები ახალსენაკის მაზრაში. გაზ. „ავანგარდი“, №145, 13. დეკემბერი, 1959; №150, 25 დეკემბერი, 1959.

დ. გეგენავა, ახალსენაკის თეატრალური ცხოვრების წარსულიდან. ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, №9, 1960.

დ. გეგენავა, ცხაკაიას სახალხო თეატრი [თეატრის ისტორიიდან]. გაზ. „ავანგარდი“ (ცხაკაია), 14 თებერვალი, 1960.

ნ. გომართელი, ნ. ლაშხია, ცხაკაიას თეატრალური ცხოვრების ისტორიიდან (ხელნაწერი ინახება სენაკის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუზეუმში), 1974.

მ. ეჯიბია, სენაკის თეატრალური შემოქმედების 120 წელი. გაზ. „მახარია“, №3, 2001.

ი. ზაქარაია, სასცენო ხელოვნების განვითარებისათვის სამეგრელოში XIX საუკუნის 80-იან წლებში. ჟ. „კავკასიის მაცნე“, №17, 2008.

გ. თევზაია, მოგონება სამეგრელოში, კერძოდ, ქ. ახალსენაკში (ამჟამად ცხაკაია)

თეატრალური მუშაობის შესახებ. სსიპ საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი III, საქმე 79, №14132.

ს. კეკელია, ჩემი მცირე მოგონება აგქსენტი ცაგარელზე.

გაზეთი „ავანგარდი“ (ცხაკაია), №120, 11 ოქტომბერი, 1953.

აღ. კოკია, 80 წლის წინათ [გაზეთ „დროების“ 1881 წლის 22 თებერვლის №45-ში მოთავსებული ცნობა დაბა ახალსენაკში გამართული პირველი წარმოდგენის შესახებ]. გაზ. „ავანგარდი“, 10. 07. 1960.

ნ. ლაშია, დაბა ახალსენაკის თეატრალური ცხოვრების წარსულიდან. გაზ. „კოლხეთის ცისკარი“, №6, 14. 01. 1963.

ნ. ლაშია, პირველი სპექტაკლი – 1881 წელს. გაზ. „კოლხეთი“, №6, 14. 01. 1978.

ნ. ლაშია, ასიკო ცაგარელი ახალსენაკში. გაზ. „კოლხეთი“, №24, 24. 02. 1977.

ბ. სერგია, თეატრალური წარსულიდან [ცხაკაიას სახელმწიფო თეატრის შესახებ]. გაზ. „კოლხეთი“, 10. 06. 1971.

ბ. შენგელია, იუბილარი თეატრი [ცხაკაიას აკ. ხორავას სახელობის სახალხო თეატრის 100 წლისთავი]. გაზ. „კომუნისტი“, 6. 11. 1985.

ცხაკაიას თეატრის 100 წლისთავისათვის. გაზ. „კოლხეთი“, 13. 01. 1980.

Igor Kekelia, Edisher Baghaturia
THEATER CHRONICLES OF AKHALSENAKI:
1881–1921

In the latter half of the 19th century and the early decades of the 20th century, numerous significant events in the life of Akhalsenaki were documented in the Georgian press. While these reports may seem insignificant at first glance, they provide valuable information for studying the daily life, socio-economic conditions, and cultural-educational developments of the township. Alongside economic changes, there were advancements in education and theater, reflecting the socio-economic development of Akhalsenaki in the 1870s-1890s.

Akhalsenaki experienced a vibrant and complex theatrical culture during this period. The theater founded by Giorgi Eristavi in 1850, recognized as the first Georgian professional theater, played a crucial role in promoting theatrical performances across Georgia. The communities of Zugdidi and Akhalsenaki embraced this initiative enthusiastically.

Available data, including correspondences, letters, and reviews published in Georgian newspapers, indicate that theatrical performances by stage enthusiasts were held in Samegrelo from the 1860s. Performances took place in Zugdidi and the villages of Bandza and Sujuna. On April 11, 1868, a theatrical performance was held in the Zugdidi district. William Shakespeare's "The Merchant of Venice" was staged in Bandza village in 1873, and on April 25, 1874, two plays were presented in Sujuna. A year later, a theater performance in Sujuna was organized for the benefit of the local school, thanks to the efforts of local theater enthusiasts.

Theatrical activities became particularly intense from the 1880s onward, with notable performances in Akhalsenaki, Dzveli Senaki, and Poti. The first theatrical performance by local stage lovers in Akhalsenaki was held on February 8, 1881.

Igor Kekelia and Edisher Baghaturia's work provides a monographic study of a 40-year period (1881-1921) in the history of Akhal-senaki's stage art. Utilizing existing literature and periodical press materials, the authors offer fascinating insights into the major events and creative achievements of Senaki's theatrical life from 1881 to 1921. They highlight the first plays staged over a century ago by the local intelligentsia and stage enthusiasts.

სარჩევი

წინათქმა _____	3
ახალსენაკის სასცენო ხელოვნების 40-წლიანი ისტორია _____	9
I. სცენისმოყვარეთა წარმოდგენები 1881-1900 წლებში _____	9
II. სცენისმოყვარეთა წარმოდგენები 1900-იანი წლებიდან 1921 წლამდე _____	51
ბოლოთქმა _____	93
<i>ს. კეკელია</i> , ჩემი მცირე მოგონება ავქსენტი ცაგარელზე	97
<i>გრ. თევზაია</i> , მოგონება სამეგრელოში, კერძოდ, ქ. ახალ-სენაკში (ამჟამად ცხაკაია) თეატრალური მუშაობის შესახებ. სენაკის თეატრის შესახებ არსებული ძირითადი ლიტერატურის მოკლე ანალიტიკური ბიბლიოგრაფია _____	102
Igor Kekelia, Edisher Baghaturia , Theater Chronicles of Akhalsenaki (1881-1921) _____	121

წიგნში გამოყენებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუზეუმის ფოტოები და ფოტო დავით გურგენიძის წიგნიდან – „ჭადრაკი ქართველი ხალხის ცხოვრებაში“ (ნაწილი I), თბ., 2016.

Igor Kekelia, Edisher Baghaturia

**The Beginnings of Senaki's Theatrical History
(1881-1921)**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ლევან იობაძე**
ქალაქის ზომა: 1/16
ნაბეჭდი თაბახი 7,75
ტირაჟი 100

დაიბეჭდა ი. მ. მარიამ იობაძის მიერ
ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი 25-ა
ტელ.: 599 18 20 98; 592 02 25 55; 579 10 13 23
ელ-ფოსტა: levanistamba@mail.ru; iobadze13@mail.ru